www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ოთხშაბათი, 21 მაისი, 2003 წელი. №137 (349)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## პოლიტიკა

### შევარდნაძე და ნათელაშვილი ერთ ნავში

ის მოსაზრებები, რაც საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტისადმი 2002 წლის მიმართვაში გაახმოვანა, ლეიბორისტული პარტიის ინიციატივით პარლამენტში წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ძირითად დებულებებს თითქმის მთლიანად ემთხვევა.

A2

## უცხოეთი

### "ჟანრის კრიზისი" რუსეთში - პუტინი ოპოზიციაში გადაბარგდა

მოსკოვში გაიმართა "სამოქალაქო დებატებისა" და "ღია ფორუმის" კლუბის სხდომა.
თემა - " პრეზიდენტის მიმართვა: დირექტივა ხელისუფლებისათვის თუ საარჩევნო პროგრამა".

A5

## საზოგადოება

### არჩევანი დაზარალებულებზეა - ბინა და ზოდელავა ან ფული და სააკაშვილი

მერიამ გუშინდელი დღე თავის აღმშენებლობით მოღვაწეობას მიუძღვნა. ამჯერად, ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ ერთი მშენებარე სახლისა და ერთი ავარიული ქუჩის ჩვენებით შემოიფარგლა.

A6

## სამართალი

### გიორგი სანაიას საქმის მთავარ მოწმეს დღეს გაასამართლებენ

დღეს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში დაიწყება გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის მთავარი მოწმის მალხაზ ხვედელიანის პროცესი.

A7

## ეკონომიკა

2003 წლის 23 მაისს **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის"** ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა საზეიმოდ დაიწყება ნავთობსადენის მარშრუტის თეთრიწყაროს რაიონის მონაკვეთზე.

## ანონსი

ოთხშაბათს, 21 მაისს, 13 საათზე გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციის საკონფერენციო დარბაზში ტარდება პრესკონფერენცია ახალი ერთობლივი პროექტის - "თქვენი აფხაზეთი"-ს წარსადგენად, რომელსაც აწყობენ: პაატა ზაქარეიშვილი, თორნიკე ბერიშვილი, მარინე ელბაქიძე.

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 27 |
| ქუთაისი | 29 |
| ბათუმი | 25 |
| სოხუმი | 26 |
| ფოთი | 27 |
| თელავი | 25 |
| ზუგდიდი | 30 |
| გორი | 24 |
| ახმეტა | 25 |
| ჭიათურა | 28 |
| ბაგრა | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4569 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4909 |
| რუბლი | 0.0698 |

# საერთაშორისო სასამართლო და საქართველო თავისი პრობლემებით

"ახლების" მეგობარი ამერიკელები წინააღმდეგნი არიან საქართველოს მიერთებისა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოსთან

*გუშინ პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტმა განიხილა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება - რომის სტატუტი, და მიმდინარე კვირას მისი პლენარულ სხდომაზე გატანის საკითხი დადებითად გადაწყვიტა. მაგრამ დაპირისპირება, რომელიც კომიტეტში განხილვის დროს "ახლებსა" და "ყველა დანარჩენს" შორის წარმოიშვა და რომლის შედეგადაც სხდომა დახურულად გამოცხადდა, უკვე პარლამენტის სესიაზე გაგრძელდება. დღეს "24 საათს" იმ წერილის ფრაგმენტების გამოქვეყნების საშუალება აქვს, რომელმაც კომიტეტზე ვნებათაღელვა გამოიწვია. თუმცა, მანამდე ორიოდე სიტყვით სხდომის მიმდინარეობაზე.*

თამარ ხორბალაძე

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის "ღია ნაწილმა" უპრობლემოდ ჩაიარა: სტატუტი კომიტეტის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა დოლონაძემ წარადგინა. საერთაშორისო სასამართლომ ფუნქციონირება 2002 წლის პირველი ივლისიდან დაიწყო. მას გააჩნია იურისდიქცია ისეთ მნიშვნელოვან დანაშაულებებზე, როგორიცაა გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულები და აგრესია, თუმცა მხოლოდ არსებობის პერიოდში (ანუ 2002 წლის შემდეგ) მომხდარ დანაშაულებს განიხილავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტმა გენპროკურორი ხელცარიელი გაისტუმრა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ გენერალურმა პროკურორმა დეპუტატებს კოლეგის "გაწირვა" მოსთხოვა: ნუგზარ გაბრიჩიძე საკანონმდებლო ორგანოში იმიტომ მიბრძანდა, რომ პარლამენტარები ორ საკითხზე დაეყოლიებინა - დეპუტატ დავით ბეჟუაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე და მისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებაზე თანხმობა მიეცათ. რამდენიმესაათიანი განხილვის მიუხედავად, საკითხი გადასაწყვეტი დარჩა - კვორუმის არარსებობის გამო, კენჭისყრის პროცედურის ჩატარება ვერ მოხერხდა.*

"საქგაზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს, ამჟამად კი თეთრი წყაროს რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს დავით ბეჟუაშვილს სამართალდამცავი ორგანოები საბიუჯეტო შემოსავლების დამალვაში, გადასახადისთვის თავის არიდებასა და გაზის ტარიფების თვითნებურად დაწესებაში

გაგრძელება A2 გვერდზე





*გენპროკურორის მოთხოვნას, დავით ბეჟუაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე,პარლამენტმა ცარიელი დარბაზით უპასუხა.*

# „ხარაგაულის არჩევნები ხელისუფლების სატყუარაა"

ბელა მახარაძე

შარშან დაწყებული თვითმმართველობის არჩევნები, ხარაგაულის რაიონში, 18 მაისს, თითქმის ერთი წლის შემდეგ დამთავრდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეიძლება ითქვას, არჩევნები ყოველგვარი გაყალბების გარეშე ჩატარდა.

ხარაგაულში არჩევნების წარმატებით დასრულებას, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას "აბრალებს".

სამაგიეროდ, აპროტესტებენ რუსთავის არჩევნებს. "ცენტრალური საარჩევნო კომისია რუსთავის საარჩევნო დოკუმენტაციის გადახედვას და მის საფუძველზე ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას არც აპირებს," - აცხადებენ სამართლიანი არჩევნების საზოგადოების წევრები.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ემიგრაციის მსურველები ამერიკის ნაცვლად კუბაში და ჩილეში გაამგზავრეს

თამარ კაციტაძე

პოლიციას ხშირად აკითხავენ ის მოქალაქეები, რომლებიც უცხოეთში წასვლის გზების ძიებისას თაღლითების მსხვერპლნი გახდნენ, უკანასკნელი კაპიკები დაკარგეს და სასურველ ქვეყანამდეც ვერ მიაღწიეს.

ამ რამდენიმე ხნის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთმა დაზარალებულმა მიაკითხა და თავისი და კიდევ იმ 29 ქართველის ისტორია მოუყვა, რომლებიც თაღლითებმა მწარედ გააცურეს (დანაშაულში ეჭვმიტანილთა და დაზარალებულთა გვარებს, პოლიცია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ ასახელებს, ამიტომ მათ ჩვენც მხოლოდ სახელებით მოვიხსენებთ).

გაგრძელება A7 გვერდზე

# საკრებულო მთავრობას „დამნაშავეების" დასჯას სთხოვს

სოფიკო ოხანაშვილი

*საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ გუშინ გამართულ სხდომაზე ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურების ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა და მთავრობას მათი თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვა. ამ ღონისძიებების გასატარებლად კომისიამ მთავრობას ათი დღის ვადა მისცა. საკრებულოს წევრების კითხვებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი პასუხობდა.*

გასული წლის თბილისის ბიუჯეტის გეგმა (მოსაკრებლების კუთხით) მხოლოდ 67 პროცენტით, მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა კი 49 პროცენტით შესრულდა. თბილისის 2002 წლის ბიუჯეტის ამ ნაწილში გარღვევამ 2 მილიონ 185 ათასი ლარი შეადგინა.

გაგრძელება A4 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დედაქალაქის ბიუჯეტის შეუსრულებლობამ საკრებულოს აღშფოთება გამოიწვია.*

# ამერიკული ტელეკომპანია საქართველოს ტერორისტების შეფარებაში ადანაშაულებს

შოთა უტიაშვილი

ამერიკული ტელეკომპანია "ეი-ბი-სი" "წყაროებზე დაყრდნობით" იუწყება, რომ განახლებული ალ-ქაიდა საქართველოს ტერიტორიიდან მოქმედებს.

ტელეკომპანიის ცნობით, მან ანონიმური წყაროებისაგან შეიტყო, რომ საქართველოში ალ-ქაიდას ახალი საწვრთნელი ბანაკები გაჩნდა, სადაც ტერორისტებს ამზადებენ. საქართველოში მომზადებული ტერორისტები, შავი ზღვის გავლით, თურქეთში გადაჰყავთ. ევროპაში გადასვლამდე, ალ-ქაიდას ხალხი თურქეთში, საიმედო ადგილებში აფარებს თავს.

ტელეკომპანიის ჟურნალისტი ბრაიან როსი, რომელმაც, სავარაუდოდ, საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაცია მოიპოვა, წერს, რომ თურქეთში იგი შეხვდა ერთ-ერთი ასეთი საიმედო ადგილის, სასტუმრო "ინტერიუთის" თანამშრომელს, რომელმაც მას განუცხადა: თუნდაც იცოდეს, რომ მის სასტუმროში ალ-ქაიდას ან ჰიზბოლას წევრი შევიდა, ამის შესახებ პოლიციას არ აცნობებს. ეს ერთადერთი "ფაქტობრივი ინფორმაციაა", რომელიც ტელეკომპანიას თავისი განცხადების დასასაბუთებლად მოჰყავს.

საინტერესოა, რომ ტელეკომპანიის ინფორმაციაში საუბარი არაა "აშშ-ს ადმინისტრაციასთან დაახლოებულ წყაროზე" ან "სადაზვერვო წყაროზე", რაც ტრადიციული ფორმულირებაა მაშინ, როდესაც ციტირებული ინფორმაცია აშშ-ს ხელისუფლებიდან მოდის. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რესპექტაბელური ამერიკული ტელეკომპანიის ჟურნალისტი საქართველოზე ინფორმაციის მიღებისას, რუსულ წყაროებს დაყრდნობოდა. ამდენად, არ არის გამორიცხული, ინფორმაციის წყარო საქართველოში იყოს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას განაჩენს ივნისში გამოუტანს

სოფო კვინტრაძე

საქართველოში გაცნობითი ვიზიტით პირველად იმყოფება საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯეროენ კრემერსი, რომელიც ამ ორგანიზაციაში თერთმეტი ქვეყნის, მათ შორის - საქართველოს ინტერსებსაც წარმოადგენს. გუშინ იგი სახელმწიფო კანცელარიაში ფონდის საქართველოს წარმომადგენელს ჯონათან დანს შეხვდა, სადაც მიიღო ინფორმაცია ქვეყანაში სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. კრემერსის პირველი და ზოგადი შთაბეჭდილებები საქართველოზე დადებითია, შეხვედრის დეტალებზე კი იგი არ საუბრობს. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე აცხადებს, კრემერსის ვიზიტი მხოლოდ გაცნობითი ხასიათისაა. **"სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულებისა და პროგრამის გაგრძელების თაობაზე ჯეროენ კრემერსი ვერდიქტს ვერ გამოიტანს. იგი საქართველოში თავისი სურვილით ჩამოვიდა, რომ ადგილზე გაეცნოს სიტუაციას,"** – აცხადებს გიორგი ისაკაძე. ივნისის ბოლოს კი სავალუტო ფონდის მისია, რომელსაც პაოლო ნეუჰაუსი უხელმძღვანელებს, კვლავ ეწვევა საქართველოს. ამჯერად მისიის მიზანი საქართველოს შესახებ სწორედ

გაგრძელება A3 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ავტომობილი

B2 რევიუ B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# უპენსიობა და უხელფასობა - პროტესტის ტალღა იმერეთში

ბექა სისაური
ქუთაისიდან

წყალტუბოში ორი დღეა, რაც დევნილები "საფოსტო ბანკის" წინ აქციებს მართავენ და კუთვნილი შემწეობების შეუფერხებლად დარიგებას მოითხოვენ. დევნილების განცხადებით, "საფოსტო ბანკი" მათ კუთვნილი თანხის დარიგებას მაქსიმალურად უჭიანურებს და დღეში მხოლოდ ათამდე ადამიანს ისტუმრებს, როდესაც რიგში, ყოველდღიურად, დაახლოებით, 150-მდე კაცი დგას. **"მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, "საფოსტო ბანკმა" სისხლი გაგვიშრო და ნერვები გაგვიფუჭა. იტყვიან, ფული მოვიტანეთო და მათი მოტანილი თანხა სულ ორ კაცს ჰყოფნის. მერე ამბობენ, რა ვქნათ, თანხა გამოგველიაო. ჯერ მთავრობას რა დღეში ვყავართ ჩაყენებული და ახლა ამ ბანკს მისცა ჩვენი თავი საჯიჯგნად. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაირკვეს, "საფოსტო ბანკი" ჩვენს კუთვნილ თანხას რას უშვრება?** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას აფხაზეთიდან დევნილმა ლონდერ მაქაცარიამ. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იმერეთის წარმომადგენლობაში განმარტავენ, რომ დევნილთა კუთვნილი შემწეობები ფინანსთა სამინისტროს მიერ სრულადაა გადმორიცხული. **"წყალტუბოში დევნილთა აქციის მიზეზი შემწეობების გაუცემლობაა. "საფოსტო ბანკს" თანხა ძალიან ცოტა რაოდენობით მოაქვს. ორი დღის წინ დევნილებმა ბანკის წინ აქცია მოაწყვეს და კუთვნილი თანხების სრულად გაცემა მოითხოვეს, თუმცა ბანკმა თანხის სრულად გაცემა ვერც მეორე დღეს მოახერხა, რასაც განმეორებითი აქციები მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით, ბანკის გამოცვლის საკითხი რამდენჯერმე დადგა, დევნილები "საფოსტო ბანკს" პერიოდულად უნდობლობას უცხადებენ, თუმცა აღნიშნული საკითხი ჩვენს დონეზე არ წყდება. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულებს სამი თვის პენსია აქვთ აუღებელი,"** - აცხადებს აფხაზეთის რეგიონში ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი ოთარ კუხალაშვილი

გუშინვე იმერეთში "შაორჰესის" მუშა-მოსამსახურეებმა შიმშილობა დაიწყეს, ისინი, უკვე 25 დღეა, რაც გიფიცულები არიან და კუთვნილი ხელფასების გაცემას მოითხოვენ. ჰესის მოსამსახურეებს 15-16 თვის ხელფასები აქვთ აუღებელი. გაფიცვის მიუხედავად, ჰესის აგრეგატები ჩართულია და იგი ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მუშები მის შემდგომ მომსახურებაზე ამბობენ უარს. "შაორჰესზე" მუშებმა კუთვნილი თანხა ბოლოს თებერვალში აიღეს. **"შაორჰესის" დირექტორი ამჟამად თბილისშია და, შესაძლოა, ერთი თვის ხელფასის გაცემა მოხერხდეს. ჰესზე მაღალი ხელფასებია დანიშნული, საშუალოდ, 700 ლარის ოდენობით. მოსახლეობის მხრიდან არსებული გადახდის პირობებში ენერგეტიკის სამინისტრო არსებული დავალიანების დაფარვას ვერ ახერხებს და ვალები გროვდება. შეიძლება ითქვას, რომ სამინისტრომ თავისი შესაძლებლობები ვერ გათვალა,"** - განმარტა ჩვენთან საუბრისას გუბერნატორის პირველმა მოადგილემ ზურაბ ქაჯაიამ.

# „ხარაგაულის არჩევნები ხელისუფლების სატყუარაა"

პირველი გვერდიდან

ხარაგაულის არჩევნების მაგალითზე დაყრდნობასა და ნდობას სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება არ აპირებს და საკუთარ გეგმებსა და მიზნებს აცნობს საზოგადოებას, თუ როგორ შეიძლება ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ამის პირველ და აუცილებელ პირობად მათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მთლიანად შეცვლა და საზოგადოების მიერ არჩეული პირებით დაკომპლექტება მიაჩნიათ, **"მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულში არჩევნები თითქმის დარღვევების გარეშე ჩატარდა, არ შეიძლება ვენდოთ მათ. არ არის გამორიცხული, ეს აღმოჩნდეს სატყუარა ხელისუფლების მხრიდან და შემოდგომაზე დავდგეთ ისეთი შედეგის პირისპირ, როგორიც რუსთავში და არაერთ სხვა საარჩევნო უბანში მოხდა".**

საარჩევნო ადმინისტრატორი ნუგზარ კუპრეიშვილი რუსთავის არჩევნებთან დაკავშირებით აღშფოთებას გამოთქვამს. რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი როლანდ მგალობლიშვილი დღეს პარლამენტის წევრია და კანონშემოქმედებით მუშაობას ეწევა. მათი აზრით, ეს არის დიდი კანონდარღვევა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის აზრით, რუსთავის არჩევნებით ხელისუფლება უფრო მეტად დაინტერესებული იმიტომ აღმოჩნდა, რომ რუსთავი ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური ღერძია. ხარაგაულში ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა საზოგადოების წევრებს აძლევს საბაბს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ასეთივე აქტივობა ივარაუდონ. ამისათვის ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამომრჩეველთა სიების სწორად შედგენას. ისინი დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულებას, სადაც ამომრჩეველთა სიების შედგენა პოლიციის განყოფილებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალათ, **"დამაიმედებელ შედეგებს ვერც აქ ვხედავთ, რადგან, ზოგადად, ეს პროცესი ქვეყნის მასშტაბით ძალიან არაორგანიზებულად მიმდინარეობს,"** - აცხადებს ჭიაბერაშვილი. მათი აზრით, ეს პროცესი ჭიანურდება სწორედ იმის გამო, რომ მაისის ბოლოს ამომრჩეველთა სრული სია უნდა ჩაბარდეს. ასევე არ არის შეთანხმებული მუშაობა პოლიციასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის. დიდ გაუგებრობას იწვევს ის ფაქტიც, რომ საქართველოში მიგრაციის პროცესი ძალიან მაღალია, ამიტომ აუცილებლად უნდა გაირკვეს ამ ხალხის სიებში შეყვანის პრინციპი, რათა არ მოხდეს სიების გაორმაგება.

არჩევნების ჩატარების დღის დანიშვნის მიუხედავად, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წევრები ეჭვს გამოთქვამენ იმის თაობაზე, ჩატარდება თუ არა ნორმალური, დემოკრატიული არჩევნები. ამისათვის საჭიროა საზოგადოების განათლება არჩევნებთან დაკავშირებით, თავად არჩევნების გადადებას კი ისინი პოლიტიკურ ნებად აფასებენ, თუმცა ჭიაბერაშვილის თქმით, **"არჩევნების გადადება იქნება სერიოზული დარტყმა საქართველოსთვის, ამ ქვეყნის სუვერენიტეტისათვის და დემოკრატიული განვითარებისათვის. ამჟამად საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტს უნარჩუნებს ის, რომ არჩევნები ტარდება მაინც. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები არ ჩატარდა, მაშინ მას აღარ ექნება უფლება, წარსდგეს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, როგორც ნორმალური სახელმწიფო."** ყველა შემთხვევაში, რამდენად აგრესიულიც არ უნდა იყოს ოპოზიცია, პასუხისმგებლობას საზოგადოების წევრები მაინც ხელისუფლებას ანიჭებენ.



"არჩევნების გადადება იქნება სერიოზული დარტყმა საქართველოსთვის, ამ ქვეყნის სუვერენიტეტისათვის და დემოკრატიული განვითარებისათვის." - აცხადებს "სამართლიანი არჩევნები".

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეუთო-ს წევრებით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ზურაბ ჭიაბერაშვილს მაგალითად მოჰყავს ბოსნია, სადაც არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება ეუთო-მ თავად უზრუნველყო. **"როცა ბოსნიაში არჩევნები ეუთო-ს ხელმძღვანელობით ჩატარდა, მაშინ ბოსნია არ იყო გამოცხადებული, როგორც სახელმწიფო. თუ საქართველო დღეს აღიარებს, რომ ის არ არის სახელმწიფო, მაშინ მოვიწვიოთ ეუთო"**, - ამბობს ჭიაბერაშვილი, მაგრამ თუ საზოგადოებას აქვს თავმოყვარეობა და სურვილი, მაშინ საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება საზოგადოების დირექტორი ამ ქვეყნის პოლიტიკოსების გადასაწყვეტად მიიჩნევს. სამართლიანი არჩევნების წევრები ცესკოს პარტიული ნიშნით დაკომპლექტებას გამორიცხავენ, რადგან საქართველოში "**ჯერ არ არსებობს ამის კულტურა**". მაგრამ, ისინი არ ემხრობიან არც ხელისუფლების მიერ დაკომპლექტებას, რადგან ხელისუფლებას საზოგადოებაში ნდობა დაკარგული აქვს. მათი აზრით - ცესკო უნდა დაკომპლექტდეს საზოგადოების წარმომადგენლების მიერ წარდგენილი წევრებით. როგორი სახითაც არ უნდა დაკომპლექტდეს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად ისეთი დაკომპლექტება მოიაზრება, რომელიც ხალხის ნდობას დაიმსახურებს.

# ორგანიზაცია „ღირსეული მომავლისათვის" პარტიების გაჯანსაღებაზე იზრუნებს

*მოძრაობამ "ღირსეული საქართველოსათვის" საზოგადოების გარკვეულ ნაწილს თავი იმით დაამახსოვრა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს სახალხო მოძრაობის შექმნა და მის სათავეში ჩადგომა შესთავაზა. პარლამენტის თავმჯდომარემ ეს იდეა მაშინ "საინტერესოდ" შეაფასა და მიიჩნია, რომ მასზე დაფიქრებაც ღირდა.*

ლენა მიქაძე

ნინო ბურჯანაძეს გუშინაც ელოდნენ. იგი მოძრაობის კონფერენციაზე - "ხედვა ღირსეული საქართველოსათვის" - დასასწრებად მიიწვიეს. როგორც მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და კონფერენციის ორგანიზატორი ირაკლი კაკაბაძე აცხადებდა, ბურჯანაძის გარდა, სხვებიც იყვნენ მიწვეულნი. თუმცა, მისვლა ბევრმა ვერ მოახერხა. "მოხერხებულებში" გუშინ "დემოკრატი" გიორგი ბარამიძე, "მრეწველი" დავით სალარიძე, "ლეიბორისტი" დავით კავთიაშვილი და სხვები აღმოჩნდნენ. როგორც გავარკვიეთ, შეკრებაზე დასწრებას მცირე ხნით პარლამენტის თვმჯდომარეც გეგმავდა, თუმცა, ვილნიუსში გამგზავრების წინ ვეღარ მოიცალა. მოძრაობის წარმომადგენელი ლეილა გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარისათვის წინადადება ძალაში რჩება, ახლა საქმე თავად მასზეა.

კონფერენციაზე გამომსვლელები კი ღირსეული საქართველოსათვის თავის ხედვაზე საუბრობდნენ, როგორც იურიდიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. გამომსვლელებში იურისტი დავით უსუფაშვილიც ერია, რომელმაც სახელმწიფოს მეთაურის პარლამენტის წინაშე წარმოთქმული სიტყვის ალტერნატიული ვარიანტი წარმოადგინა. სიტყვა აშკარად პრეზიდენტისათვის უჩვეულო, პოზიციურ სტილში გახლდათ დაწერილი. გამომსვლელები, როგორც ვთქვით, ბევრ რამეზე საუბრობდნენ, მათ შორის, საარჩევნო კოდექსზეც. ახალგაზრდა იურისტმა ნიკა გვარამიამ ცესკო-ს დაკომპლექტების წესი წარმოადგინა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოთხპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი პარტიების გარდა, თითო-თითო ავტონომიების წარმომადგენელი, 5 წევრის კვოტა კი საერთაშორისო ორგანიზაციებს ერგოთ.

როგორც ირაკლი კაკაბაძე ამტკიცებს, **" მოძრაობა პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაკეთებას არ აპირებს. თუმცა, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მოძრაობის რამდენიმე წარმომადგენელი მიიღებს. არჩევნებისას, მოძრაობის მთავარი მიზანი ჯანსაღი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა და მათი საბოლოოდ გამოჯანსაღებისათვის მხარდაჭერა იქნება".** თუ ვინ იგულისხმება ამ შედარებით "ჯანსაღ" ძალებში, კაკაბაძეს აღარ დაუკონკრეტებია. ამ კატეგორიაში, წესით, უპრობლემოდ უნდა მოხვდეს პარლამენტის თავმჯდომარე, რომლისადმიც მოძრაობის წევრები სიმპათიებს არ მალავენ. კაკაბაძე ამის კატეგორიულად მტკიცებისგან თავს იკავებს: **" ვნახოთ, რამდენად კარგად წარიმართება ჩვენი ურთიერთობა. მხარს იმ პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებს დავუჭერთ, ვინც ეკონომიკური და დემოკრატიული პროცესების გასავითარებლად ამომრჩევლის სოციალური დაკვეთის შესრულებას შეძლებს".**

# „ლეიბორისტებმა შევარდნაძის დაკვეთა შეასრულეს"

"ნაციონალებსა" და "ლეიბორისტებს" შორის ურიერთობები უკიდურესად იძაბება. გუშინ პარლამენტში "ნაციონალებმა" შალვა ნათელაშვილი და ფრიდონ ინჯია პრეზიდენტ შევარდნაძის დაკვეთის შესრულებაში დაადანაშაულეს. პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც დღის წესრიგში "ლეიბორისტების» მიერ წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის შეტანას გულისხმობს, ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ამ ალიანსის დეტალებზე ისაუბრა.

"ლეიბორისტული კოსტიტუციის" პროექტის განხილვა სასესიო კვირის დღის წესრიგში ფრიდონ ინჯიას დაჟინებული მოთხოვნით შევიდა. 102-მა პარლამენტარმა (ძირითადად, სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლებმა) ინჯიას ინიციატივას საკმაოდ უმტკივნეულოდ დაუჭირეს მხარი.

**"შევარდნაძის სურვილი, მაჟორიტარებისთვის უფლებამოსილების გაგრძელების თაობაზე, ლეიბორისტებმა გაახმოვანეს. მათ პრეზიდენტის დაკვეთა შეასრულეს",** – ამბობს კობა დავითაშვილი, რომელიც იქვე დასძენს: "ლეიბორისტები" ტყუიან, როცა აცხადებენ, რომ ცვლილების მიღების შემთხვევაში პრეზიდენტს უფლებამოსილება შეეკვეცება, რადგან, ამ პროექტის თანახმად, ახალი კონსტიტუცია ახალი პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევის შემდეგ შედის ძალაში.

"ლეიბორისტებისა" და ხელისუფლების ფარული ალიანსის დასტურად დავითაშვილს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: კონსტიტუციის პროექტის თანახმად, სტრატეგიული მნიშვნელობის სიმდიდრეებისა და დარგების გასხვისება უნდა აიკრძალოს და უკვე პრივატიზებული სტრატეგიული ობიექტები სახელმწიფო სარგებლობაში დაბრუნდეს. კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ **"ლეიბორისტებს" პროექტში მითითებული აქვთ სტრატეგიული სფეროები, მაგრამ ამ ნუსხაში არ არის კავშირგაბმულობის სფერო, რომელიც ფრიდონ ინჯიამ, პრეზიდენტის ქალიშვილთან და სიძესთან ერთად, კარგა ხნის წინ გადაინაწილა: ერთი ასმილიონიანი ლიცენზია ინჯიამ მანანა შევარდნაძესა და გია ჯოხთაბერიძეს ჩაუდო ჯიბეში, მეორე კი თვითონ ჩაიჯიბა".** დავითაშვილმა უკვე არც კი იცის, **"ვინ არის ქართველ "ლეიბორისტთა" ჭეშმარიტი ლიდერი – შალვა ნათელაშვილი თუ ფრიდონ ინჯია".**

დავითაშვილის აზრით, "ლეიბორისტებს" აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების შემოტანით, პრეზიდენტ შევარდნაძის "პრემიერ-მინისტრობა სურთ" და ორპალატიანი პარლამენტის შემოღებით ბურჯანაძის გადაყენებას გეგმავენ.

დავითაშვილის განცხადებით, დღეიდან "ლეიბორისტული პარტია" ოპოზიციას აღარ წარმოადგენს, რადგან ხელისუფლებასა და "ლეიბორისტებს" შორის ღია ალიანსი ეჭვს აღარ იწვევს.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** ზემო სვანეთის მიმართულების ახლადჩამოყალიბებულ ბატალიონ "მესტიას", რომელიც ეროვნული გვარდიის დაქვემდებარებაშია და ადგილობრივი რეზერვისტებისაგან არის დაკომპლექტებული, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული ქართველი ოფიცრები 24 მაისიდან თბილისში სამკვირიან სამხედრო წვრთნებს ჩაუტარებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე "ალ ქაიდას" ტერორისტების მოსამზადებელი ბანაკების არსებობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ოფიციალურად არიან მიწვეულნი სანკტ-პეტერბურგის ხელმძღვანელობის მიერ რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქის 300 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში ამჟამად "საეჭვო პირები პრაქტიკულად არ არიან". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს დაავალა, განიხილოს უზენაესი სასამართლოს მიერ გეოლოგიის ინსტიტუტიდან დევნილთა გამოსახლების და შემდეგ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ იუსტიციის სამინისტროში გაგზავნილი წერილის საფუძველზე ამ გადაწყვეტილების შეცვლის საკითხი. **პრაიმ-ნიუსი**

# ავთანდილ ჯორბენაძეს პარლამენტში ძალით ექაჩებიან

*პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე, კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე დეპუტატ ჯუმბერ პატიაშვილისგან გაისმა მოთხოვნა – საკანონმდებლო ორგანოში სახელმწიფო მინისტრის მისვლისა და მისგან შესაბამისი განმარტების მიღების შესახებ. საქმე ეხება ავთანდილ ჯორბენაძის მიერ დაახლოებით ერთი თვის წინათ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, მას გააჩნია იმის დამადასტურებელი მასალები, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები დაახლოებით 300 ათასი ხმით გაყალბდა და გამყალბებელთა ვინაობა მისთვის ცნობილია.*

გიორგი გიორგაძე

სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები გუშინაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, პარლამენტში ჯორბენაძის "დაბარების" წინააღმდეგ წავიდნენ. მათმა პოზიციამ გააოგნა "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე. ამ უკანასკნელისთვის აუხსნელი დარჩა, თუ მაშინდელი უმრავლესობა (რომელიც დღეს ოპოზიციაშია) მართლა აყალბებდა არჩევნებს, რატომ არ სურს დღევანდელ უმრავლესობას მისთვის ასეთი სასიამოვნო ამბის დეტალების შეტყობა.

პროსახელისუფლებო ფრაქციების სიჯიუტემ პარლამენტში ბევრისმნახველი გიგი წერეთელიც განაცვიფრა. **"თუ გაქვთ კომპრომატები, მოდით და თქვით, ეს ხომ, წესით, თქვენს ინტერესებში უნდა შედიოდეს?"**, - ვიცე-სპიკერის ამ კითხვას სახელისუფლებო ფრაქციები დუმილით შეხვდნენ.

გაოცებას ვერც "აღორძინების" წევრები ფარავდნენ. მათთვის ძნელად ასახსნელი იყო, კერძოდ, სოციალისტების ფერისცვალება. **"ადრე იძახდით, არჩევნების შედეგები გაყალბდაო, ახლა კი, როდესაც მომავალ პარლამენტში ორიოდე ადგილი მოგიგდეს, უკვე მიგაჩნიათ, რომ ფალსიფიცირება არ მომხდარა?"**, - მიმართა სანდრო ბრეგაძემ ვახტანგ რჩეულიშვილის თანამებრძოლებს.

რაც "გაუგებარი" იყო ბევრისთვის, სულ ადვილად განმარტა დეპუტატმა ვახტანგ გვარამიამ. **"ის, ვისაც არ უნდა, რომ ჯორბანაძე პარლამენტში მობრძანდეს და საკითხს ნათელი მოჰფინოს, მომავალი არჩევნების გაყალბების იმედით სულდგმულობს. ჰოდა, ნურც ის გიკვირთ, რომ ხელისუფლება თავს იკლავს, რათა ცესკო-ში უმრავლესობა ჰყავდეს"**, - ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა პარლამენტარმა.

ხანგრძლივი კამათი კენჭისყრით დასრულდა. სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ ხმა მისცა გადაწყვეტილებას, რომ მიმდინარე კვირაში სახელმწიფო მინისტრი პარლამენტში გამოცხადდეს.

# შევარდნაძე და ნათელაშვილი ერთ ნავში

გიორგი ასანიშვილი

*მეცნიერებაში ხშირად მომხდარა, რომ ორი მკვლევარი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მისულა საერთო დასკვნამდე. ჯოული და ლენცი, ბოილი და მარიოტი, - ამ "წყვილებმა", სხვადასხვა დროსა და ვითარებაში გაკეთებული აღმოჩენის მიუხედავად, ისტორიაში მაინც ერთად დაიმკვიდრეს ადგილი. ალბათ, ასევე მოხდება "ლეიბორისტი" შალვა ნათელაშვილისა და "მოქალაქე" ედუარდ შევარდნაძის შემთხვევაშიც: ის მოსაზრებები, რაც საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტისადმი 2002 წლის მიმართვაში გაახმოვანა, ლეიბორისტული პარტიის ინიციატივით პარლამენტში წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ძირითად დებულებებს თითქმის მთლიანად ემთხვევა. ორპალატიანი პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი, ტერიტორიული მოწყობა - ამ სფეროებში შევარდნაძეცა და ნათელაშვილიც, როგორც ჩანს, ერთნაირად და "პარალელურად" აზროვნებენ.*

თუმცა ის, რასაც მეცნიერებაში აღმოჩენას უწოდებენ, ქართულ პოლიტიკაში ცოტა სხვანაირად ინათლება. მას ხელისუფლებასთან შალვა ნათელაშვილის "ფარული თანამშრომლობის" გამოვლინებად მიიჩნევენ. ისე, სულაც არ არის არსებითი, ზემოთ ნახსენებ საკითხებში ვის დარჩება საავტორო უფლება. ამ შემთხვევაში, მთავარი, ალბათ, უფრო ის გახლავთ, რომ კანცელარიისა და მთავარი ლეიბორისტის პოლიტიკური ინტერესები ერთ წერტილში გადაიკვეთა. "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის ვასილ მაღლაფერიძის თქმით, მთელი ამ საკანონმდებლო დუალიზმის უკან ერთი სქემა მოჩანს.

**"თუ საკონსტიტუციო ცვლილებებს მივიღებთ, დღევანდელ მაჟორიტარებს უფლებამოსილება გაურკვეველი ვადით გაუგრძელდებათ"**, - აცხადებს მაღლაფერიძე და დასძენს, რომ, როდესაც ექვსი თვის წინათ კანცელარიიდან ასეთი ხმები წამოვიდა, თავდაპირველად, ხუმრობა ეგონა. ახლა კი, როდესაც ლეიბორისტებმაც გადაწყვიტეს "გახუმრება", მიხვდა, რომ საქმე ძალიან სერიოზულად არის. **"ეს მეტად მოლიპული გზაა და პარლამენტარიზმის დასამარების ტოლფასია"**, - მიიჩნევს "დემოკრატი" დეპუტატი.

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ფრიდონ ინჯიას მიერ წარმოდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს პარლამენტარი კობა დავითაშვილიც იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომლებზეც სხვა ოპოზიციური ჯგუფების წევრები საუბრობენ - ხელისუფლებისა და ლეიბორისტების ალიანსი სულ უფრო ნათლად იკვეთება. **"ეტყობა, მათ შორის არსებობს შეთანხმება, რომ შეიქმნას მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტი და, თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასალიერზე, ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტის სავარძლიდან პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გადაჯდეს, ხოლო სენატის შექმნის მოტივაციით, დღევანდელ მაჟორიტარ დეპუტატებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეთ"**, - აღნიშნავს დავითაშვილი.

რაც შეეხება თავად კანონპროექტის წარმომდგენ ფრიდონ ინჯიას, გუშინდელი სხდომის დროს "გულთბილი სურვილები" არც პირადად მას დაჰკლებია.



ფრიდონ ინჯიას და მის თანაპარტიელებს ძალზე გაუჭირდებათ პარლამენტის დარწმუნება საკონსტიტუციო ცვლილებების მიზანშეწონილობაში.

**"საკითხის გამომტანი, წესით, პარლამენტის ტრიბუნასთან კი არ უნდა იდგეს, არამედ მიშა სააკაშვილის გარემონტებულ ციხეში იჯდეს. ასეთი განცხადების უფლებას მაძლევს წინა მოწვევის პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის მიერ ერთხმად მიღებული დასკვნა, რომელშიც ინჯიას დანაშაულებრივ საქმიანობაზე არის საუბარი"**, - აცხადებს გიორგი ბარამიძე, რომელიც, თავის დროზე, აღნიშნულ კომისიას ხელმძღვანელობდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის პოლიტიკურ წახნაგებს თავი რომ დავანებოთ, პარლამენტარები ვერც დოკუმენტის სამართლებრივმა და ტექნიკურმა მხარემ მოხიბლა. **"როგორც არ წავიკითხე და საიდანაც არ მივუდექი, მასში ვერაფერი ვნახე გონივრული"**, - თავისი გაწბილება არ დაუმალავს დეპუტატ გერმანე ფაცაციას, ისევე, როგორც ვახტანგ ხმალაძეს, რომელმაც კანონპროექტში მრავლად აღმოაჩინა შეუსაბამობები და ლაფსუსები.

საინტერესოა ერთი გარემოებაც: გუშინდელი მსჯელობის დროს პროექტისადმი ღია მხარდაჭერა, ფაქტობრივად, არავის გამოუხატავს. ხელისუფლების მხარდამჭერი ფრაქციების წარმომადგენლებიც კი უხმოდ ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ "სტანჯავდნენ და აწამებდნენ" ოპონენტები ეულად დარჩენილ ინჯიას. თუმცა, პროსამთავრობო დეპუტაციის ინდიფერენტულობა მოჩვენებითია: მათთვის მთავარია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც ბევრი მათგანისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების გახანგრძლივებას ითვალისწინებს, ადგილიდან დაიძრა. ისინი მაშინ "გააქტიურდებიან", როდესაც პულტებზე ხელის დაჭერის დრო მოვა.

# პარლამენტმა გენპროკურორი ხელცარიელი გაისტუმრა

პირველი გვერდიდან

სდებენ ბრალს. ნუგზარ გაბრიჩიძის თქმით, ბეჟუაშვილის სადეპუტატო იმუნიტეტი ძიების პროცესს აფერხებს და ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ხალხის რჩეული კანონის პირისპირ რიგითი მოქალაქის რანგში წარსდგეს.

გენერალური პროკურორის მოთხოვნამ გუშინ პარლამენტართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზაქარია ქუცნაშვილი და სახელისუფლებო ფრაქციების სხვა წარმომადგენლები გაბრიჩიძეს მოთხოვნათა პირველ ნაწილში ეთანხმებიან და მზადყოფნას გამოთქვამენ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბეჟუაშვილის მიცემას მხარი დაუჭირონ, მაგრამ წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ მას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდოს. საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის დასკვნაც, დაახლოებით, ასეთივეა.

სხვა დეპუტატები ბეჟუაშვილს ბოლომდე ესარჩლებიან. **"გენერალური პროკურატურა აქლემის როლშია. ხელისუფლებამ მას ისეთი ტვირთი აჰკიდა, რომლის თრევაც მას აშკარად უჭირს. რაც დღეს პარლამენტში ხდება, ეს შეკვეთაც კი არ არის. შეკვეთას უფრო უკეთესი შესრულება სჭირდება"**, - აცხადებს ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წარმომადგენელი დავით ჭიჭინაძე, რომელიც მოუწოდებს გაბრიჩიძეს, ნამდვილი დამნაშავეები სხვაგან ეძებოს. **"გაიარეთ საქართველოს გზებზე, ნახეთ, რა მდგომარეობაა და მერე გაიხსენეთ, რომ ბორის სარალიძის პასუხისგებაში მიცემას მისთვის იმუნიტეტის მოხსნა სულაც არ სჭირდება"**, - დასძენს ჭიჭინაძე.

თავად ბეჟუაშვილის აზრით კი, მის წინააღმდეგ სამართალდამცავები შეტევაზე იმიტომ გადმოდიან, რომ კარსმომდგარ არჩევნებში გარკვეულ პოლიტიკურ ძალას მხარი არ დაუჭიროს და ფინანსურად არ დაეხმაროს (შეგახსენებთ, რომ ბეჟუაშვილი "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრია და მისი რიგები მას შემდეგ დატოვა, როდესაც ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა გაძლიერდა). **"ამ შეთითხნილი საქმის უკან, რეალურად, არაფერი დგას. ეს არის მხოლოდ დემაგოგია და ბელეტრისტიკა. თუ ბიუჯეტს მილიონები კი არა, თუნდაც 10 ლარი დავაკელი, მზად ვარ, კანონის მთელი სიმკაცრით დავისაჯო, თუ არა და, პროკურატურამ ცილისწამებისთვის ბოდიში უნდა მომიხადოს"**, - კონტრშეტევაზეც კი გადადის ბეჟუაშვილი. მისი მოთხოვნაა, რომ მიხეილ ოსაძის საპარლამენტო კომისიამ სამართალდამცავების მხრიდან მასზე ზეწოლის გამოვლინებები შეისწავლოს. ბეჟუაშვილი იმასაც აცხადებს, რომ "საქგაზში" ჩატარებული უამრავი შემოწმების მიუხედავად, გადასახადების დამალვის ფაქტები ერთხელაც არ დადასტურებულა. გარდა ამისა, პარლამენტარი იმითაც არის გაოცებული, რომ მის მიმართ გამოთქმული ბრალდებების მიუხედავად, სამართალდამცავებს აზრადაც არ მოსვლიათ, "საქგაზის" სათავო ფირმის - "იტერას" - წარმომადგენლები დაეკითხათ.

დეპუტატი კიდევ ერთი რამითაც არის განცვიფრებული: მისი არაერთი თხოვნის მიუხედავად, გენერალურმა პროკურატურამ ერთხელაც კი არ ჩათვალა საჭიროდ, თუნდაც მოწმის სახით, მისი დაკითხვა.

საბოლოოდ ვისი არგუმენტები გადაწონის - გენერალური პროკურორისა თუ მაჟორიტარი დეპუტატის - კენჭისყრის შემდეგ გამოჩნდება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ახალ ელჩს თბილისი დედამ შეაყვარა

სოფო ბუკია


ვახო ბასილიას ფოტო
*ფაბრიციო რომანო კალაძის გამო "მილანს" უგულშემატკივრებს.*

**"ყოფილ საბჭოთა კავშირში, ვლადივოსტოკიდან – კავკასიამდე, თბილისი ყველაზე ლამაზი ქალაქია,"** – იტალიის ახალ ელჩს ფაბრიციო რომანოს საქართველოს შესახებ პირველი ცნობები დედამ გაუზიარა.

ბატონი რომანო თბილისში ერთი კვირის წინ ჩამოვიდა. გუშინ მან პრეზიდენტ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა. მანამდე ელჩმა საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებთან შეხვედრა და საკუთარი დედის სიტყვების მართებულობაში დარწმუნება მოასწრო. **"თბილისი მართლა ძალიან მომეწონა, მალე, ალბათ, საქართველოს სხვა ქალაქებსაც ვნახავ,"** – იმედი გამოთქვა ბატონმა ელჩმა ქართველ ჟურნალისტებთან პირველი შეხვედრისას.

როგორც ფაბრიციო რომანო გვპირდება, მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველო-იტალიას შორის არსებული "შესანიშნავი ურთიერთობები" კიდევ უფრო გაღრმავდება.

იტალია წელს ევროკავშირის თავმჯდომარეობას შეითავსებს, ამდენად, ამ ქვეყანას შეეძლება, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესში საქართველოს სერიოზული დახმარება გაუწიოს. როგორც ფაბრიციო რომანო ამბობს, იტალია მეგობარ საქართველოს აუცილებლად დაეხმარება.

იტალიის ელჩის სამომავლო გეგმა ქართული და იტალიური საწარმოების დაახლოებაა. მისი თქმით, უკვე დაგეგმილია გარკვეული ჰუმანიტარული დახმარებების გაწევა კონფლიქტის ზონებისთვის, განსაკუთრებით - გალის რაიონისთვის.

იტალია მზადაა, საქართველოს კრიმინალებთან და ტერორიზმთან ბრძოლის გამოცდილება გაუზიაროს. როგორც რომანომ აღნიშნა, ამ მიზნით იტალიაში შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილიცაა მიწვეული.

ბატონი რომანო კულტურული მოღვაწეობის გააქტიურებასაც გვპირდება. **"ორ თვეში საქართველოში ჩამოვა პიროვნება, რომელიც საელჩოში კულტურულ საკითხებზე იმუშავებს და ბევრ საინტერესო ღონისძიებას ჩაატარებს,"** – აცხადებს რომანო.

წარმოშობით პიზელმა რომანომ დიპლომატიური კარიერა 1987 წელს დაიწყო. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, კამერუნში, გერმანიაში, მოსკოვში კი იტალიის საელჩოს პირველი მდივანი გახლდათ. რუსული ენა კარგად იცის. ქართულსაც სიამოვნებით ისწავლიდა, მაგრამ ცოტა ეძნელება.

თავისი წინამორბედის, მიქელანჯელო პიპანის მსგავსად, ძალიან უყვარს სათხილამურო სპორტი და როგორც ყველა ჭეშმარიტი იტალიელი, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარიცაა. **"ჩემპიონთა ლიგაში მილანის გულშემატკივარი ვიქნები, რადგან იქ ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძე თამაშობს,"** – აცხადებს რომანო.

რომანოს მამა ბრეჟნევის დროს სსრკში სამხედრო საჰაერო ატაშე გახლდათ. ამდენად, მისი მშობლები ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს იცნობენ.

რომანოს მეუღლე არგენტინელია, მომღერალია და კარგად უკრავს ფორტეპიანოზე.

**"დარწმუნებული ვარ, საქართველოში ბევრი საქმის გაკეთებას შევძლებ. ის შეხვედრა, რომელიც საქართველოში მომიწყვეს, მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ ქართულ-იტალიური ურთიერთობები კიდევ უფრო მეგობრული გახდება,"** – ამბობს ელჩი.

# ეროვნების გრაფის გამო ალიაქოთი გრძელდება

ლენა მიქაძე

პირველი მოსმენით უკვე მიღებულ, "სამოქალაქო რეგისტრაციის აქტების" შესახებ კანონს ერთი ალიაქოთი კიდევ მოჰყვება. ამის საფუძველს ორი დღის წინ დეპუტატ გურამ შარაძის მხარდამჭერების საპროტესტო აქცია, გუშინ კი სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა იძლევა. "მრეწველი" დეპუტატი კანონის პირველი მოსმენით მიღებას კვლავ საეჭვოდ მიიჩნევს. პარლამენტის მანდატურის აპარატის მონაცემებზე დაყრდნობით იგი აცხადებს, რომ რამდენიმე დეპუტატის ხმის მისაცემი ბარათებით იყო მანიპულირება. **"თუ მანდატურის სამსახური ცდება ან ტყუის, მაშინ ისინი სამსახურიდან გასათავისუფლებელნი არიან. თუ არა, მაშინ კანონი მიღებულად ვერ ჩაითვლება",** - ცხარობდა შარაძე კომიტეტის სხდომაზე. საბოლოო სიტყვა, იყო თუ არა გაყალბება კანონის მიღებისას, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უნდა თქვას.

შარაძისაგან განსხვავებით, პირველი მოსმენით მიღებულ კანონში შეტანილი ფორმულირება - ეროვნება /მოქალაქეობა/ - ქართული, მისი ძველი მხარდამჭერის რევაზ მიშველაძისათვის მისაღებია. **"მე საერთო ენის გამონახვის მომხრე ვარ. მთავარია, სადმე დაფიქსირებული იყოს ეროვნება. ამ პროექტით ეს გათვალისწინებულია. გარმატიკულად ნამდვილად არასწორი იქნებოდა ფორმულირება: "მოქალაქეობა-ქართველი". ისე ნუ გამოვიყვანთ, თითქოს ეროვნების დასაცავად მხოლოდ პრეზიდენტი და გურამ შარაძე იბრძვიან. ხანდახან შარაძე იმასაც კი კითხულობს - ასეთი რაღაცეები ხდება, ჰყავს კი საქართველოს საერთოდ პრეზიდენტი?".**

შარაძე პოზიციას არ იცვლის. პირველი მოსმენით კანონის მიმღებ დეპუტატებს იგი ეროვნების გაუქმების მხარდაჭერაში ადანაშაულებს. გუშინ კომიტეტის სხდომაზე "ტრადიციონალისტ" ნატო ჩხეიძის ინიციატივით კიდევ ერთი ფორმულირება გაჩნდა. ფორმულირება ასე ჟღერს: "მოქალაქეობა /ნაციონალობა/ საქართველოს მოქალაქე". კომიტეტის წევრთა უმეტესობისათვის ეს ვარიანტი მისაღებია. ეროვნება დაბადების მოწმობის თანხმლებ სარეგისტრაციო ფორმაში ჩაიწერება. შარაძის განცხადებით კი, **"ეს ვარიანტი პირველზე უარესია".**

# სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას განაჩენს ივნისში გამოუტანს

პირველი გვერდიდან

გადაწყვეტილების გამოტანა იქნება. ნეუჰაუსი გაეცნობა, როგორ შეასრულა მთავრობამ ფონდის რეკომენდაციები, რის შემდეგაც გადაწყდება პროგრამის გაგრძელების საკითხი. დღეისათვის მთავრობას კვლავ შეუსრულებელი რჩება სავალუტო ფონდის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნა; მათ შორის არის საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც პარლამენტში წარდგენილია, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში მისი განხილვა არ მომხდარა. ფონდის მისიამ აღნიშნული ცვლილებები კოდექსის გამარტივების მიზნით მოითხოვა. საკანონმდებლო თვალსაზრისით გაურკვეველია იმ კანონპროექტის ბედიც, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს. როგორც ცნობილია, პარლამენტმა კანონპროექტი მხოლოდ ერთი მოსმენით მიიღო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მისამართით მკაცრი შეფასებები გამოთქვეს ევროსაბჭოს ექსპერტებმაც, რომლებმაც აღნიშნული კანონპროექტის საბოლოოდ მიღება მიმდინარე კვირაში მოითხოვეს. საქართველოს მთავრობას კვლავ მოუგვარებელი რჩება სამი დიდი საწარმოს - "საქართველოს რკინიგზის", "ფოთის პორტისა" და "მადნეულის" საერთაშორისო აუდიტის ჩატარების საკითხიც. აუდიტის თაობაზე კონკურსი გამოცხადებულია, შექმნილია საკონკურსო კომისიაც, რომელმაც აუდიტორების განაცხადების მიღება 15 აპრილიდან დაიწყო. აღნიშნული ვადა 14 ივნისს იწურება და საეჭვოა, მთავრობამ ფონდის მისიის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღეში მოაგვაროს ის საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ თებერვლის მისიის ჩამოსვლისას უნდა ყოფილიყო გადაჭრილი. მნიშვნელოვანია ასევე სავალუტო ფონდის მუდმივი მოთხოვნა – აჭარასთან საბიუჯეტო ურთიერთობების მოგვარება. მთავრობამ რეალური ნაბიჯები ჯერ ვერ გადადგა და მხოლოდ სპეციალურად შექმნილი კომისიების მუშაობით შემოიფარგლება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც პაოლო ნეუჰაუსმა საქართველოს მთავრობას ბოლო ვიზიტისას დაუტოვა, ენერგეტიკის სექტორს შეეხება. ნეუჰაუსმა ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება უარყოფითად შეაფასა და სასწრაფოდ მოითხოვა ამ საკითხის მოგვარებაც. თუმცა, ჯერჯერობით, ქვეყნის ხელისუფლებას არც ამ კუთხით მიუღია რეალური გადაწყვეტილებები. ივნისის თვეში საქართველოს მთავრობას იმ გადაწყვეტილების შესახებაც მოუწევს ახსნა-განმარტების მიცემა, რომელიც ორი დღის წინ მიიღო ფინანსთა სამინისტრომ. როგორც ცნობილია, მთავრობამ ხარჯების 55 მილიონი ლარით შემცირება გადაწყვიტა. როგორც გიორგი ისაკაძე აცხადებს, ხარჯები მეტ-ნაკლებად პროპორციულად შეუმცირდებათ სხვადასხვა უწყებებს, თუმცა მეტი წილი მაინც საგარეო ვალების მომსახურების შეკვეცაზე მოვა. **"ნებისმიერი ხარჯი აღდგება მაშინვე, როცა შემოვა ბიუჯეტში თანხები გადასახადებიდან, გრანტებიდან და პრივატიზაციიდან,"** – იმედს არ კარგავს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. ასე რომ, ივნისის მისია თებერვლისაზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდება. ხოლო თუ სავალუტო ფონდი საქართველოს პროგრამას შეუჩერებს, ქვეყანას პარიზის კლუბში ვალების რესტრუქტურიზაციის შანსიც დაეკარგება. მანამდე კი საქართველოში სტუმრად მყოფი ჯეროენ კრემერსი ქვეყნის პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხვდება.

# საერთაშორისო სასამართლო და საქართველო თავისი პრობლემებით

პირველი გვერდიდან

დეპუტატებს აინტერესებდათ, ემუქრება თუ არა საქართველოს რაიმე საფრთხე სტატუტთან მიერთებით. **"ქვეყნისათვის საფრთხე არ არის, ის შეიძლება მხოლოდ იმ პირებს დაემუქროს, ვინც დანაშაული ჩაიდინა",** - განმარტა დოლონაძემ. იუსტიციის მინისტრის მოადგილის გიორგი წკრიალაშვილის თქმით, სტატუტი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოდის.

რომის სტატუტის რატიფიცირებას, უკვე კარგა ხანია, ითხოვს თამაზ ნადარეიშვილი, რომელმაც სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში, აფხაზეთში ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ბრალდებით. კითხვაზე, შეძლებენ თუ არა აფხაზი სეპარატისტები იგივე ქმედების განხორციელებას საქართველოს წინააღმდეგ, თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ **"აფხაზეთს საქართველოს მიმართ სარჩელის შეტანა არ შეუძლია, ვინაიდან სეპარატისტულ რეჟიმს არავინ ცნობს და საქართველოს სეპარატისტების მიმართ დანაშაული არ ჩაუდენია".**

რომის სტატუტთან მიერთების მთავარი მოწინააღმდეგეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ახლები" გახლდნენ. მათ სხდომის დახურვა მოითხოვეს და მას შემდეგ, რაც ჟურნალისტები გამოისტუმრეს, პარლამენტარებს გააცნეს ამერიკელი "მეგობარი პოლიტიკოსებისგან" მიღებული არაოფიციალური განმარტებები რომის სტატუტთან და მასთან საქართველოს მიერთების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით: **"საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, თქვენი მთავარი პრობლემა დღეს იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებს, კერძოდ, აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთს ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. გარდა ამისა, კიდევ ერთი საშიშროება მომდინარეობს საქართველოს სხვა რეგიონებში ეთნიკური დაპირისპირების პოტენციური კერების არსებობისგან, რაც თქვენმა მტრებმა, შესაძლოა, მომავალში თქვენს წინააღმდეგ გამოიყენონ. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში გაართულებს ზემოთაღნიშნული პრობლემების მოგვარებას, ვინაიდან სასამართლოს შეუძლია, დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა შეაფერხოს, ისევე როგორც, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თქვენს ურთიერთობებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან.**

**გარდა ამისა, საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებას. თქვენი ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში კი ამ თანამშრომლობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება,"** – ნათქვამია რეკომენდაციებში.

**"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, თქვენ მზად უნდა იყოთ იმისათვის, რომ, წარუმატებლობის შემთხვევაში, ექსტრემალურ ზომას - ძალის გამოყენებასაც მიმართოთ. ეს მომენტი გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს ამა თუ იმ საერთაშორისო ვალდებულების აღების დროს. საერთაშორისო სისხლის სასამართლოში მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველო საკუთარ თავს, ფაქტობრივად, გაერო-ს სამშვიდობო პროცესის იმედად დატოვებს და სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას სამუდამოდ დაკარგავს. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წევრი ქვეყნის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში, მისი მთავრობა (პრეზიდენტის ჩათვლით), ისევე, როგორც კონფლიქტში მონაწილე ყოველი ჯარისკაცი, სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს, როგორც აგრესიის განხორციელებაში ბრალდებული. რომის ხელშეკრულებაში აგრესიის ცნება, თავის მხრივ, ძალზე ფართოა, როგორც უკვე გავაანალიზეთ. ასე რომ, თუ საქართველოს მტრები მოისურვებენ, რომ აფხაზეთი საქართველოს არასოდეს დაუბრუნდეს, თქვენ მიერ სამხედრო ძალის გამოყენებას აგრესიის კვალიფიკაციას მიანიჭებენ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერ არაწევრ ქვეყანას (მაგ. რუსეთს) შეუძლია სარჩელის შეტანა წევრი ქვეყნის საწინააღმდეგოდ, საერთაშორისო სისხლის სასამართლოში გაწევრიანების შემთხვევაში, საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება, თუ აფხაზეთში ძალის გამოყენების აუცილებლობა შეიქმნება. ამ შემთხვევაში, თვით სასამართლოს გადასაწყვეტი იქნება, იყო ეს ქართული მოქმედება აგრესია თუ არა. რატომ უნდა დააყენოთ თქვენი ქვეყანა ამ პრობლემის წინაშე?"** – კითხულობენ წერილის ავტორები.

წერილში საუბარია იმაზეც, რომ ხელშეკრულების რატიფიცირებამ ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაშიც შეიძლება გარკვეული პრობლემები შექმნას და მოყვანილია შესაძლო პრობლემების მაგალითები. ეთნიკურ უმცირესობებზე აქ არ შევჩერდებით, სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში კი, მაგალითად, აღნიშნულია, რომ: **"ევროპაში ჰომოსექსუალები თანდათან იძენენ "ქორწინების" უფლებას – ჰეტეროსექსუალურ წყვილს შორის არსებული საკონტრაქტო ურთიერთობები ჰომოსექსუალურ წყვილებზეც ვრცელდება. ჰომოსექსუალებისთვის ამ უფლებების არმინიჭებას კი ადამიანის უფლებების შელახვად ნათლავენ. წარმოიდგინეთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას საქართველოში?"**

წერილში ასევე აღნიშნულია: **"სენატორი ჯესი ჰელმსის ძალისხმევის შედეგად, აშშ-ს კანონმდებლობა კრძალავს თავდაცვის სფეროში დახმარების გაწევას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც აღნიშნული სასამართლოს წევრები არიან (ნატოს წევრი ქვეყნებისა და რიგი სხვა სპეციფიკური მოკავშირეების გარდა (ისრაელი, ავსტრალია და ა.შ.). აშშ-ს პრეზიდენტს შეუძლია გამონაკლისის დაშვება, თუ ეს ნაკარნახევია აშშ-ს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებებით... საქართველოს მიერ "რომის ხელშეკრულების" რატიფიცირება საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობას გარკვეულწილად გაართულებს, ვინაიდან აშშ-ს პრეზიდენტმა, შესაძლოა, ამგვარი გამონაკლისი ყოველთვის არ დაუშვას, ან ვერ დაუშვას, პოლიტიკური მიზეზების გამო."**

"ახლებისთვის" აშშ-დან გამოგზავნილი "მეგობრული რეკომენდაციები", რა თქმა უნდა, ოფიციალურ და, მით უმეტეს – სავალდებულო ხასიათს არ ატარებენ. თუმცა, მათი გაზიარება თუ არა, მოსმენა რომ საჭიროა, ამას თავად წერილის შინაარსი და მასში დასახელებული საფრთხეებიც მოწმობს.

სიახლე ჯეოსელისგან!

ამოიცანით დაფარული ნომერი!

ჯეოსელი გთავაზობთ ახალ სერვისს -
დაფარული ნომრის იდენტიფიკაცია.

სერვისის აქტივაციისათვის მიაკითხეთ
ჯეოსელის მომსახურების ოფისებს.

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
928 ან 822 770177.

ჯეოსელი
GEOCELL
www.geocell.ge

## „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ ინვესტორმა კომპანიებმა, აზერბაიჯანმა საქართველომ და თურქეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს,რომ ეს პროექტი უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება

- ა.წ. 2003 წლის 16 მაისს ბაქოში შეიკრიბნენ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ განვითარების შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების თანახმად შექმნილი სამეთვალყურეო კომისიის წევრები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ნავთობსადენის კომპანიისა (BTC Co) და კომპანია „ბრითიშ პეტროლეუმის“ ხელმძღვანელებიც. შეხვედრაზე ზემოაღნიშნულმა მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ პროექტი განხორციელდება გარემოსდაცვის, სოციალურ, დასაქმებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რის შესახებაც მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას. აღსანიშნავია, რომ სატრანზიტო ქვეყნებისა და ნავთობსადენის ინვესტორი კომპანიების მიერ პოზიციის ამგვარად ერთობლივად და ცალსახად დაფიქსირება, ისევე, როგორც უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი მიდგომების მხარდაჭერა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესებში, წარმოადგენს უპრეცედენტო მოვლენას, რაც მას ხდის სამაგალითო პროექტად სხვა, მსოფლიოში მომავალში განსახორციელებელი პროექტებისათვის.
- აღსანიშნავია, რომ მილსადენის ეს პროექტი, რომლითაც მოხდება კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება ხმელთაშუა ზღვამდე, დღემდე მსოფლიოში განხორციელებული ერთ-ერთი უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტია. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, განამტკიცებს რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობას, შექმნის სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს კაპიტალის შემოსვლას ამ ქვეყნებში.
- ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერს სამი ქვეყნის მთავრობა და ნავთობსადენის ინვესტორები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის სტანდარტები, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებითაა აღიარებული სრულად იქნება გათვალისწინებული ამ პროექტის განხორციელების პროცესში. მაგალითად, მილსადენის ფიზიკური დაცვის ღონისძიებების გატარებისას, მხედველობაში იქნება მიღებული ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ისეთი საერთაშორისო კონვენციები და ნორმები, როგორიცაა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპები მრავალნაციონალურ საწარმოებთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის და იარაღის გამოყენების თაობაზე, გაერთიანებული ერების კოდექსის ნორმები სამართალდამცავი ორგანოების ქცევის შესახებ, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, აგრეთვე - სახელმწიფო კანონმდებლობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით - უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ნებაყოფლობითი პრინციპები.
- ერთობლივი განცხადებით მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნების მთავრობებთან ხელშეკრულებებით და პროექტთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით განსაზღვრული სტანდარტები არ იქნება ერთ დონეზე გაყინული და იგი გაითვალისწინებს მათი განვითარების დინამიკას, რაც გულისხმობს დროთა განმავლობაში ამა თუ იმ სტანდარტის გაზრდილი თუ გამკაცრებული მოთხოვნების აუცილებელ შესრულებასაც.
- სამივე ქვეყნის მთავრობა და BTC Co იზიარებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ განვითარება და ექსპლუატაცია იმგვარად, რომ იგი გახდეს მსოფლიო კლასის და უპრეცედენტოდ მაღალი დონის პროექტი, რომელშიც გამოყენებული იქნება მსოფლიოსთვის სამაგალითო ტექნიკური, გარემოსდაცვითი მიდგომები, ისევე, როგორც საუკეთესო პრაქტიკა დასაქმებისა და სოციალური საკითხების გადაჭრის სფეროში.
- საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების გამოყენება „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ პროექტში არა მარტო ხელს შეუწყობს თავად პროექტის მაქსიმალურად გამჭვირვალედ განხორციელებას, არამედ გახდება სამაგალითო პროექტი სამივე ქვეყნისათვის გარემოსდაცვის, სოციალურ, დასაქმების და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში უმაღლესი საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად.

# სებ-ი საერთაშორისო სტანდარტებზე გადადის

ნინო ნარჩემაშვილი

*პირველად საქართველოს საფინანსო ისტორიაში ეროვნული ბანკი ძირითად საპროცენტო განაკვეთს გამოაცხადებს, რაც, ექსპერტთა შეფასებით, გაზრდის ქართული ბანკების ლიკვიდურობას და ხელს შეუწყობს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემებთან დაახლოებას.*

საქართველოს ეროვნული ბანკი, უცხოეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკებისაგან განსხვავებით, დღემდე არ იყენებდა საპროცენტო განაკვეთის გამოცხადების მექანიზმს. ეს მექანიზმი, შეიძლება ითქვას, ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებს განსაზღვრავს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები თავიანთ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების შესახებ არსებული განსხვავებული მონაცემების - ინფლაციის დონის, საკრედიტო და საფინანსო ბაზრების მდგომარეობის და სხვა ფაქტორების ანალიზზე დაყრდნობით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას საპროცენტო განაკვეთის სიდიდის, მისი შემცირების ან გაზრდის შესახებ.

სებ-ის ფულად-საკრედიტო ოპერაციების სამმართველოს უფროსის გიორგი ხელაიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონი სებ-ში 1993 წლიდან მოქმედებს, აუცილებელი გახდა ახალი წესის შემოღება. ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტთა კონსულტაციების შედეგად შემუშავდა "სებ-ის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტის გაცემის წესი", რომლის ამოქმედება ლიკვიდობის ოპერატიული მართვისა და საბანკო სისტემისათვის ფულის მიწოდების ალტერნატიული გზის ფორმირების საშუალებას შექმნის. მისივე თქმით, ერთდღიან სესხებზე, სებ-ის საბჭოს გადაწყვეტილებით, წლიური 11-პროცენტიანი განაკვეთი გამოცხადდა, ხოლო მისი გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გირაოთი. გიორგი ხელაიას ინფორმაციით, ამჟამად მიმოქცევაში დაუფარავი სახაზინო ვალდებულებების მოცულობა 75,4 მილიონ ლარს შეადგენს, სადაც საბანკო ინვესტორთა ხვედრითი წილი 71,1 პროცენტია. ახალი წესის ამოქმედება კი ხელს შეუწყობს საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემის გადაჭრას.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ირაკლი მანაგაძე.*

სებ-ის ექსპერტები აცხადებენ, რომ ეროვნული ბანკი უახლოეს დღეებში დაიწყებს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონების ყოველდღიურ რეჟიმში ჩატარებას.

# საკრებულო მთავრობას „დამნაშავეების" დასჯას სთხოვს

პირველი გვერდიდან

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა კომისიის გუშინდელ სხდომაზე ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურების მუშაობის შედეგებს კატასტროფული უწოდა. ქალაქის საფინანსო სამსახურის უფროსმა ამირან ჯებისაშვილმა კი ზემოთ აღნიშნული შედეგი მოსაკრებლების სამსახურებისათვის ადმინისტრაციული ბერკეტების არქონით ახსნა.

ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა ბიუჯეტის პარამეტრების შესრულების აუცილებელ პირობად დამნაშავეების დასჯა და ადგილობრივი საგადასახადო სამსახურის შექმნა დაასახელა. ხუციშვილის მტკიცებით, ფინანსთა სამინისტრო ამ წინადადებას მხარს უჭერს, თუმცა ლევან ჩრდილელმა "24 საათთან" საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი საგადასახადო სამსახურის შექმნის წინააღმდეგია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ასევე ქალაქის საფინანსო სამსახურის უფროსმა და ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურების მუშაობისაგან განსხვავებით დადებითად შეაფასეს საგადასახადო-საშემოსავლო დეპარტამენტის მუშაობის შედეგები. 2002 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ფინანსთა სამინისტრომ თითქმის ასი პროცენტით შეასრულა. დაგეგმილი 164 მილიონ 645 ათასი ლარიდან 164 მილიონ 608 ათასი ლარი შესრულდა, გარღვევამ მხოლოდ 36,5 ათასი ლარი შეადგინა, რასაც ძალიან უმნიშვნელოდ მიიჩნევენ ფინანსთა სამინისტროში. ბექაურის განცხადებით, საგადასახადო ნაწილში ასივე პროცენტითაა შესრულებული მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმაც. თუმცა, ფინანსთა სამინისტრომ წლის დასაწყისში აღებული ტემპი ვერ შეინარჩუნა და აპრილის 15-მილიონიანი ბიუჯეტი 800-ათასიანი გარღვევით დაასრულა. გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი საკრებულოს წევრებს, აპრილის დავალიანების დაფარვასთან ერთად, მიმდინარე თვის გეგმის 2,5 მილიონი ლარით გადაჭარბებით შესრულებასაც დაჰპირდა. ბექაურის განცხადებით, თუ ფინანსთა სამინისტრო დანაპირებს არ შეასრულებს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურების მსგავსად აუცილებლად დააყენებს საგადასახადო სამსახურის პასუხისმგებლობის საკითხსაც.

სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მუნიციპალურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის ინიციატივითაც გამოვიდა, რათა მოხერხდეს გზის საფარის აღდგენა. ბექაურის წინადადების თანახმად, გზის საფარის აღსადგენად კაპიტალური მშენებლობის სამსახურს უნდა ჩამოეჭრას 2,5 მილიონი ლარი და გადაერიცხოს ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამ წინადადებამ ფრაქცია "ლეიბორისტების" გაღიზიანება გამოიწვია. საქალაქო-სამეურნეო კომისიის თავმჯდომარემ, ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრმა პაატა ჯიბლაძემ ბექაურის ინიციატივას დემაგოგიური უწოდა. ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ "ლეიბორისტები" გზების შეკეთების წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ საეჭვოდ მიაჩნიათ ამ საკითხის ახლა წამოწევა.

ამასთან, ჯიბლაძის თქმით, "ლეიბორისტების" უკმაყოფილება იმით არის განპირობებული, რომ აღნიშნული ინიციატივა მათთან შეთანხმებული არ იყო.

# "იტერიადა" დასასრულს უახლოვდება?

მაია ურუშაძე

*გაზის სექტორში კვლავ პრობლემებია. ერთი მხრივ, "იტერასათვის" სასწრაფოდ არის გადასახდელი აპრილსა და მაისში მოხმარებული გაზის საფასური, რომელიც ჯამში, 2 მილიონ 450 ათას დოლარს აღწევს. მეორე მხრივ, ჯერჯერობით გაურკვეველია "თბილგაზის" მომავალი: ქალაქის ბიუჯეტს გაზის თანხები მძიმე ტვირთად აწვება, "ახალი მენეჯმენტისათვის" მისი გადაცემა კი ფერხდება.*

მიუხედავად იმისა, რომ "იტერასთვის" 2-მილიონნახევარი დოლარი აქვს გასასტუმრებელი, "თბილგაზის" გენერალურ დირექტორს ვახტანგ ცაავას იმედი აქვს, რომ "იტერა" თბილისს აირის მიწოდებას არ შეუმცირებს. **"ჩვენ "იტერას" მოსკოვის ოფისი გავაფრთხილეთ, რომ თანხების მობილიზაციას ვახდენთ და ვთხოვეთ, რომ დრო კიდევ მოეცათ,"** – აცხადებს ცაავა.

თუმცა, ამ შელავათების ნაკლებად სჯერა "იტერას" წარმომადგენელს საქართველოში თამაზ პატარიძეს. **"გაზის მოწოდება ხვალვე რომ შეწყვიტონ, ვერაფერს ვეტყვით,"** – წუხს იგი.




*გოცირიძე და მილერი მოლაპარაკებებს აწარმოებენ.*

გაზის თანხების მობილიზება კვლავ ქალაქის ბიუჯეტმა უნდა შეძლოს. "ახალი მენეჯმენტისათვის" "თბილგაზის" გადაცემა, ჯერჯერობით, ფერხდება. ამ შეფერხების მიზეზი კი ისაა, რომ ჯერ საბოლოოდ არ გარკვეულა, თუ ვინ უყიდის დედაქალაქს გაზს "თბილგაზში" "ახალი მენეჯმენტის" შესვლის შემდეგ. **"კონკურსის პირობებში არის პუნქტები, რაც ქალაქის მთავრობას მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს. თუ ეს პირობები არ შესრულდება, სირთულეები გველის,"** – აცხადებს მერიის ენერგეტიკული სამსახურის უფროსი თემურ ჭინჭარაული. მისი თქმით, მერია დაინტერესებულია, რომ გაზმომარაგების ქსელის მართვისათვის შემოსულმა კომპანიამ თავად შეიძინოს გაზი.

პარალელურად, "თბილგაზს" პრობლემები აქვს ცენტრალურ ბიუჯეტთან ურთიერთობაშიც. ფინანსთა სამინისტრო კომპანიას გადასახადების გადაუხდელობას საყვედურობს. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი აცხადებს, ქალაქის გაზგამანაწილებელი ქსელი გაზის განბაჟებისთვის ერთ თეთრსაც არ იხდის. **"საბაჟო დეპარტამენტს თავისუფლად შეუძლია ამის გამო გაზი თბილისში არ შემოუშვას, მაგრამ ის სოციალურ პირობებს ითვალისწინებს,"** – აცხადებს ჩრდილელი და ამ საკითხის მოგვარებასაც მერიისგან ითხოვს.

სავარაუდოდ, "ახალი მენეჯმენტი", რომლის უკანაც საქართველოს გაზის კორპორაცია დგას, არსებული პრობლემების გადაწყვეტამდე "თბილგაზში" არ შევა. მანამ კი, საქართველოს გაზის კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოცირიძე "გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარესთან ალექსეი მილერთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ერთობლივი საწარმოს შექმნისა და გაზის მოწოდების თაობაზე. ჩაიდება თუ არა ამ ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალში საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები დედაქალაქისათვის მოწოდებული გაზის სანაცვლოდ, ჯერჯერობით, უცნობია. კანცელარიაში გოცირიძე-მილერის მოლაპარაკებების დეტალებზე არ საუბრობენ.

კომპანია "გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიები" აცხადებს კონკურსს მარკეტინგის განყოფილების უფროსის პოზიციის დასაკავებლად

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ეკონომიკური განათლება მარკეტინგის განხრით (მაგისტრის ხარისხი მარკეტინგში);
- მარკეტინგის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმუმ 2 ან 3 წლის გამოცდილება;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის დოკუმენტები:
- განაცხადი (მოგეწოდებათ UGT-ის ოფისში);
- ფოტოსურათი;
- დიპლომის ასლი.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 17 ა, UGT
განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 30 მაისი.

სას "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

www.dvnk.ge
office@dvnk.ge

## მონიტორინგი

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 20 მაისისთვის

მილიონ ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 19 მაისი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 529.80 | 319.75 | 60% | 3.45 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 385.09 | 227.24 | 59% | 2.17 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 192.03 | 62% | 2.14 |
| სოციალური ფონდი | 116.81 | 79.04 | 68% | 1.18 |
| საგზაო ფონდი | 24.05 | 13.60 | 57% | 0.11 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 118.66 | 81.23 | 68% | 0.00 |

### საგზაო ფონდის 4 თვის შემოსავლების და ხარჯების ბალანსი

| № | დასახელება | 6 თვის გეგმა | შესრულება | % |
|---|---|---|---|---|
| | შემოსავლები | | | |
| 1 | ნაშთი | 1,700,000.0 | 1,705,518.0 | 100.32% |
| 2 | საგზაო შემოსავლები | 24,047,800.0 | 12,775,731.0 | 53.13% |
| 3 | [illegible] | - | 8,500.0 | |
| | სულ შემოსავლები | 25,747,800.0 | 14,489,749.0 | 56.28% |
| | ხარჯები | | | |
| 1 | [illegible] | 12,326,300.0 | 7,166,526.0 | 58% |
| 2 | [illegible] | 4,470,000.0 | 1,505,000.0 | 34% |
| 3 | [illegible] | 2,401,500.0 | - | 0% |
| 4 | [illegible] | 4,500,000.0 | 3,648,848.0 | 81% |
| 5 | [illegible] | 834,000.0 | 433,423.0 | 52% |
| 6 | [illegible] | 1,116,000.0 | 266,241.0 | 24% |
| 7 | [illegible] | 100,000.0 | 20,091.0 | 20% |
| | სულ ხარჯები | 25,747,800.0 | 13,040,129.0 | 50.65% |

### საგზაო ფონდი

ცხრილში წარმოდგენილია საგზაო ფონდის ოთხი თვის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

საგზაო ფონდის შემოსავლები ნაშთის ჩათვლით, ექვსი თვის პროგნოზთან შედარებით შესრულებულია 56.3%-ით.

**ჩვენი შეფასებით, საგზაო ფონდს წლის ბოლომდე დააკლდება 10 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლები და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა შესწორდეს 225 მილიონი ლარით** (იხ. ჩვენი ანალიზი ცენტრალური ბიუჯეტის შესრულებაზე "24 საათის" 12 მაისის ნომერში).

ხარჯები იმდენად გაუმჭვირვალედ არის წარმოდგენილი, რომ რთულია მსჯელობა მათ ეფექტურობაზე.

ადრე ათვისებულ კრედიტებზე ძირითადი თანხის დაფარვისა და მომსახურების ხარჯები ექვს თვეში დაგეგმილია 2.4 მილიონი ლარის ოდენობით. აქედან დაახლოებით 1.4 მილიონი ლარი მოდის ოთხ თვეზე. საგზაო ფონდს საერთოდ არ დაუფარავს სესხი ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ და არც მომსახურების ხარჯი გაუწევია.

**ეს არის საგზაო ფონდისა და ფინანსთა სამინისტროს გარიგება ბიუჯეტისა და, შესაბამისად, ქვეყნის წინააღმდეგ, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ქაღალდზე შესრულების და თანამდებობების შენარჩუნების მიზნით.**

**კერძოდ, საგზაო ფონდის კუთვნილი შემოსავლები ბენზინის აქციზიდან გადაიქაჩება ცენტრალურ ბიუჯეტში. სამაგიეროდ, ცენტრალური ბიუჯეტი აღარ სთხოვს საგზაო ფონდს სესხის მომსახურებასა და დაფარვას.**

ამიტომ ვერ სრულდება ვერც საგზაო ფონდის შემოსავლების გეგმა და ვერც ცენტრალური ბიუჯეტი იღებს კუთვნილ არასაგადასახადო შემოსავლებს. შესაბამისად, ვერც საავტომობილო გზების პროგრამების დაგეგმილი ხარჯები გაიწევა და ვერც ცენტრალური ბიუჯეტის სოციალური პროგრამები ფინანსდება.

ამ დროს კი ქაღალდზე სრულდება ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"**



# "ჟანრის კრიზისი" რუსეთში - პუტინი ოპოზიციაში გადაბარგდა

რუსუდან ნიჟარაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში გაიმართა "სამოქალაქო დებატებისა" და "ღია ფორუმის" კლუბის სხდომა. თემა - " პრეზიდენტის მიმართვა: დირექტივა ხელისუფლებისათვის თუ საარჩევნო პროგრამა".

სხდომა იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს კრემლის მთავარმა იდეოლოგმა - გლებ პავლოვსკიმ, სერგეი მარკოვმა, სერგეი კარაგანოვმა, იგორ ბუნინმა, ანდრეი პიანტკოვსკიმ, ალექსეი კარა-მურზამ და რუსეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა ირინა ხაკამადამ, გრიგორ იავლინსკიმ, ბორის ნემცოვმა, ვლადიმირ ლუკინმა. მრავალრიცხოვანი ჟურნალისტები სხდომის მონაწილეებმა გაოცებული დატოვეს. გლებ პავლოვსკიმ პირველად საჯაროდ განაცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი და ფედერალური საკრებულოსადმი პრეზიდენტის მიმართვის ტექსტი ცხადყოფს, რომ ვლადიმირ პუტინი ოპოზიციაში გადაბარგდა. საკუთარი პოლიტტექნოლოგიის ობიექტზე ამგვარი საუბარი გლებ პავლოვსკის პირად განაწყენებაში ჩაეთვალა, რადგანაც კრემლის კულუარული ინფორმაციით, პუტინის ადმინისტრაციის მთავარი იდეოლოგის მანტია ამჯერად "ვიღაც სხვამ" მოისხა.

**გლებ პავლოვსკი**, *ფონდ "პოლიტიკას" პრეზიდენტი, "რუსული ჟურნალის" მთავარი რედაქტორი*: პუტინი რუსეთის საგარეოპოლიტიკური ბალანსის შეცვლას აღარ აპირებს, სამაგიეროდ, მან წინასაარჩევნო პრიორიტეტები წამოაყენა: საარჩევნო კონტექსტის შეცვლა, სამხედრო რეფორმა და სიღარიბის დაძლევა. პრეზიდენტის მიმართვის პარამეტრები შეუსრულებადია, რადგანაც პუტინი საკუთარი ბიუროკრატიის ოპოზიციაში მოექცა. ცხადია, რომ მმართველი რეჟიმი ხელისუფლების არსებული ბალანსის შესაცვლელად მზად არ არის.

**პუტინმა საპარლამენტო უმრავლესობაზე დამყარებული ხელისუფლების პრინციპი წამოაყენა.** ეს ძირშივე არასწორია, რადგანაც ხელისუფლებას სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ინსტიტუტები უნდა აყალიბებდეს, ისინი უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას. პრეზიდენტის ასეთი კურსის შემდეგ, რუსეთი კარგავს ნაციონალურ იდეას.

თუ პუტინის ევროპული არჩევანი სერიოზულია, მაშინ უახლეს ათ წელიწადში ამან შედეგი უნდა მოიტანოს, თუ არა და მაშინ ევროპაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა მხოლოდ საარჩევნო ტექნოლოგიად დარჩება.

**სერგეი მარკოვი**, *პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი*: პრეზიდენტის მიმართვის მთავარი ქვეტექსტია ის, რომ რუსეთი უკვე



*პუტინმა რუსეთის მთელი პოლიტიკური სპექტრი გააკრიტიკა.*

მზადაა, აწარმოოს ზეთანამედროვე სტრატეგიული იარაღი, რითიც მსოფლიოში არსებულ ძალთა წონასწორობას რეალურად შეცვლის.

პუტინმა თავის მიმართვაში რუსეთის მთელი პოლიტიკური სპექტრი გააკრიტიკა, გარდა პარლამენტში მყოფი ცენტრისტული პარტიებისა. ყველაზე მწარე კრიტიკის ობიექტები ლიბერალური პარტიები გახდნენ.

პრეზიდენტმა ქვეყნის განვითარების სწორი ეკონომიკური პროგრამა დასახა, რომელმაც რუსეთს დაკარგული ძლიერება უნდა დაუბრუნოს. მაგრამ, პრეზიდენტის მიმართვა არ პასუხობს მთავარ შეკითხვას - რაში მდგომარეობს დღეს რუსეთის ზოგადეროვნული ამოცანა? რაც შეეხება რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს, პრეზიდენტის მიმართვაში ცხადად ჩანს, რომ რუსეთის ევროპაში ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია, მაგრამ საკითხავია, როგორ ევროპაში და რა ფასად? მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ რუსეთი აშშ-ს მტერი კი აღარ არის, არამედ მისი პარტნიორია ანტიტერორისტულ კოალიციაში. თუმცა, აშშ-ს ჰეგემონიას პუტინი დაუშვებლად მიიჩნევს.

ბევრისათვის გაუგებარი დარჩა, რას უპირებს პუტინი რუსეთს და რას ნიშნავს საპარლამენტო უმრავლესობაზე დამყარებული ხელისუფლების ფორმირება? ხომ არ ელოდება რუსეთს გაწითლება?

**ირინა ხაკამადა**, *რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერი, მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი*: მე ყველაზე მეტად მაშინებს - ხომ არ ნიშნავს პუტინის გამოსვლა, რომ იგი კომუნისტებსა და ოლიგარქებზე აპირებს დაყრდნობას? ჩემი აზრით, **პოლიტიკური პარტიების ჩართვა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნაადრევია და საშიში, რადგანაც მემარცხენეთა რევანშისაგან დაზღვეული არავინაა.**

კარგია, რომ მიმართვაში სიღატაკის თემა გაჩნდა, მაგრამ პუტინმა მისი გამომწვევი მიზეზები არ დაასახელა. ჩეჩნეთთან დაკავშირებით პოლიტიკური კომპრომისი მზადდება, მაგრამ როგორი? ამიტომ პრეზიდენტის მიმართვას პიარის სუნი ასდის. ასევე, საკითხავია, როგორ ევროპაზე ვიქნებით ორიენტირებული? აშშ დღეს აღმოსავლეთ-ევროპულ ბლოკს აყალიბებს. რუსეთში დღეს მემარჯვენე ცენტრისტული ელექტორატის შექმნაც პრობლემად მიმაჩნია. თუ პრეზიდენტმა ეს მოახერხა, მაშინ მისი გამოსვლა სწორი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში ახალი საარჩევნო სიები დაიწერება - სახელისუფლებო პარტიაში პირველ სამეულში მოცეკვავეები და მოჭიდავეები კი არა, მომავალი მინისტრები შევლენ.

პრეზიდენტის მიმართვას მე ჩემი დიაგნოზი დავუსვი - ესაა ცნობიერების გაორების შიზოფრენია. რა არის ამის მიზეზი? პოლიტიკური კლასი რუსეთში დღეს უკვე ვერ მოახდენს კონსოლიდაციას, რადგანაც, თავისი გამოსვლის შემდეგ პუტინი ქვეყანაში მობოგინე ბიუროკრატიის ოპოზიციად იქცა.

მე მომწონს პუტინი, რომელსაც პოლიტიკური კლასისაგან საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა და ევროპულ კლუბში გაერთიანება სურს.

**გრიგორი იავლინსკი**, *დუმის ფრაქცია "იაბლოკოს" ლიდერი*: როცა პოლიტოლოგები მშვიდ გარემოში აანალიზებენ პრეზიდენტის ნაბიჯებს და მას შეკითხვებს უსვამენ, ეს ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის ნიშანია. რა არის პრეზიდენტის მიმართვა? ესაა თეორიული დოკუმენტი, რომელიც არასოდეს არ სრულდება. ფაქტია, რომ პუტინის მიმართვის ტექსტი წინასაარჩევნო სიტყვაა.

პრეზიდენტმა კონკრეტულად აღნიშნა: მე დერჟავნიკი ვარ და დერჟავნიკულ პოლიტიკას გავატარებ. თუმცა, იქვე მიუთითა, რომ იგი რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული რესურსით ისარგებლებს და არ გაანადგურებს მას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **არჩევნების შემდგომი კურსი რუსეთში დერჟავნიკული იქნება**. ეს კურსი ჩემი პარტიისათვის მიუღებელია. იმისათვის, რომ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი გაორმაგდეს, საჭიროა სასამართლო, საიმიგრაციო, სამხედრო რეფორმები. საჭიროა, ბიზნესი და ხელისუფლება ერთმანეთს დაშორდეს და ოლიგარქებმა სახელმწიფო საქმეებში ხელის ფათურს თავი ანებონ. ეს კი რუსეთისათვის შორეული პერსპექტივაა.

მოსკოვში გამართული "სამოქალაქო დებატების" კლუბის სხდომის მონაწილეები შეეცადნენ პასუხი გაეცათ შეკითხვისათვის: რაშია დღეს პუტინის მთავარი დილემა? პოლიტოლოგები ერთ რამეში შეთანხმდნენ, რომ **დერჟავნიკობის ლოზუნგის გარდა დღეს სხვა ნიშნით რუსეთის კონსოლიდაცია შეუძლებელია.**

# აფეთქება ანკარას ცენტრში



*აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ ათსართულიანი შენობის ყველა მინა ჩაიმსხვრა.*

გუშინ თურქეთის დედაქალაქ ანკარას ცენტრში მდებარე კაფეში აფეთქება მოხდა. წინასწარი მონაცემებით, ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთიც დაიჭრა. აფეთქების მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია. **"ჩვენ უკვე დავიწყეთ გამოძიება,"** - განუცხადა თურქეთის საინფორმაციო სააგენტოს ანკარას უშიშროების სამსახურის შეფმა ერკუმენ ილმაზმა. პირველადი ინფორმაციით, აფეთქება კაფეს ტუალეტში მოხდა. ამჟამად, რაიონი პოლიციის მიერ მთლიანად არის ბლოკირებული და ექსპერტები ნივთმტკიცებების მოპოვებაზე მუშაობენ. პოლიციის წარმომადგენლების განცხადებით, მომხდარს, შესაძლოა, ტერაქტის კვალიფიკაცია მიეცეს. თუმცა, არ არის გამორიცხული აფეთქება გაზმომარაგების სისტემის დაზიანებას გამოეწვია. უკანასკნელ წლებში თურქეთში რამდენიმე ასეთი აფეთქება მოხდა, როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტერორისტების მიერ ჩადებული ბომბები აფეთქდა. წინასწარი ვარაუდით, აფეთქებისას დაღუპული ქალი, შესაძლოა, ტერორისტი-კამიკაძე იყოს.

# ტაივანში ატიპური პნევმონიით დაავადებულთა რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა

ტაივანის ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, გუშინ ქვეყანაში ატიპური პნევმონიით დაავადების 39 შემთხვევა გამოვლინდა. როგორც აღნიშნავენ, ერთი დღის განმავლობაში ეს რეკორდული მაჩვენებლია. ამასთანავე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ ტაივანში ვირუსის გავრცელება კვლავაც ჩქარი ტემპით გრძელდება. ქვეყანაში სარსით დაღუპულთა რიცხვი კიდევ თორმეტი ადამიანით გაიზარდა და საერთო ჯამში 52-ს მიაღწია.

არსებული მონაცემებით კუნძულზე ატიპური პნევმონიით ამ დროისათვის სულ 383 ადამიანია დაავადებული, მათი მეოთხედი კი მხოლოდ კვირას იქნა გამოვლენილი. ვირუსი აქამდე უფრო აქტიურად ჰონკონგში და ჩინეთში ვრცელდებოდა.

მთელ მსოფლიოში ატიპური პნევმონიის ვირუსმა უკვე 665 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ხოლო დაავადებულთა საერთო რაოდენობამ 7800 ადამიანს გადააჭარბა. სარსის პირველი შემთხვევა გასული წლის ნოემბერში ჩინეთის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ტაივანს უარი უთხრა ორგანიზაციის ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე. ტაივანის ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილება გააკრიტიკა და განაცხადა, რომ იგი ტაივანს ხელს შეუშლის სარსთან ბრძოლაში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გადაწყვეტილებაზე, როგორც ჩანს, ჩინეთის ხელისუფლების პოზიციამ იმოქმედა, რომელიც ტაივანს თავის პროვინციად მიიჩნევს.

სარსის ვირუსი ტაივანის გარდა, ჩინეთისთვისაც უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. უკანასკნელ დღეებში საუბარია ჩინეთში ვირუსის გავრცელების ტემპის შემცირებაზე, მაგრამ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, ეს ხდება იმიტომ, რომ ვირუსის იოლ ფორმებში გამოვლენის დროს, ექიმები ცდილობენ, ავადმყოფს ატიპური პნევმონიის დიაგნოზი არ დაუსვან.

# უზბეკეთის პრეზიდენტის სატელევიზიო სირცხვილი

გალინა ბუხარბაევა
IWPR

*დიდი გამოცდილების მქონე, პოლიტიკური ამბების რედაქტორი თანამდებობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც კარიმოვი პირდაპირ ეთერში არასასურველი პლანით აჩვენა.*

უზბეკეთის სახელმწიფო ტელევიზიამ პოლიტიკური ამბების მთავარი რედაქტორი თანამდებობიდან მას შემდეგ დაითხოვა, რაც მან პირდაპირ ეთერში უზბეკეთის პრეზიდენტის გამოსვლის დროს დარბაზში ჩაძინებული ხალხი აჩვენა.

აჰმაჯინ იბრაჰიმოვი იმისთვისაც გააკრიტიკეს, რომ 4 მაისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე დეპრესიული და მოწყენილი გამომეტყველების მქონე პრეზიდენტი აჩვენა, რომელსაც თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული, როდესაც ბრიტანელმა პარლამენტარმა კლერ შორტმა იგი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა.

ინციდენტმა მთელ ქვეყანაში შოკი გამოიწვია, რადგან პრეზიდენტის უშუალო კრიტიკა სახელმწიფო ტელევიზიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო. მილიონობით მაყურებელმა იხილა, როგორ ეუბნებოდა ბრიტანელი პარლამენტარი შორტი კარიმოვს, რომ “უზბეკეთში რელიგიური თავისუფლების არარსებობა, ადამიანთა წამება და მოქალაქეების უფლებების დაცვის დროს სასამართლო სისტემის გაუმართაობა შეშფოთების საფუძველს იძლევა”.

იბრაჰიმოვმა, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიაში 37 წელი მუშაობს, აღიარა, რომ პრეზიდენტის იმიჯისათვის ზიანის მიყენებაზე თავადაა პასუხისმგებელი. მისი თქმით, “იმ დროს დარბაზში დიდი ხმაური იყო და მან ვერ შენიშნა, რომ კამერა მთვლემარე ხალხისაკენ იმ დროს იყო მიმართული, როდესაც კარიმოვი სიტყვით გამოდიოდა”.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის ჟან ლემიერისა და ბრიტანელი შორტის მიერ უზბეკეთში არსებული, ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე გაკეთებული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ, ტელევიზიამ კარიმოვის ულიმღამო პასუხიც აჩვენა. “იმ ფაქტმა, რომ კარიმოვი უხერხულ სიტუაციაში ვაჩვენე, მოწონება ნამდვილად არ დაიმსახურა”, - განაცხადა იბრაჰიმოვმა.

როდესაც ეთერი დასრულდა, 64 წლის რედაქტორი და ორი ოპერატორი სახელმწიფო ტელევიზიის დირექტორმა აჰმად აზამმა თავის კაბინეტში დაიბარა, სადაც მათ ახსნა-განმარტებითი ბარათების დაწერა მოთხოვეს. იბრაჰიმოვს ცოტა ხანში შეატყობინეს, რომ იგი სამსახურიდან გათავისუფლებულია, ხოლო ორ თანამშრომელს მკაცრი გაფრთხილება მისცეს. ამას გარდა, ტელეკომპანიის თავმჯდომარის მოადგილე ფარხად რუზიევს დისციპლინარული სასჯელი დააკისრეს, რადგან ევრობანკის შეხვედრის გასაშუქებლად იბრაჰიმოვი სწორედ მან დანიშნა.

“ჰიუმან რაითს უოჩის” წარმომადგენელმა უზბეკეთში მატილდა ბოგნერმა იბრაჰიმოვის სამსახურიდან დათხოვნა დაგმო და განაცხადა, რომ სახელმწიფო ტელევიზიის აღნიშნული ქმედება უზბეკეთში არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

“ვითარების გაუმჯობესების ძალზე მცირე იმედი არსებობს”, - აღნიშნა მან, - თუ მთავრობას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ცვლილებების განხორციელება რეალურად სურდა, მაშინ პირველ რიგში, მასმედიაზე კონტროლი უნდა შეემსუბუქებინა. ამ კაცის გათავისუფლება პრესაზე სახელმწიფოს კონტროლის ნათელი მაგალითია”.

ბოგნერის აზრით, ტაშკენტში შეხვედრის გამართვამდე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს აქცენტი უზბეკეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე უნდა გაეკეთებინა. მისი თქმით, “ახლა, ხელისუფლება ბანკის მოთხოვნებს ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს”.

ბანკის წარმომადგენლების ვიზიტის დროს, სახელმწიფო და შავ ბაზარზე არსებული გაცვლითი კურსები ერთმანეთს დაუახლოვდა და მათ შორის განსხვავებამ მხოლოდ ათი პროცენტი შეადგინა. ეს ფაქტი ხელისუფლების სიამაყის საგანი იყო. თუმცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ, აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ გაორმაგდა.

ანალიტიკოსების აზრით, ბანკის ვიზიტის დროს ტაშკენტის ბაზრებზე მანიპულირება დაიწყო, რადგან გამყიდველები თავიანთ საქონელს ხელოვნურად შემცირებულ ფასებში ყიდდნენ.

ერთი კილოგრამი პომიდორი, მაგალითად, 30 სუმად იყიდებოდა, ნაცვლად 400 სუმისა (40 ამერიკული ცენტი). პომიდორის მსგავსად, ერთი კილო ხორციც მეათედ ფასში იყო გამოტანილი.

“აღსანიშნავია, რომ უზბეკეთის ხელისუფლების ამ ტაქტიკამ ბანკის დელეგაციაში, რომლებმაც უზბეკეთის სამომხმარებლო ფასები კარგად იცოდნენ, ღიმილი გამოიწვია.

პოლიტოლოგი ბადოჰირ მუსაევი ფასების ცვლილებას არ გაუკვირვებია. “ტყუილი უზბეკეთის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი კომპონენტია და ეს ძალზე სახიფათოა. თავის დროზე ტყუილმა და ორმაგმა სტანდარტებმა საბჭოთა კავშირის დანგრევა განაპირობა”, - თქვა მან.

“ამ საზოგადოებას სიმართლე, დისკუსია და გამჭვირვალობა სჭირდება, ჩვენ კი საწინააღმდეგოს ვაკეთებთ. მე არ მგონია, რომ ევრობანკის მიერ პოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნამ რაიმე შედეგი გამოიღოს”.

სხვადასხვა შეფასებებით, უზბეკეთმა ევრობანკის დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად, დაახლოებით, 40 მილიონი ამერიკული დოლარი დახარჯა. ტაშკენტში ოთხი უმაღლესი კატეგორიის სასტუმრო აშენდა და დელეგაციის წევრების ტრანსპორტირებისათვის 30 ახალი “მერსედესი” შეიძინეს. ამას გარდა, გზები შეაკეთეს, ქუჩები მორთეს და მდიდრული მიღებები მოაწყვეს.

ანალიტიკოსების თქმით, ამით დელეგატები ნამდვილად ვერ გააცურეს. ისინი, ფასადის ნაცვლად, ერთ ადგილზე გაყინულ ეკონომიკურ რეფორმებსა და ადამიანის უფლებების დარღვევას ხედავდნენ.

ლოიალურად განწყობილი იბრაჰიმოვის დათხოვნა კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია, რომელიც, მიმომხილველების აზრით, პრეზიდენტ კარიმოვის რეჟიმს კიდევ ერთ აგურს გამოაცლის.

# ახალი რეზოლუცია გაერო-ს უშიშროების საბჭოში

გუშინ აშშ-მ გაერო-ს უშიშროების საბჭოში ერაყთან დაკავშირებით რეზოლუციის ახალი პროექტი წარადგინა. გაერო-ში აშშ-ს ელჩის ჯონ ნეგროპონტეს განცხადებით, ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ ამჯერად უშიშროების საბჭოს წევრები რეზოლუციას ხმას მისცემენ. კენჭისყრა დღეისათვის არის დანიშნული. ხოლო გუშინ პირველი დებატები გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის ახალ პროექტში მხედველობაშია მიღებული მრავალი ქვეყნის შეშფოთება ომის შემდგომ ერაყში აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის გავლენის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, პროექტის თავდაპირველ ვარიანტში თეთრი სახლი მოკავშირეებს ერაყისათვის გაერო-ს სანქციების მოხსნისაკენ მოუწოდებდა. გარდა ამისა, თეთრი სახლის პოზიციის თანახმად, ერაყის ნავთობიდან მიღებული შემოსავლები იმ ქვეყნებს უნდა გაეკონტროლებინათ, რომელთა ჯარებიც დღემდე დგანან ქვეყნის ტერიტორიაზე. ამან კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

გასულ კვირას აშშ-მ გაავრცელა შესწორებული რედაქცია, რომლის თანახმადაც ერაყის ადგილობრივი და ნაციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბებაში აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების გარდა, ერაყში გაეროს სპეციალური კოორდინატორიც აქტიურად ჩაერთვება.

ნეგროპონტეს განცხადების თანახმად, გაერო-ს ერაყში სახელისუფლო ორგანოების აღდგენასა და მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევაში უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლო როლი აკისრია. გარდა ამისა, გაერო-მ აქტიურად უნდა იმუშაოს ერაყში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროშიც.

რეზოლუციის ამჟამინდელი პროექტი ასევე სთავაზობს უშიშროების საბჭოს, გადახედონ ერაყში სამხედრო ინსპექტორთა მანდატს, რომლებიც ერაყში მასობრივი განადგურების იარაღს დღესაც ეძებენ.

აშშ-ს ელჩის ნეგროპონტეს განცხადებით, რეზოლუცია საბოლოო კენჭისყრისათვის მზად არის. ეს კი ამ კვირის ბოლოს მოხდება. **"ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და გავითვალისწინეთ სხვა ქვეყნების შეშფოთების მიზეზები,"** - აცხადებს ნეგროპონტე. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის თქმით, ის ფაქტი, რომ ამერიკელები კენჭისყრის დაუყოვნებლივ დაწყებას დაჟინებით არ მოითხოვენ, შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ დებატები რეზოლუციასთან დაკავშირებით კიდევ გაიწელება.

# ამერიკული ტელეკომპანია საქართველოს ტერორისტების შეფარებაში ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

ეი-ბი-სის მიერ გავრცელებული ცნობა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს, მაგრამ, ტრადიციულად, ეს უარყოფა წინააღმდეგობრივი იყო.

უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ ინფორმაცია რომელიც ტელეკომპანიამ მოიყვანა, შესაძლოა, სწორია, ოღონდ საუბარი უნდა იყოს არა მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის ერთ კონკრეტულ ნაწილზე – აფხაზეთზე, სადაც მინისტრის თქმით, შეიძლება იყვნენ ალ-ქაიდასთან დაკავშირებული პირები.

უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ კი განაცხადა, რომ ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აბსოლუტური დეზინფორმაციაა, რომელიც ეი-ბი-სის, სავარაუდოდ, იმ ადამიანებმა მიაწოდეს, რომელთაც საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების მოგვარება არ სურთ.

ინფორმაციის გავრცელება დაემთხვა იმ მომენტს, როდესაც ახალი ტერაქტების საშიშროებაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე ორი სისხლიანი ტერაქტი მოხდა საუდის არაბეთსა და მაროკოში, და ორივე ამ ქვეყნებში მცხოვრები დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეების ან წარმომადგენლობებისაკენ იყო მიმართული. ამას მოჰყვა ამერიკაში საუდის არაბეთის ელჩის პრინც ბენდერის განცხადება იმის შესახებ, რომ "გული უგრძნობს, რომ მის ქვეყანაში ან ამერიკაში რაღაც საშინელება მოხდება".

ამის შემდეგ, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ აშშ-ს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ინსტრუქტაჟი გაუგზავნა იმის შესახებ, როგორ უნდა აირიდონ თავიდან ტერაქტი და როგორ უნდა მოიქცნენ, თუ იგი მაინც მოხდება.

აშშ-ს ხელისუფლება აცხადებს: არსებობს იმის დიდი საშიშროება, რომ ტერაქტები უცხოეთის ქვეყნებში ამერიკული და დასავლური ობიექტების წინააღმდეგ განხორციელდეს. ტერორისტული აქტი თავად ამერიკის ტერიტორიაზეც არ არის გამორიცხული.

ავღანეთის ომის შემდეგ, ბევრმა მიიჩნია, რომ ალ-ქაიდა საბოლოოდ წელში იყო გატეხილი. ამიტომ, მაროკოსა და საუდის არაბეთის ტერაქტებმა, რომელმაც საწინააღმდეგო დაადასტურა, დიდი შეშფოთება გამოიწვია. შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ საუდის არაბეთში თავის ყველა დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობას ხურავს.

თუმცა, ამ რიტორიკის მიუხედავად, აშშ-ს არ შეუცვლია მზადყოფნის დონე, რომელიც ისევ საშუალო, ე.წ. "ყვითელ" ნიშნულზე რჩება.

ტერაქტების შესაძლებლობაზე საუბარია ევროპაშიც. იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის ესპანელ, ფრანგ და ბრიტანელ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ევროპაში მოკალათებულმა “მთვლემარე” ისლამისტურმა დაჯგუფებებმა ნებისმიერ დროს შეიძლება წამოყონ თავი და ტერაქტები მოაწყონ.

ერთი სიტყვით, ტერორისტების შეფარებაში საქართველოს დადანაშაულება უკიდურესად არასასიამოვნო დროს მოხდა. ჯერი ახლა საქართველოს ხელისუფლებაზეა, რომელმაც, წესით და რიგით, ტელეკომპანიისაგან გავრცელებული ინფორმაციის საჯარო უარყოფა უნდა მოითხოვოს..

# საქართველოს ერთიანობა სამეგრელოდან დაიწყება

## განაცხადეს სახელისუფლებო ბლოკის ლიდერებმა ზუგდიდში სტუმრობისას


შეხვედრა იონა მეუნარგიას ეზოში.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ზაზა ფაჩუაშვილი

*ქართველი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამეგრელოს ესტუმრნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სახელისუფლებო ბლოკის სხვა ლიდერები. სახალხო ზეიმის შემდეგ, ზუგდიდში, მოქალაქეთა კავშირის სამხარეო ორგანიზაციის კონფერენციაც გაიმართა.*

ცაიში, სადაც იონა მეუნარგია დაიბადა, ერთ-ერთი ულამაზესია საქართველოში. მწვანეში ჩაფლულ, თეთრი კლდოვანი გზით გატკეცილ, ტყიანი გორაკებით გარშემორტყმულ, მდინარით მორწყულ, გოგირდის წყლით გამთბარ და ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრით დალოცვილ სოფელში იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმის გახსნა სახალხო ზეიმად გადაიქცა. სცენა პირდაპირ მის ეზოში იყო გაშლილი. ერთმანეთს ცვლიდნენ დიდი და პატარა მომღერლები, მოცეკვავეები, წითელ და თეთრჩოხიანი ყმაწვილები.

სახლ-მუზეუმში დაცული ციტატები მე-19-ე საუკუნის გაზეთებიდან კი გვატყობინებდნენ:

**"1881 წელს იონა მეუნარგიამ თარგმნა "ვეფხისტყაოსანი" ფრანგულ ენაზე პრიზად უცხოელი ფრანგი მწერლების ჟ. მურიესა და ბარონესა ბერტა ფონ სეტნერის შემწეობით."**

იქვეა ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები, რომელსაც დღემდე დაუზარელად იმეორებენ სამეგრელოში:

**"რუსთველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისე რუსთველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორის."**

ცაიშის შემდეგ დღესასწაულმა ზუგდიდში გადაინაცვლა, სადაც იონა მეუნარგიას ბიუსტის გახსნის პატივი ავთანდილ ჯორბენაძეს ხვდა წილად. ამ საზეიმო ცერემონიალზე თქვა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ დარწმუნებით, ერის გამთლიანება სამეგრელოდან დაიწყებაო და სათანადო თვალსაჩინოებაც წარმოადგინა.

**"მე დღეს იმიტომაც ვღელავ ძალიან, რომ ჩვენთან ერთად ზეიმობს საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი გიორგი გამსახურდია,"** – ბრძანა ედპ-ს ლიდერმა.

შემდეგ, სადაც კი ეს სახელი და გვარი ახსენეს, ყველგან ტაში გაისმა.

ამასობაში, დღის მეორე ნახევარიც დადგა და პარტიული თათბირიც დაიწყო, რაც, ფაქტობრივად, დღესასწაულის დამთავრებას ნიშნავდა. ის საკითხები, რაზეც თათბირზე საუბრობდნენ, საზეიმო განწყობილებას სრულიად არ შეეფერებოდა.

**"ზუგდიდში, ფაქტობრივად, წარმოება არ მუშაობს,"** – განაცხადა გამგებელმა ნუგზარ ანთელავამ და დახმარებისათვის პრეზიდენტს მიმართა. დაუფინანსებლობის გამო, რთული პრობლემები ყოფილა სამეგრელოს სხვა რაიონებშიც.

სახელმწიფო მინისტრმა მძიმე მემკვიდრეობაზე და პრობლემების დაძლევის გზებზე ისაუბრა. ჩვენ მოსახლეობასთან უნდა მივიდეთ შესრულებული ვალდებულებებითო, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა, რომელმაც განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა კონტრაბანდაზე და რეგიონში გამეფებულ კორუფციაზე.

სახელისუფლებო ბლოკის წევრებმა თათბირიდან გადაინაცვლეს პარტიულ კონფერენციაზე, რომელსაც 312 დელეგატი ესწრებოდა. სავსე იყო ზუგდიდის კულტურის სახლის დარბაზი.

ამ დროს ზუგდიდის უპარტიო მოსახლეობა ქუჩაში იდგა და ჯორბენაძის ჩამოსვლას ლოცავდა.

- დღეს მოგვცეს, ბიჭო, შუქი და წყალი. ა, აქაურობაც დღეს დაასუფთავეს, თორემ...რას გავდა, იცი?

- ხალხი ნატრობს, ნეტა ყოველკვირა ჩამოდიოდეს ეს კაციო!

- ყოველდღე აქ იყოს, კაცო! უკეთესი არ იქნება?

კონფერენციის მსვლელობის დროს გავესაუბრეთ გიორგი გამსახურდიასაც.

**- არჩევნებში მონაწილეობას ხომ არ აპირებთ?**

- არა, არა. არც - ახლა და არც – მომავალში.

**- თქვენი აქ ყოფნის მიზეზი?**

- ბატონმა ავთანდილმა მთხოვა, დავსწრებოდი ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილის იონა მეუნარგიას იუბილეს. დიდად ნასიამოვნები დავრჩი, რომ ეს ყველაფერი გაკეთდა უანგაროდ, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი კუთხისთვის და ხალხისთვის, და არა ისე პოპულისტურად, როგორც ამას სხვადასხვა პარტიები და ცალკეული პიროვნებები აკეთებენ ქულების ჩასაწერად. ამ საქმეში თავისი ღირსეული წვლილი მიუძღვით ბატონ პრეზიდენტს და ბატონ სახელმწიფო მინისტრს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

**- რამდენი ხანია, ზუგდიდში არ ყოფილხართ?**

- ოთხი დღეა. საერთოდ ზუგდიდში ძალიან ხშირად ჩამოვდივარ. 31 მაისს დიდი ღონისძიებაა დაგეგმილი აბაშაში. ამასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობაც. ესეც საქართველოს პრეზიდენტმა და სახელმწიფო მინისტრმა ითავეს. რისთვისაც მათ კიდევ ერთხელ ვუხდი დიდ მადლობას.

ამასობაში კონფერენციაც დამთავრდა და ხალხმა დარბაზი ტაშით დატოვა.

საერთოდ, გუშინ ზუგდიდში ისეთი ვითარება იყო, რომ არჩევნების დროს სხელისუფლებო ბლოკის გამარჯვებაში კაცი ეჭვს ვერ შეიტანდა. ქუჩებში გამოფენილი იყო მოქკავშირის დროშები, გაკეთებული იყო თეთრპერანგა ბავშვების ცოცხალი კორიდორი, რომელიც დელეგაციას ოვაციებითა და ყვავილების ქნევით ხვდებოდა, მაგრამ, რად გინდა...

ინციდენტი მაინც მოხდა. ლეიბორისტული პარტიის წევრებმა საპროტესტო აქცია გამართეს და აღნიშნეს, რომ სამეგრელოში ცეკვა-თამაშისთვის არ ცხელათ, გაჭირვებულმა ქალბატონებმა კი მოქკავშირის დროშები დაწვეს.

# არჩევანი დაზარალებულებზეა - ბინა და ზოდელავა ან ფული და სააკაშვილი

ნანა ქადაგიშვილი

*მერიამ გუშინდელი დღე თავის აღმშენებლობით მოღვაწეობას მიუძღვნა. ამჯერად, ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ ერთი მშენებარე სახლისა და ერთი ავარიული ქუჩის ჩვენებით შემოიფარგლა.*

"რაც თბილისის მერია არსებობს, ამაზე დიდი საქმე არ გაუკეთებია, რის გაკეთებასაც მე ვაპირებ. მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ 300 ოჯახს დროებით თავშესაფრად მიცემულ ბინებს მუდმივ საკუთრებაში გადავცემთ. თანაც, ძველ ბინებსაც არ წავართმევთ. როცა ეს ავარიული სახლები აღდგება, დაზარალებულებს კუთვნილი ფართით დააკმაყოფილებენ. ეს ეხება იმ დაზარალებულებსაც, რომელთაც საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და აღდგენის ფონდი თავშესაფრებს ამიერიდან მისცემს", - განაცხადა ზოდელავამ და დაზარალებულთა ეჭვის გასაფანტად დაუმატა, რომ მის განცხადებას მოსახლეობასთან გაფორმებული ხელშეკრულებები გაუმაგრებს ზურგს. სხვათა შორის, მიწისძვრის სალიკვიდაციო ფონდს დროებით ბინებში თავშეფარებულ მოსახლეობასთან ხელშეკრულება აქამდეც უნდა გაეფორმებინა, მაგრამ დღემდე ერთი ხელშეკრულებაც არ დადებულა. ზოდელავა გვარწმუნებს, რომ ამიერიდან ეს პრობლემა მოგვარდება და მის სიტყვას "წყალი არ გაუვა".

დაზარალებულები სერიოზული არჩევანის წინაშე დადგნენ - ზოდელავას დაპირებით ისარგებლონ თუ - საკრებულოს დადგენილებით. საკრებულო, როგორც ცნობილია, მათ ფულად კომპენსაციას ჰპირდება, ზოდელავა კი გლდანსა და ლილოში ნაყიდ ბინებს ჩუქნის. საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და აღდგენის ფონდის ხელმძღვანელი, გოგი თვალავაძე მერის გადაწყვეტილებას


ვანო ზოდელავა მშენებარე ობიექტზე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

უფრო იწონებს, - ცენტრალურ ბიუჯეტში ფონდისთვის გათვალისწინებული 4 მლნ. ამდენ დაზარალებულს რომ გაუნაწილო, არაფერი შეხვდებათ; საუკეთესო გამოსავალი ისევ დაზარალებულების ბინებით დაკმაყოფილებააო. თვალავაძე იმასაც აცხადებს, - საკრებულოს მიწისძვრით დაზარალებულთა ფულადი დახმარების შესახებ დადგენილება ჯერ არ მიუღია, ეს ყველაფერი მხოლოდ წინადადებების დონეზეაო, რასაც საკრებულო კატეგორიულად აპროტესტებს. "თვალავაძეს, გასაგები მიზეზების გამო, ბინების ყიდვა და მშენებლობა ხელს აძლევს და ასე იმიტომ ლაპარაკობს, თორემ საკრებულომ დადგენილება ნამდვილად მიიღო. თანაც, ეს დადგენილება, მაინც და მაინც, ფულადი კომპენსაციის გაცემას არ მოითხოვს. დაზარალებულებს შეუძლიათ აირჩიონ - ვისაც ფული ურჩევნია, ფულს მიიღებს, ვისაც ბინა - ბინას", - აცხადებს "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, გიორგი არველაძე. ასე რომ, არჩევანი დაზარალებულებზეა.

სასიამოვნო ინფორმაციას მივაწვდით მთაწმინდისა და სვანეთის უბნელებსაც. ინგოროყვას ქ. №19-ში 1991 წელს დამწვარი საცხოვრებელი სახლი ნელ-ნელა შენდება და ერთ-ორ წელიწადში დაზარალებულ 28 ოჯახს ახალ 5-სართულიან სახლში შეასახლებენ. ეს მშენებლობა ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამის გარდა, მერია ინგოროყვას №19-ის გარშემო მდებარე ავარიული სახლების აღებას, ინვესტორის მოძებნასა და ახალი სახლების აშენებასაც აპირებს. ინვესტორს კი, სანაცვლოდ, არასაცხოვრებელ ფართს ჰპირდებიან. სვანეთის უბნელებს, ახალი სახლი არა, მაგრამ მალე განახლებული ქუჩა ექნებათ. მსოფლიო ბანკის დახმარებით, მერია ტერენტი გრანელის სახელობის ქუჩას კომუნიკაციებიანად შეაკეთებს.

# „თბილისის ბლოკადა გრძელდება!"

მაკა ჭაიანი

*ასეთი განცხადებით, გუშინ, მერიის ვიცე-პრემიერი კახა შენგელია გამოვიდა. იგი დარწმუნებულია, რომ ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებას ცენტრალური ხელისუფლება სპეციალურად აფერხებს,რათა "ოპოზიციონერებით დაკომპლექტებული თბილისის ხელმძღვანელობა" მოსახლეობის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს. ამის დასამტკიცებლად ვიცე-პრემიერს გასული წლის მონაცემები მოაქვს.*

**"დღევანდელი მონაცემებით, ჯანდაცვის პროგრამები მხოლოდ 61 პროცენტით არის დაფინანსებული, როცა შარშან ამ დროს დაფინანსება 93 პროცენტს აღწევდა. პრობლემებია თბილისელებისთვის პენსიების გაცემის მხრივაც. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქის ოპოზიციური მთავრობის ბლოკირება გრძელდება!"** - აცხადებს კახა შენგელია.

თბილისის ხელმძღვანელობა ცენტრალურ ხელისუფლებას ბრალს არა მარტო დედაქალაქის, საქართველოს მოსახლეობის ბლოკირებაშიც სდებს. **"არსებობს ბევრი მშვენიერი ფედერალური პროგრამა, რომელიც მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს ექიმის კონსულტაციის, სამედიცინო შემოწმებისა და მკურნალობის შეღავათებს აძლევს, მაგრამ ხალხმა ამის არსებობის შესახებ არაფერი იცის. გარდა ამისა, ეს პროგრამები სრულად არ ფინანსდება და ადამიანებს მათით სარგებლობის შესაძლებლობა ესპობათ",** - ამბობს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი გულიკო გოგიბერიძე.


თბილისის ვიცე-პრემიერი კანცელარიას ეკონომიკურ ბლოკადაში ადანაშაულებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ეროვნულ ძალთა გაერთიანება იგივეს კახა გაგლოშვილის პირით ამტკიცებს: **"სამინისტრო უმწეოთა პოლისებს არ ბეჭდავს, - თანხები არ გვაქვსო; ფულს არ გამოჰყოფს იმისთვის, რომ სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე ხუთი წუთი მაინც აიღონ, მოსახლეობას მათთვის უფასო პროგრამების შესახებ რომ მოუთხროს! რაღაც ბუკლეტებს ბეჭდავენ თვალის ასახვევად და მათაც დიდი ძებნის შემდეგ თუ მიაკვლევ."**

ამ ფონზე ექიმთა დამოუკიდებელი პროფკავშირების, "სოლიდარობის" ხელმძღვანელი, მარინა ხიდაშელი ხელისუფალთა "მზაკვრულ გეგმას" ამხელს. ეს უკვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ექიმთა ბლოკადის სფეროდანაა. **"მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ოპტიმიზაციის პროცესი შეაჩერა, სამინისტრო ფარულ ოპტიმიზაციას ახორციელებს,** - ფარდას ხდის აღმასრულებელთა გეგმას ხიდაშელი. - **ყველა ურგენტული პროგრამა განსახორციელებლად ღუდუშაურის კლინიკას გადაეცა, დანარჩენი სტაციონარები კი დაფინანსების გარეშე დატოვეს. მათ საკეთილდღეოდ ეს არ გაკეთებულა."**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი ამ ბრალდებებს გაკვირვებული ხვდება: **"მიკვირს, რომ კახა გაგლოშვილი ასეთ ინფორმაციებს ჩვენთან შეხვედრის შემდეგ ავრცელებს. მის მიერ გაკეთებული განცხადებები აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. ჯანდაცვის პროგრამები "საკანონმდებლო მაცნეში" იბეჭდება, პოლისების გაცემას კი თავისი წესი და რიგი აქვს. ტყუილია ისიც, თითქოს, ურგენტული პროგრამები მხოლოდ ღუდუშაურის კლინიკაში იყრიდეს თავს. ამ კლინიკის გარდა, მას პირველი კლინიკური, მე-4 საავადმყოფო და ყოფილი "რესპუბლიკური" განახორციელებენ. რაც შეეხება დაფინანსებას, ეს საკითხი ჩვენც გვაღელვებს, თუმცა, დედაქალაქის ხელისუფლებისადმი ერთი შეკითხვა მეც მიჩნდება - მუნიციპალურ პროგრამებს, მათ შორის ამბულატორიულს, დროულად რატომ ვერ აფინანსებენ?"**

# უფრო მეტი ინფორმაცია აშშ-ს პოლიტიკის შესახებ

თეა ხოფერია

*ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გუშინ შერატონ-მეტეხი პალასში ამერიკის საინფორმაციო რესურსების, სავაჭრო და კომერციული ცენტრების პრეზენტაცია მოაწყო, რომელიც ოფიციალურად აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა გახსნა. საინფორმაციო ცენტრი საელჩოს კულტურისა და პრესის განყოფილებას, სავაჭრო და კომერციული კი პოლიტიკურ-ეკონომიკურ განყოფილებებს წლების განმავლობაში ეკუთვნოდა და ახლაც ამ შემადგენლობაში რჩება. პრეზენტაცია სამივე ცენტრის ფუნქციების გაფართოებისა და მათი ოფისების შერატონ-მეტეხი პალასში გადატანის მიზეზით მოეწყო.*

როგორც აშშ-ს ელჩმა, რიჩარდ მაილსმა გუშინ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, ამ ცენტრებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ - საქართველოსა და აშშ-ს საზოგადოების დაახლოება.

**"მოხარული ვიქნები, რომ არამარტო ამ ცენტრების, არამედ საქართველოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სხვა ორგანიზაციების პრეზენტაციაც მოვაწყო",** - განაცხადა რიჩარდ მაილსმა.

ცენტრების მთავარი მიზანია საქართველოს საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილისათვის ამერიკის პოლიტიკის შესახებ ფართო და ძვირადღირებული ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდება, რაც აშშ-ს ინტერესებშიცაა. ცენტრები საზოგადოებას, ძირითადად, ინტერნეტით მოემსახურებიან. საინფორმაციო ცენტრის დირექტორის, ნინო ჩხენკელის თქმით, აშშ-ს მთავრობის დახმარებით, მათ შეისყიდეს იმ ძვირადღირებული ინტერნეტ ვებგვერდების ინფორმაციები, რომლებიც ძალზედ მნიშვნელოვანი და საჭიროა ინტელექტუალური საზოგადოებისათვის - კონკრეტულად, სამართლის სფეროს ბიბლიოთეკების, მსოფლიოში წამყვანი საინფორმაციო სააგენტოების, ასევე, ბიზნეს ინფორმაციები, ანალიტიკური რეპორტაჟები, ასოციაციების ენციკლოპედიები და ბევრი სხვა რამ...

ამერიკის საელჩოს კულტურისა და პრესის განყოფილების უფროსის შერონ ჰადსონის აზრით, ახლად გახსნილი ცენტრები არ არის განკუთვნილი სკოლის მოწაფეებისათვის.

**"ეს ცენტრები დაეხმარებიან ქვეყნის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც დღეს მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ სხვა მაღალი დონის გადაწყვეტილებებს იღებს",** - განმარტა შერონ ჰადსონმა.

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილიც, თავის მხრივ, დიდი ინტერესით ელოდება გაფართოებული ფუნქციებით აღჭურვილ ცენტრებს. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე ცენტრების მნიშვნელობის გარდა, ისიც აღნიშნა, რომ სწორედ აშშ-ს საელჩოსგან მიღებული თანხით გახდა შესაძლებელი ეროვნული ბიბლიოთეკის თანამედროვე სტანდარტებით გარდაქმნა - კომპიუტერებით მისი აღჭურვა.

# დავა დადიანების სასახლის გამო

მაკა ჭაიანი

*დადიანების სახლ-მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გონელი არახამია "დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის" თავმჯდომარეს, ჟურნალისტ გიორგი კალანდიას სასამართლოში უჩივის. სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია, რომ ჟურნალისტი მის კომპრომეტირებას ახდენს და პატივსა და ღირსებას ულახავს. არახამია კალანდიასგან ამის უარყოფას საგაზეთო პუბლიკაციით მოითხოვს.*

დადიანების სახლ-მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს პრეტენზიები სწორედ საგაზეთო პუბლიკაციებმა გაუჩინა. **"თურმე, ჩემი დანაშაულებრივი გულგრილობისა და სათანადო ნორმების დაუცველობის გამო, 1991 წელს გაუქურდავთ მუზეუმი და საგამოფენო დარბაზიდან გაუტანიათ ეკატერინე ჭავჭავაძის უნიკალური სერვიზი; 1991 წელს, შესაბამის უწყებებთან შეთანხმების გარეშე, გადავაკეთე ნიკო დადიანის სასახლის შესასვლელი; ჩემი დირექტორობის პერიოდში და ჩემი მონაწილეობით, დაიკარგა ორი ავტობუსი; 1990 წელს, ჩემი ხელმოწერითა და ნებართვით, დადიანების სასახლეებიდან გაიტანეს და ეროვნულ გვარდიას გადასცეს 120 სამუზეუმო ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მუზეუმს აღარ დაბრუნებია; 2001 წლიდან, მუზეუმის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნისთანავე, თითქოს, ჩუმად, კანონის უხეში დარღვევითა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გვერდის ავლით გავაფორმე იჯარით ხელშეკრულება კერძო ფირმასთან და გასართობი ობიექტების ასაშენებლად 10 წლის ვადით გადავეცი 4000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი; ჩემი დანაშაულებრივი გულგრილობის გამო, მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში გაფუჭდა და დაიმტვრა ფრიდრიხ კრიუგერის, პიერ ბლანშისა და ვასილ ტიმის უნიკალური, რესტავრირებული ნამუშევრები",** - ასეთია საჩივრის მოკლე შინაარსი.

უსაფუძვლო ბრალდებებად მიჩნეულ ამ ჩამონათვალს მოპასუხეები არახამიასა და საქართველოს ეროვნული გვარდიის V ბატალიონის მეთაურს შორის 1991 წლის 15 ივლისს გაფორმებული, მუზეუმში დაცული იარაღის გადაცემის აქტითა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის 1994 წლის 6 სექტემბრის №152-ე გადაწყვეტილებით ამაგრებენ. **"აქტში წერია, რომ იარაღი სამუზეუმო ღირებულების არ არის. საინტერესოა, საიდან გამოიტანა ეს დასკვნა მუზეუმის ხელმძღვანელობამ?** - კითხულობს გიორგი კალანდიას ადვოკატი ლევან იოსელიანი. - **ჩვენ გავეცანით მეცნიერებათა აკადემიის იმ ნებართვას, რომელსაც არახამია ამ ნაბიჯის ასახსნელად იშველიებს. იქ არ არის საუბარი ცეცხლსასროლ იარაღზე. მხოლოდ ის წერია, რომ მუზეუმის დირექტორს არასამუზეუმო ღირებულების მქონე ნივთების გაცემის უფლება აქვს. ეს თოფები კი სამუზეუმო ექსპონატები იყო, თუმცა აქტში პირიქით წერია."**

რაც შეეხება ზუგდიდის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებას, მასში იმ პრობლემებზეა საუბარი, რომელიც დადიანების სახლ-მუზეუმს წლების განმავლობაში გამოჩენილმა გულგრილობამ შეუქმნა. კერძოდ: სოლიდური თანხის საფასურად გაკეთებულ, საეჭვოდ კაპიტალურ რემონტზე, თანხების არათანმიმდევრულ და არამიზნობრივ ხარჯვაზე, ნიკოსეული სასახლის გაუმართლებელ გადაკეთებაზე, მუზეუმის სივრცითი ხედის შეცვლაზე, ათასობით დაკარგულ ექსპონატზე, მათ შორის, ეკატერინეს სერვიზებზე, ცეცხლსასროლ იარაღზე და ა.შ. მოკლედ, ყველაფერ იმაზე, რამაც ჟურნალისტ გიორგი კალანდიას ზემოთ მოყვანილი დასკვნები გააკეთებინა.

# გიორგი სანაიას საქმის მთავარ მოწმეს დღეს გაასამართლებენ

დღეს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში დაიწყება გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის მთავარი მოწმის მალხაზ ხვედელიანის სასამართლო პროცესი. ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის კორესპონდენტისა და ოპერატორისთვის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაპატიმრებული მალხაზ ხვედელიანი გლდანი-ნაძალადევის პროკურატურამ ხულიგნობაში დაადანაშაულა.

გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში დღეს მოწმეები დაიკითხებიან. მოწმის სტატუსით გამოძახებულნი არიან გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს თანამშრომლები, რომლებიც ინციდენტს შეესწრნენ. სასამართლოზე ასევე დაკითხავენ დაზარალებულებსა და ბრალდებულსაც. მალხაზ ხვედელიანს ადვოკატი დიმა ლორთქიფანიძე იცავს.

გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის გრიგოლ ხურცილავას ადვოკატი დავით დადიანი გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას პროცესუალურ დარღვევაში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, წინასწარი გამოძიებისას პროკურატურამ იგი მოწმის სტატუსით დაკითხა; არადა, საბრალდებო დასკვნაში მოწმეთა ჩამონათვალში ის არ არის მოხსენიებული, რაც ადვოკატის თქმით, აშკარა დარღვევაა. **"რას ნიშნავს ეს ფაქტი, ვერანაირად ვერ ავხსენი. თავის დროზე პროკურატურას ჩვენება მოწმის სტატუსით მივეცი. ახლა კი პროკურატურამ უხეშად დაარღვია კანონი - სასამართლოსთვის გადაგზავნილ საბრალდებო დასკვნაში არსებულ მოწმეთა სიაში რატომღაც არ შემიყვანეს. არადა, ინციდენტის მთავარი მოწმე სწორედ მე ვარ; მეტიც, გამშველებლის როლში აღმოვჩნდი, ასეთ თვითმხილველ მოწმეს ვერსად მოძებნიან,"** – აცხადებს დავით დადიანი.



გოგიტა ბახაძის ფოტო

*მალხაზ ხვედელიანს ხულიგნობისთვის ასამართლებენ.*

მალხაზ ხვედელიანის ადვოკატი დიმა ლორთქიფანიძე ხვალინდელ პროცესზე დავით დადიანის სასამართლოში გამოძახების თაობაზე შუამდგომლობას დააყენებს.

როგორც ცნობილია, 2 თვის წინ საოლქო სასამართლომ დიმა ლორთქიფანიძის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და მალხაზ ხვედელიანი პატიმრობიდან არ გაათავისუფლა-ძალაში დატოვა გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს მიერ შეფარდებული სამთვიანი წინასწარი პატიმრობა. საოლქო სასამართლოს მოსამართლემ არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ ბრალდებულის გათავისუფლება ხელს შეუშლის წინასწარ გამოძიებას, რადგან ხვედელიანი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია, შესაძლოა, დამალვოდა გამოძიებას.

წაყენებული ბრალდების - ხულიგნობის ფაქტის დამტკიცების შემთხვევაში მალხაზ ხვედელიანს 5 წლით პატიმრობა ემუქრება.

# ემიგრაციის მსურველები ამერიკის ნაცვლად კუბაში და ჩილეში გაამგზავრეს

პირველი გვერდიდან

უცხოეთში თითქმის ოთხთვიანი ტანჯვის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა ერთ-ერთმა დაზარალებულმა სამართალდამცველებს მიაკითხა. მისი განცხადებით, იგი ენდო შუა ხნის ვინმე მაიას, რომელიც ამერიკაში წასვლის მსურველებს დახმარებას სთავაზობდა. საკმაოდ განათლებული ქალბატონი დღესაც ვერ ხსნის, რატომ დაუჯერა აბსოლუტურად უცნობ ადამიანს, რომლის შესახებაც მხოლოდ ის იცოდა, რომ შვილი 1991 წლიდან ამერიკის მოქალაქე ჰყავდა. ფაქტია, რომ ეს ნდობა მას და კიდევ 29 გაჭირვებულ ქართველს, რომლებიც ოკეანის გაღმა საარსებო პირობების საძებნელად მიდიოდნენ, 210 ათას დოლარად და მძიმე სტრესად დაუჯდათ.

"მხსნელის" გეგმის მიხედვით, ამერიკაში წასვლის მსურველნი ჯერ ბულგარეთში უნდა ჩასულიყვნენ, სადაც იქ მცხოვრები ქართველი, ვინმე ჯემალი დახვდებოდათ. თანამემამულეთა საოცნებო ქვეყანაში გამგზავრებას სწორედ ბულგარეთის მოქალაქე ქართველი უზრუნველყოფდა.

მაიამ კლიენტებს ბულგარეთის ბილეთები აუღო, თავად კი თბილისში დარჩა. შეთანხმებისამებრ, ჯემალი ქართველებს აეროპორტში დახვდა და წინასწარ შერჩეულ საცხოვრებელშიც მიიყვანა. ვიდრე ამერიკაში წასასვლელად საჭირო "წვრილმანი" პრობლემები მოგვარდებოდა, კლიენტებს იქ უნდა ეცხოვრათ. მაგრამ ბულგარეთში ცხოვრება ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა, თანაც ყველანაირი ხარჯის დაფარვა კლიენტებს თავად მოუხდათ. ორი კვირის შემდეგ კი ჯემალმა თანამემამულეებს დომინიკანელთა რესპუბლიკაში გასამგზავრებელი ბილეთები მიუტანა – ამერიკის ვიზებს იქ გავაკეთებთო.

ასე მოხვდნენ ქართველები უვიზო რეჟიმის ქვეყანაში, სადაც კვლავ საკუთარი ხარჯებით დაბინავდნენ დედაქალაქიდან 4 საათის სავალზე დაშორებულ დასახლებაში. **"სამი თვის მანძილზე კვირაში ორჯერ-სამჯერ ხან მაია და ხან ჯემალი ტელეფონით გვიკავშირდებოდნენ და გვეუბნებოდნენ: სანტო-დომინიგოში ჩადით, ამა და ამ ჯიხურთან კაცი მოვა და ამერიკის ვიზებს მოგიტანთო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩავდიოდით, მთელი დღე ვიდექით ჯიხურთან, მაგრამ არც ვიზებიანი კაცი ჩანდა და არც ამბის მომტანი. თითქმის ასე მეორდებოდა ორ დღეში ერთხელ. ყველანი ფსიქიური აშლილობის ზღვარზე ვიყავით. დომინიკანელები საშინლად აგრესიული ხალხია, სულ იმის შიშში ვიყავით, არ დავეხოცეთ. მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა, ყოველი დარეკვის შემდეგ მაინც მივდიოდით დათქმულ ადგილას და ყოველთვის მოტყუებულები ვბრუნდებოდით უკან",** - იხსენებს დაზარალებული ქალბატონი.

ორი თვის გასვლის შემდეგ ჯემალს კლიენტებისთვის დაურეკავს და უთქვამს – ჩილეს გემი ჩამოდგება და ვისაც სურვილი გაქვთ, იმას გაჰყევითო. რამდენიმე ქართველი, რომლებსაც საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში არანაირი პრესპექტივა აღარ ჰქონდათ, რადგან ამერიკაში წასასვლელად სახლებიც გაყიდეს, გემით წასულან. დაზარალებულის თქმით, მათი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცის.

გემის გასვლიდან რამდენიმე დღეში კი დარჩენილ კლიენტებს ჯემალმა უცნობი დომინიკანელის ხელით კუბის ბილეთები და ვიზები გაუგზავნა. მაგრამ კუბაში ჩაფრენილი ქართველები უკან დააბრუნეს - ვიზები ყალბი აღმოჩნდა.

**"ამასობაში სამი თვე გავიდა, საარსებო ფულიც აღარ გვქონდა, მოტყუებულთა ნაწილი ბულგარეთში დავბრუნდით და იქიდან დიდი გაჭირვებით ჩამოვედით საქართველოში. ნაწილი კი კვლავ დომინიკანელთა რესპუბლიკაში დარჩა და არ ვიცი, რა ბედი ეწიათ".**

აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოკვლევა დაასრულა და გამოძიება დაიწყო. ჯემალზეც და მაიაზეც გამოცხადებულია ძებნა, მაგრამ თუ რა შედეგით დასრულდება თაღლითობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, წინასწარ პროგნოზს სამართალდამცველებიც ვერ აკეთებენ.

**"მოტყუებული ხალხის მთავარი მიზანია, საკუთარი ფული დაიბრუნონ და თაღლითის დაპატიმრებაზე აღარც ფიქრობენ. პირიქით, დაკარგულ თანხას დაიბრუნებენ თუ არა, ჩვენებებს თაღლითების სასარგებლოდ წერენ და აქეთ გვადანაშაულებენ. ასეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული ჩვენებას არ გაძლევს, მოწმე კი საერთოდ არ არსებობს, საქმის გახსნაზე და დამნაშავის დასჯაზე საუბარი ძნელია,"** – გვითხრა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსმა რევაზ ღლიღვაშვილმა და უცხოეთში წამსვლელთ ყველაზე უტყუარი რჩევა მისცა - **"გადაამოწმეთ, ვის ანდობთ ბედს და თანხას; არ ენდოთ შემთხვევით გაცნობილებს".**

# რუსი პროკურორის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ქართველი ძალოვნები კატეგორიულად უარყოფენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

მას შემდეგ, რაც ქართულმა მართლმსაჯულებამ რუსეთ-საქართველოს საზღვრის დამრღვევი სამი ჩეჩენი საქართველოში დატოვა, რუსეთის გენერალური პროკურატურა კვლავ ალაპარაკდა პანკისის ხეობაზე და იქ მყოფ ჩეჩენ მებრძოლებზე.

**"პანკისის ხეობას ამჟამად 700-მდე ჩეჩენი მებრძოლი აფარებს თავს, რომლებიც დროდადრო რუსეთის ტერიტორიაზე გადადიან და ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ",** - აცხადებს რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე სერგეი ფრიდინსკი. მისივე თქმით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის მახლობლად, არღუნის ხეობაში, რამდენიმე დღის წინ, რუსეთის სპეცსამსახურებმა ჩეჩენი მებრძოლების საიდუმლო ბუნკერი გაანადგურეს, სადაც დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი საბრძოლო იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერება. **"ეს იარაღი ჩეჩნეთში სწორედ საქართველოდან მოხვდა",** - ირწმუნება ფრიდინსკი. მისივე განმარტებით, ჩეჩენი მებრძოლები გამუდმებით იცვლიან ადგილსამყოფელს - საქართველოდან ჩეჩნეთში გადადიან და - პირიქით.

ქართული მხარე კატეგორიულად უარყოფს რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას პანკისის ხეობაში 700-მდე ჩეჩენი მებრძოლის ყოფნის თაობაზე და მას სწორედ უზენაესი სასამართლოს მიერ რამდენიმე დღის წინ მიღებულ, რუსეთის გენპროკურატურისთვის არასასურველ გადაწყვეტილებას უკავშირებს. **" რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის ფრიდინსკის განცხადება საეჭვოდ დაემთხვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას სამი ჩეჩენი პატიმრის საქართველოში დატოვების თაობაზე. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებამ რუსეთის გენერალური პროკურატურა, რომელიც დღემდე კატეგორიულად ითხოვს საქართველო-რუსეთის საზღვრის დამრღვევი ჩეჩენი პატიმრების გადაცემას, სერიოზულად გააღიზიანა. თუ პანკისის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლები ნამდვილად არიან, ფრიდინსკის შეეძლო, ამის შესახებ სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებამდეც განეცხადებინა",** - ასეთია ქართველ ძალოვანთა პოზიცია.

ქართული მხარე რუსეთის გენერალურ პროკურატურას ორი თვის წინანდელ შეხვედრას ახსენებს, როცა საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელებმა ორი ქვეყნის საზღვარზე არსებული მდგომარეობა მიმოიხილეს. მაშინ რუსულ მხარეს პანკისის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლების ყოფნის შესახებ არანაირი განცხადება არ გაუკეთებია; უფრო მეტიც – რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არსებული მდგომარეობა ორი თვის წინანდელ შეხვედრაზე რუსული მხარის მიერ სტაბილურად შეფასდა.

**"პანკისის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლების გადაადგილების შესახებ შეტყობინება ქართულ მხარეს არც რუსი საზღვრის დამცველებისგან და არც ეუთო-ს დამკვირვებლებისგან, რომლებიც საზღვარს ორივე მხრიდან აკონტროლებენ, არ მიუღია. საზღვრის ამ მონაკვეთზე დაცვა გაძლიერებულია, მარტო რუსეთის მხრიდან იქ 3000-მდე მესაზღვრეა, ეუთო-ს მისიის წარმომადგენლების იქ ყოფნა კი საზღვრის დარღვევის შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებს. თუ საქართველოს ტერიტორია 700-მა მებრძოლმა გადმოლახა, სად იყვნენ მაშინ რუსი მესაზღვრეები? ან ისინი ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, ან ფრიდინსკის განცხადებაა უსაფუძვლო",** - ასეთ დასკვნას აკეთებენ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში.

# მძარცველებმა მსხვერპლს ოქროს კბილები დააძრეს

სამართალდამცველებმა რუსთავში დააკავეს სამკაციანი ყაჩაღური ჯგუფის ორი წევრი, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ქუჩაში გამვლელებს აყაჩაღებდნენ. დაკავებისას ია აგაბალოვას და ბერიკა ბექაურს, ნაყაჩაღარ ნივთებთან ერთად, სამართალდამცველებმა ორი ცალი ოქროს კბილიც უპოვეს.

როგორც გაირკვა, ია აგაბალოვა და ბერიკა ბექაური ვინმე მიხეილ ზანგუაშვილს მოტყუებით ჩაუსხდნენ „ვაზ-2106" მარკის ავტომანქანაში და დანის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითა და მუქარით წაიყვანეს რუსთავის ტყეპარკში. 22 წლის ია აგაბალოვამ და 19 წლის, უკვე ნასამართლევმა ბერიკა ბექაურმა მიხეილ ზანგულაშვილს წაართვეს თერთმეტი ლარი, მობილური ტელეფონი და სხვა პირადი ნივთები, შემდეგ კი ბრტყელტუჩათი შეიარაღებულებმა ძალის გამოყენებით მას ორი ცალი ოქროს კბილიც ამოაძრეს. მძარცველებმა გასისხლიანებული ზანგულაშვილი ტყეში დატოვეს და სასწრაფოდ გაუჩინარდნენ. სასტიკად ნაცემმა ზანგულაშვილმა როგორღაც საავადმყოფომდე მიაღწია, საავადმყოფომ კი შეტყობინება პოლიციას გაუგზავნა.

"დამნაშავეები მეორე დღეს დავაკავეთ. მათ სხვა ყაჩაღობებიც აღიარეს. მესამე პირი, რომელიც მათთან ერთად რუსთავსა და თბილისში "მოღვაწეობს", უკვე დადგენილი გვყავს. მის დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას რუსთავის პოლიციის უფროსმა.

*ინფორმაცია*

# ყაჩაღობა გამთენიისას

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. გუშინ, გამთენიისას, სოფელ ტყვიავში მცხოვრებ გიგუაშვილების ოჯახს რამდენიმე შეიარაღებული ნიღბიანი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ოჯახის წევრებს ოქრო და ფული მოთხოვეს.

გიგუაშვილებს ყაჩაღებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. თავდამსხმელებმა სახლის მონდომებით ჩხრეკა-შემოწმების შემდეგ ოჯახის კუთვნილ ფულს მიაგნეს. შეიარაღებული ნიღბიანი ყაჩაღების დანახვისთანავე ოჯახის უფროსს ხვიჩა გიგუაშვილს, რომელსაც გულის დაავადება წლების განმავლობაში აწუხებდა, შეტევა დაემართა და თავდამსხმელთა თვალწინ ინფარქტით გარდაიცვალა. ყაჩაღებმა სახლის ჩხრეკა ამის შემდეგაც განაგრძეს და გიგუაშვილების ოჯახი 600 დოლარითა და 1500 ლარით "ხელდამშვენებულებმა" სასწრაფოდ დატოვეს.

მომხდართან დაკავშირებით გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით. ჯერჯერობით, სამართალდამცველებს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრე არ ჰყავთ.

# ჩეჩნეთში ტერორისტი ქალები დააკავეს

ჩეჩნეთში, სოფელ ულუს-კერტში დააკავეს 2 ქალი, რომლებიც მილიციამ უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობაში დაადანაშაულა. დაკავებულთაგან ერთი 35 წლისაა, ხოლო მეორე - 16 წლის. მათი ვინაობა რატომღაც, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია. მილიციის ინფორმაციით, დაკავებულები "ნორდ-ოსტის" ტერაქტში მონაწილე ქალის, ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის არბი ბარაევის ცოლის - ზური ბარაევის "მარჯვენა ხელის" სახელით არიან ცნობილნი. მილიცია აცხადებს, რომ ზური ბარაევი რუსი სამხედროების დაუძინებელი მტერი გახლდათ და სხვადასხვა დროს მოკლული საველე მეთაურების ცოლებთან ერთად შექმნა მებრძოლ ქალთა დაჯგუფება. "ჩეჩენი დების დაჯგუფება ტოლს არ უდებს მამაკაცებს; მეტიც, მათი მამაცობა ბევრ მამაკაცს შეშურდება. "გაერთიანდით ჩვენთან და იბრძოლეთ," – ნათქვამია წერილში, რომელიც მილიციამ დაკავებული ქალების სახლიდან ამოიღო და რომელიც ცოტა ხნის წინ პროკლამაციის სახით გავრცელდა ჩეჩნეთში.

# დაკავებულთა ტრაილერში დაღუპული ემიგრანტები აღმოაჩინეს

აშშ-ს პოლიციამ დააკავა 4 მძღოლი. მათ ტრაილერში 7 ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს. პოლიციის წინასწარი მონაცემებით, მძღოლებმა მგზავრებისგან ტეხასის შტატში არალეგალურად გადაყვანაში ხუთი ათასი დოლარი აიღეს. სამწუხაროდ, მგზავრობა ტრაგიკულად დასრულდა, ტრაილერში გამოკეტილი მგზავრები უჰაერობის გამო გაიგუდნენ. ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის პოლიციამ ტრაილერის შემოწმებისას 7 ადამიანის ცხედარი აღმოაჩინა, ორი კი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

# ამერიკა უცხოელი მოქალაქეების წინააღმდეგ კონტროლს ამკაცრებს

აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილებით, 400 მილიონი დოლარი გამოიყო ქვეყნის აეროპორტებში კონტროლის ახალი სისტემის დასამონტაჟებლად. ამერიკაში ჩასული ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქეს კონტროლის ახალი სისტემის გავლა მოუწევს.

ამერიკის აეროპორტებსა და პორტებში შესული უცხოელის დოკუმენტები – ვიზა, პირადობის მოწმობა და ა.შ. - კომპიუტერულ ქსელში შევა, თითოეულ მოქალაქეს გადაუღებენ ფოტოს და აუღებენ თითის ანაბეჭდს. კონტროლის პროცედურა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ჩაუტარდება იმდენჯერ, რამდენჯერაც მას ამერიკის საზღვრის გადაკვეთა მოუწევს. კონტროლის ახალი მექანიზმი იმოქმედებს მხოლოდ იმ მოქალაქეების მიმართ, რომელთაც აშშ-ში შესასვლელად ამერიკის ვიზა ესაჭიროება.

# „მატრიცას" ფანატები მთავარ გმირს ბაძავენ

გაზეთ "T"-ის ინფორმაციით, ამერიკაში ძალზე პოპულარულმა ფილმმა "მატრიცამ" ქვეყანაში სერიული მკვლელობების მატება გამოიწვია. ფილმის მთავარ გმირს – ნეოს, ძირითადად, არასრულწლოვანები ბაძავენ. ძალზე გახშირდა შემთხვევები, როცა ამერიკელმა სამართალდამცველებმა დააკავეს ნეოს მსგავსად შავ ლაბადაში გამოწყობილი, ქამარში პისტოლეტგაჩრილი მოზარდები, რომლებმაც მკვლელობების შემდეგ თავად დარეკეს პოლიციაში და ჩადენილი დანაშაულის შესახებ განაცხადეს. არასრულწლოვანები კლავენ მშობლებს, და-ძმას, მეგობრებს და აცხადებენ, რომ ნეოს მსგავსად იბრძვიან ბოროტების წინააღმდეგ.

ამერიკის ცნობილი პროკურორი პობერტ ხორანი აცხადებს: "არ მიმაჩნია, რომ ფილმი გახდა ძალადობის გავრცელების მიზეზი. ეს ფილმი ნახა მილიონმა ადამიანმა და მათ არავინ მოუკლავთ," – ამბობს ცხარე დებატებში ჩაბმული პროკურორი.

"მატრიცას" გავლენის ქვეშაა პატარა "ვაშინგტონელი სნაიპერიც" – 18 წლის ჯონ ლი მალვო. "განთავისუფლდი მატრიცასგან," – ასეთი წარწერა გააკეთა მან საკანში.

შექმნილი სიტუაციის გამო ამერიკაში უკვე დაიწყეს მსჯელობა ფილმის აკრძალვის თაობაზე.

*მოკლედ*

**თბილისი.** სასტუმრო "მერიოტში" დანაშაულის პრევენციის საკითხებისადმი მიძღვნილი 2-დღიანი საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა. გერმანელი სამართალდამცველები ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებს დასავლეთის ქვეყნებში დამნაშავეობის პრევენციის სფეროში დანერგილ მეთოდებსა და პრინციპებს აცნობდნენ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის კახა კობერიძის განცხადებით, თუ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება მისაღები აღმოჩნდება საქართველოსთვის, კონფერენციის შედეგად შესაძლოა, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც განხორციელდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხვალ, ვაშინგტონში გაიხსნება მე-11 საერთაშორისო სასამართლო კონფერენცია, რომელიც სამი დღე გაგრძელდება. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ვაშინგტონში ჩავიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია.

კონფერენციის მონაწილეებს შეხვდება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს წევრი სანდრა დეი ო,კონორი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გურჯაანის რაიონის პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა ყაჩაღობისთვის ძებნილი, 35 წლის სეით აბელაშვილი, რომელიც 1995 წლის 9 აპრილს, სხვებთან ერთად, სოფელ კალაურში მცხოვრებ ივანე ცერცვაძის ოჯახს თავს დაესხა, საიდანაც იარაღის მუქარით გაიტაცა ფული და ოქროს სამკაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახმეტის რაიონის პოლიციამ პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოს მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა 34 წლის ქისტი გია დაქიშვილი. იგი 1992 წლიდან თელავის სამხედრო პროკურატურის მიერ დეზერტირობისთვის იძებნებოდა.

არსებობს ინფორმაცია, რომ დაქიშვილს სამხედრო ნაწილიდან გაქცევის შემდეგ რამდენიმე მძიმე სახის დანაშაულიც აქვს ჩადენილი. დაქიშვილს თელავის სამხედრო პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. **მედია-ნიუსი**

## „რენო„ ვალების გარეშე 2005 წლიდან


კარლოს გოსნი

ხუთი წლის წინ „რენოს“ დავალიანება 1.6 მილიარდ ევროს შადგენდა. ორი წლის წინ, მას შემდეგ, რაც ფრანგულმა ავტოგიგანტმა იაპონური „ნისანის“ აქციების საკონტროლო პაკეტი, კორეული „სამსუნგი“ და რუმინული „დაჩია“ შეისყიდა, მისი ვალები 4.8 მილიარდ ევრომდე გაიზარდა.

დღეს კი „რენოს“ აღმასრულებელი ლუი შვეიცერი ირწმუნება, რომ 2005 წლისთვის მისი კომპანია ვალებისგან გათავისუფლდება. მისი თქმით, ეს არ იქნება გაყიდვების გაზრდის ხარჯზე. ამას ანალიტიკოსებიც ადასტურებენ, რომელთა პროგნოზითაც, აღნიშნულ პერიოდში „რენოს“ გაყიდვების მხრივ გარკვეული პრობლემები ექნება.

სამაგიეროდ, თავის შედეგს მოიტანს აქამდე განხორციელებული ინვესტიციები, რომელთაგან შედეგის მიღებასაც გარკვეული პერიოდი ესაჭიროება და უკუგების პიკი სწორედ 2005 წლისთვისაა მოსალოდნელი.

„რენოს“ გეგმებში განსაკუთრებული ადგილი „ნისანს“ უკავია. იაპონური კომპანია 90-იანი წლების ბოლოდან მძიმე ფინანსურ კრიზისში იმყოფებოდა და სწორედ „რენოსგან“ მისი აქციების ყიდვამ იხსნა კრახისგან.

ფრანგულმა კომპანიამ „ნისანის“ შესაძენად და რესტრუქტურიზაციისთვის 5 მილიარდი ევრო გაიღო და კომპანიის სათავეში საავტომობილო ბიზნესში კარგად ცნობილი პიროვნება - კარლოს გოსნი დანიშნა.

ამ კაცმა მოკლე დროში წამგებიანი კომპანია ძირფესვიანად გარდაქმნა და შედეგად, რამდენიმე კვირის წინ „ნისანი“ მომგებიანი გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან „რენო“, რომელიც „ნისანის“ აქციების 44.4 პროცენტის მფლობელია, მისგან დივიდენდების მიღებას დაიწყებს.

## ორი მილიარდი დოლარი მექსიკური ქარხნისთვის

„ფოლკსვაგენმა“ გამოაცხადა, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში თავისი მექსიკური საწარმოების მოდერნიზაციისთვის ორი მილიარდი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ეს გეგმა ითვალისწინებს ასევე პუებლას ქარხანაში მოდელ „ბორას“ (ამერიკაში „ჯეტა“) გამოშვების დაწყებას. ეს ავტომობილი მალე მხოლოდ პუებლას ქარხანაში დამზადდება, საიდანაც ძირითადად ევროპული და ამერიკული ბაზრებისკენ გაიგზავნება.

წარმოების გაფართოება გულისხმობს სამუშაო ადგილების 1.5 ათასით გაზრდას, პუებლას საწარმოო სიმძლავრე კი ახლანდელი 332 ათასიდან (წელიწადში) 2005 წლისთვის 430 ათასამდე გაიზრდება.

მექსიკაში საწარმოების მქონე უცხოურ ავტოკომპანიებს შორის „ფოლკსვაგენს“ მესამე ადგილი უკავია „ჯენერალ მოტორსისა“ და „დაიმლერკრაისლერის“ შემდეგ.

## იტალიაში შექმნილი ესპანური სუპერკარი



ბარსელონას ავტოსალონზე ესპანურმა სადიზაინერო სტუდია „ფუორე დიზაინმა“ წარმოადგინა „იაგუარის“ ნაწილებით შექმნილი სუპერავტომობილი სახელად XF10. აღნიშნული სტუდია ეკუთვნის ცნობილ დიზაინერ ერვინ ჰიმელს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა პროექტ „მიცუბიში პაჯერო ევოლუშნსა“ და „სუბარუ B11S“-ში.

თავისი გარეგნობით XF10 სწორედ სუბარუს მიერ წლეულს, დეტროიტის ავტოსალონზე პირველად წარმოდგენილ „სუბარუ B11S“-ს ჰგავს. რაც შეეხება ავტომობილის აბრევიატურას, X ინგლისური კომპანია „იაგუარის“ ერთ-ერთი ყველაზე ლეგენდარული მოდელის აღმნიშვნელია, რიცხვი ათი ძრავის ცილინდრების რაოდენობაა და ჰიმელის აზრით, მისი ქმნილების ფორმულა ერთთან „ნათესაურ კავშირზე“ მიუთითებს. ამას ადასტურებს ლიტერი F, რომელიც სწორედ ფორმულა ერთს ნიშნავს.

ორადგილიანი სუპერკარი აღჭურვილია 7 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ათცილინდრიანი აგრეგატით, რომელიც 640 ცხენის ძალას ავითარებს. მისი საშუალებით ავტომობილი ადგილიდან ას კილომეტრ საათ სიჩქარეს 4 წამზე ნაკლებს უნდება. რაც შეეხება მაქსიმალურ სიჩქარეს, იგი 330 კმ/სთ-ს აღწევს. ავტომობილი ტურინში შეიქმნა, იტალიური ატელიე „მოდარტის“ მიერ.

## 2005 წლისთვის „ფორდი„ 9 მილიარდს მოიგებს

მსოფლიოს მეორე უდიდესი კომპანია „ფორდი“ კვლავაც ამცირებს თავის დანახარჯებს, რაც მეტწილად წამგებიანი განყოფილებების დახურვის ხარჯზე ხდება. წლეულს „ცისფერი ოვალი“ დანახარჯების მილიარდი დოლარით შეკვეცას აპირებს, 2005 წლისთვის კი, მანამდე განხორციელებულ ღონისძიებათა წყალობით, კონცერნის ხელმძღვანელობა მოგების სახით 9 მილიარდის მიღებას იმედოვნებს.

გარდა ამისა, „ფორდი“ აცხადებს, რომ არ ელის წლეულს გაყიდვების გაზრდას. 2005 წლამდე ამერიკაში გაყიდვები 16.5 მილიონ ავტომობილს მიაღწევს, ევროპაში კი - 17 მილიონს.

## 240 ცხენის ძალა სიამოვნებისთვის



სატიუნინგო ატელიე MS-დიზაინმა მოამზადა როდსტერ „ოპელ სპიდსტერის“ მის მიერ დამუშავებული ვარიანტი, რომელსაც შეზღუდული რაოდენობით შესთავაზებს პოტენციურ მყიდველს.

ახალი ტურბოდამჭირხნების დაყენების შემდეგ ავტომობილის 144 ცხენისძალიანი აგრეგატის სიმძლავრემ 240-ს მიაღწია. ბუნებრივია, გაძლიერებულმა ძრავმა დაკიდების სისტემის შესაბამისი მოდიფიცირება მოითხოვა და „სპიდსტერმაც“ ახალი, უფრო ხისტი ზამბარები და ამორტიზატორები მიიღო.

რაც შეეხება აეროდინამიკას, ამ საქმეში MS-დიზაინი განსაკუთრებით გაწაფულია და ბუნებრივია, თავისი ხელი დაატყო გაუმჯობესებულ „სპიდსტერს“. სტუდიის განცხადებით, ასეთი ავტომობილი მხოლოდ ასი მყიდველისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

# „ბეემვე“ M5-ის და Z8-ს წარმოებას წყვეტს

კომპანია „ბეემვეს“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, წლეულს შეწყვიტოს თავისი ყველაზე ძვირადღირებული სპორტული ავტომობილების, როდსტერ Z8-ს და სპორტულ სედან M5-ის წარმოება.

ამასთან დაკავშირებით, ბავარიელებს გადაწყვეტილი აქვთ, გამოუშვან როდსტერის ბოლო პარტია - ამ პროგრამით ბაზარზე გამოვა 550 ცალი Z8, რომელთა უმეტესობაც წლის ბოლომდე გაიყიდება აშშ-ის ბაზარზე და ამის შემდეგ ის ისტორიის კუთვნილება გახდება.

მოდელ Z8-ს წარმოება ჯერ კიდევ 1997 წელს გადაწყდა, როცა ტოკიოს ავტოსალონზე ნაჩვენებ იქნა კონცეპტუალური „ბეემვე“ Z07, რომელშიც შეიმჩნეოდა წარსულში ლეგენდარული მოდელ 507-ის გავლენა.

მოგვიანებით, 1999 წელს, როცა Z8 ჯერ გამოსული არ იყო ბაზარზე, იგი გადაიღეს ჯეიმს ბონდის ერთ-ერთ სერიაში. „აგენტური“ დებიუტის შემდეგ ბავარიული კომპანიის დილერებმა მთელ მსოფლიოში დაიწყეს ახალ სპორტულ ავტომობილზე შეკვეთების მიღება.

ამ სუპერავტომობილის მთავარი თავისებურება ისაა, რომ იგი აწყობილია ალუმინისგან შექმნილ სპეციალურ მოცულობით ჩარჩოზე, რისი წყალობითაც მსუბუქიც გამოვიდა და არც სიხისტე დაუკარგავს. მის კაპოტქვეშ მწარმოებელმა განალაგა 5-ლიტრიანი V8, რომელიც 394 ცხენის ძალას ავითარებს და რომელიც მანამდე უკვე გამოიყენებოდა მოდელ M5-ში.

Z8, რომლის საშუალო ფასიც 130 ათას დოლარს შეადგენს, მყიდველთა შორის დიდი პოპულარობით არასოდეს სარგებლობდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ამ როდსტერის საბაზრო „მოღვაწეობით“ „ბეემვეს“ ხელმძღვანელობა მაინც კმაყოფილი დარჩა.


"ბეემვემ" M5 და Z8 გაწირა

„Z8 არასოდეს ყოფილა განკუთვნილი მასობრივი ტირაჟით წარმოებისთვის. ეს არის ექსკლუზიური ავტომობილი, რომლის ყოველი ეკზემპლარის აწყობაც ხელით ხდება. ამიტომ, იგი არასოდეს უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვეულებრივი ავტომობილი“, - ამბობენ კომპანიის ხელმძღვანელები.

როგორც ამბობენ, ამ ორი სპორტული ავტომობილის წარმოების შეწყვეტის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მე-5 სერიის ახალი თაობის ავტომობილზე, რომლის დებიუტიც წლეულს შედგება, არ არის გათვალისწინებული 5-ლიტრიანი V8-ს გამოყენება. არადა, სწორედ ამ აგრეგატით კომპლექტდება ორივე სპორტული ავტომობილი. რაც მთავარია, ახალი მე-5 სერიისთვის ჯერ გათვალისწინებული არ არის ამ ლიტრაჟის ახალი აგრეგატის დამზადება, ძრავის გამო ერთბაშად ორი ავტომობილის მოდერნიზება კი ბავარიელებმა საჭიროდ არ ჩათვალეს.

არადა, როდსტერ Z8-ს საშუალებით გამოიცადა ბევრი ისეთი სიახლე, რომლებიც მალე სერიული ავტომობილების წარმოებაშიც დაინერგა და ამით „ბეემვემ“ სოლიდური თანხები დაზოგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავარიელებს ალუმინისგან პლატფორმის დამზადების გამოცდილება ახალი „როლს როისის“ შექმნის დროსაც გამოადგათ.

ავტომობილმა ბაზარზე სულ სამი წელი გაძლო, რაც „ბეემვეს“ ავტომობილების „სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე“ ორჯერ ნაკლებია. რომელი მოდელით შეცვლიან ბავარიელები Z8-ს, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, დღეისათვის ისინი მთლიანად მე-6 სერიის სპორტული ავტომობილის გამოშვებაზე არიან მობილიზებულნი, რომელიც ბაზარზე 2005 წლიდან გამოჩნდება. ამასთან, „ბეემვე“ აცხადებს, რომ მოდელი Z9 მხოლოდ ექსპერიმენტული დანიშნულებით იქნა შექმნილი და მისით Z8-ს შეცვლა არ არის დაგეგმილი.

რაც შეეხება M5-ს, ეს ავტომობილი ბაზრის თავის სეგმენტში შესანიშნავი რეპუტაციით სარგებლობს და წლების განმავლობაში სიმძლავრით, მართვის მოხერხებულობით და უბადლო დინამიურობით ეტალონს წარმოადგენს ისეთი ძლიერი კონკურენტებისთვისაც კი, როგორებიც არიან „მერსედეს-ბენცი“, „იაგუარი“ და „აუდი“.

მაგრამ, თუ Z8-ს ბედი საბოლოოდ გარკვეულია, სპორტული სედანი ბაზარზე ორ-სამ წელიწადში აუცილებლად გამოჩნდება. ეს კი მას შემდეგ მოხდება, რაც მყიდველი მე-5 სერიის ყველა დანარჩენ მოდიფიკაციას მიიღებს.

# „სეატ კუპრა GT“ ელეგანტური სპორტსმენი ესპანეთიდან

დეტროიტის, პარიზის, ფრანკფურტისა და ტოკიოს ავტოსალონებზე თუ ერთგვარი მასპინძლის როლში ბღუჯა-ბღუჯა ავტოკომპანიები გვევლინება, ბარსელონას ავტოსალონს, რომელმაც მუშაობა 24 აპრილს დაიწყო, და ერთი კვირა გაგრძელდა, ასეთი მასპინძელი მხოლოდ ერთი ჰყავს და ისიც, „ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალი „სეატი“.

ბარსელონას ავტოსალონი ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქებისას ვერც მასშტაბურობით შეედრება და ვერც სახელით. ის ძირითადად ლოკალური ბაზრის ინტერესებს ასახავს და ბუნებრივია, მასზე მთავარ მოქმედ „პირად“ სწორედ „სეატი“ გვევლინება და ესპანური კომპანიაც მნახველს გულუხვად სთავაზობს თავის სიახლეებს.

გამონაკლისი არც წლევანდელი სალონი ყოფილა - „სეატმა“, რომლის საშუალებითაც „ფოლკსვაგენი“ პირენეის ნახევარკუნძულზე კონკურენციას უწევს „ფიატსა“ და „ალფა რომეოს“, დამთვალიერებლის წინაშე წარმოადგინა შესანიშნავი სპორტული ავტომობილი, რომელსაც ძრავი „აუდისგან“ (ესეც „ფოლკსვაგენის“ ოჯახის წევრია) აქვს ნასესხები.

ავტომობილი სახელად „კუპრა GT“ არის ტიპიური სპორტული ავტომობილი, რომელსაც ძრავი ბაზაში (მძღოლის უკან) აქვს განლაგებული. როგორც კომპანიის სტენდზე განაცხადეს, ეს შესანიშნავი გარეგნობის მანქანა წარმოებისთვისაა გამზადებული და მალე მყიდველისთვის ხელმისაწვდომი იქნება. ეს წლის ბოლოს მოხდება, თუმცა „სეატი“ ახლავე



აცხადებს, რომ „კუპრა GT“-ს მყიდველთა შეზღუდული კონტინგენტი მიიღებს და იგი ძირითადად ესპანეთის GT კლასის (დიდი ტურიზმი) ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვისაა განკუთვნილი.

„აუდის“ წარმოების სამლიტრიანი V6 კონფიგურაციის ძრავი ორი ტურბოკომპრესორის მეშვეობით 500 ცხენის ძალას და 482 ნ/მ მაბრუნ მომენტს ავითარებს. შედეგად, 1100-კილოგრამიანი ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 288 კმ/სთ-ს სჭარბობს, ადგილიდან 96 კმ/სთ (60 მილი საათში) სიჩქარის აკრეფას კი 4 წამზე ოდნავ მეტს ანდომებს.

სარბოლი ტრადიციების შესაფერისად, ავტომობილის შასი და ძარაც შუშა-კარბონის (შუშისა და ნახშირდაბოვანი მატერიის) და კევლარის კომპოზიტებისგანაა დამზადებული. იგივე მასალებითაა დამზადებული სამუხრუჭე და გადაბმულობის ფრიქციული დისკები და დაკიდების სისტემის ელემენტები. მისი აეროდინამიკა კი პირველ რიგში სპორტის შესაფერისია.

და მაინც, რაც უნდა იყოს, ბარსელონაში წარმოდგენილი „კუპრა GT“ კონცეპტუალური შემოქმედებაა, მაგრამ „სეატის“ დიზაინის განყოფილების შეფი, სახელგანთქმული დიზაინერი ვალტერ დე სილვა აცხადებს, რომ ამ მანქანას გარეგნობა აღარ შეეცვლება.

სწორედ დე სილვას მოსვლის შემდეგ შეიმუშავა „სეატმა“ თავისი ავტომობილების დიზაინის საერთო სტილი, რომელიც თითქმის ყველა მოდელში ჰპოვებს მეტ-ნაკლებად ასახვას. მისი მთავარი ნიშანია ავტომობილის ცხვირში წარმოქმნილი დინამიური ზოლი, რომელიც ტალღისებრი ფორმით გამოირჩევა და დაბოლოებას უკანა ბორბლების წინ პოულობს. დე სილვამ ამ სტილს „დინამიკური ზოლი“ უწოდა და იგი პირველად მოდელ „სალსას“ კონცეპტუალურ ვარიანტში იქნა გამოყენებული.

# „სმარტი“ იზრდება და მრავლდება

კონცერნმა „დაიმლერკრაისლერმა“ გაავრცელა თავისი მიკროავტომობილ „სმარტის“ ხუთკარიანი ვერსიის, „სმარტ ფორ4“-ის პირველი ფოტოები და გამოაცხადა, რომ ამ ავტომობილის დებიუტი მერმის შედგება და მისი საშუალებით კონკურენცია გაეწევა ბაზრის ისეთ ლიდერებს, როგორებიცაა „ფოლკსვაგენ პოლო“ და „ფორდ ფიესტა“.

გარეგნულად „სმარტ ფორ4“ გავს „დაიმლერკრაისლერის“ კონცეპტუალურ მოდელ „ტრიდიონს“, რომელიც კონცერნმა 1999 წელს წარმოადგინა. ავტომობილის სიგრძეა 3.75 მეტრი, სიგანე 1.79 მეტრი, სიმაღლე კი - 1.45 მეტრი. ისევე როგორც ჩვეულებრივ „სმარტს“, ხუთკარიანსაც გზის საფარიდან მეტად მცირე დაშორება ექნება და მასზე ბორბლები უკიდურეს ნაწილებში განლაგდება, რაც გადაბრუნებისადმი ავტომობილის მედეგობას უზრუნველყოფს.

მგზავრთა პასიური უსაფრთხოება მინდობილი აქვს ფოლადის მოცულობით „ბადეს“, რომელიც ძარას საჭირო სიხისტეს ანიჭებს, რათა ის არ დაილუნოს, ან რაც უარესი იქნე-



ბოდა, დაიკეცოს. წინასწარ განსაზღვრულია, რომ ავტომობილი ორ ფერში შეიღებება.

ხუთადგილიანი „სმარტი“ ინტერიერითაც დაემგვანება თავის წინამორბედს, თუმცა უფრო „მკაცრი“ და მრავალფეროვანი იქნება. სალონში ყველაზე მთავარი კი მასში ტრანსფორმირების შესაძლებლობის მრავალფეროვნება იქნება, რაც მინივენებისთვისაა დამახასიათებელი.

ხუთკარიანი „სმარტისთვის“ გამოყენებულ იქნება „მიცუბიში კოლტის“ პლატფორმა, რომელსაც კონცერნის კუთვნილი ჰოლანდიის ქალაქ ბორნის საწარმო „ნედკარი" გამოუშვებს. მყიდველს კომპანია შესთავაზებს ბენზინის სამ და დიზელის ორ აგრეგატს. რაც შეეხება დანარჩენ ინფორმაციას, „დაიმლერკრაისლერი“ მათ უფრო დაწვრილებით სექტემბერში, ფრანკფურტის ავტოსალონზე გამოაცხადებს.

ამასთან, „სმარტის“ აღმასრულებელმა ანდრეას რენშლერმა განაცხადა, რომ ახალი ავტომობილის ის ვერსია, რომელიც აშშ-ის ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი, ევროპულისგან დიზაინით იქნება განსხვავებული.

ამერიკის ბაზარზე „სმარტისთვის“ დილერთა დამოუკიდებელი ქსელი შეიქმნება. მას უხელმძღვანელებს „მერსედეს-ბენცის“ აშშ-ის განყოფილების აღმასრულებელი დევიდ შემბრი. ხუთკარიანი „სმარტის“ გაყიდვები 2005 ან 2006 წელს დაიწყება. ამასთან, ამერიკის ბაზრისთვის განკუთვნილ „სმარტებს“ ბრაზილიაში, ჟუიზ დე ფორას „მერსედეს-ბენცის“ დღეისათვის უმოქმედოდ მყოფ ქარხანაში დაამზადებენ.

www.24hours.ge 24 B

# პრეზიდენტი ბუში კანდიდატი ბუში ხდება


ჯორჯ ბუში


კარლ როუვი


მერსერ რეინოლდსი


დიკ ჩეინი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ფორმა მაინც უნდა დაეცვათ. და აი, გასული კვირის ბოლოს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სავალდებულო ქაღალდები შეავსო და ახალი არჩევნების კანდიდატად გამოაცხადა თავი. ახლა მას შეუძლია, "კანონიერ საფუძვლებზე" შეუდგეს საარჩევნო კამპანიისთვის სახსრების შეგროვებას და თავისი ჯგუფის – საარჩევნო შტაბის ჩამოყალიბებას. დაიწყო ერთი მილიონი წერილის დაგზავნა მოწოდებით "შეგვეწიეთ" (ამ სტრიქონების ავტორმა ერთი ასეთი წერილი უკვე მიიღო). ინტერნეტში საგანგებო საიტი დაიკიდა.

ბუშის სტრატეგია შემდეგში მდგომარეობს: "ეროვნული ლიდერი, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმთან ომს აწარმოებს". მაგრამ ასეთ თითქოსდა საიმედო პოზიციაშიც უფულოდ ვერაფერს შეძლებს. ფულის შეგროვების კამპანია ივნისში დაიწყება. ბუშთან ერთად არჩევნებში ვიცე-პრეზიდენტი ჩეინიც იღებს მონაწილეობას, რომელიც გულით ავადმყოფია და ექიმების ოცდაოთხსაათიანი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. კამპანიის მიზანი 200 მილიონი დოლარის – ან მეტის შეგროვებაა. ეს მხოლოდ ნიუ იორკში რესპუბლიკელების ყრილობის პერიოდამდე. ბუშის საარჩევნო კამპანიის მენეჯერად თეთრი სახლის პოლიტიკური დირექტორი კენ მელმანი დაინიშნა, ფინანსური ჯგუფის თავმჯდომარე მერსერ რეინოლდსი იქნება, რომელიც შვეიცარიაში აშშ-ს ყოფილი ელჩი და პრეზიდენტის პირადი მეგობარი გახლავთ. მთელი საარჩევნო კამპანიის გონი და მამოძრავებელი ძალა კვლავ კარლ როუვი იქნება, გუბერნატორ და პრეზიდენტ ბუშის ყველა საარჩევნო ბრძოლის მთავარი სტრატეგი.

ფედერალური საარჩევნო კომისიისთვის საჭირო ყველა ქაღალდის ხელმოწერის შემდეგ ბუშმა განაცხადა, რომ პირველადი არჩევნების წარმოებისთვის ფედერალური ფონდებით არ ისარგებლებს. ამის მიზეზი სინამდვილეში მოწინააღმდეგე-დემოკრატის გაკოტრებაა. ბუშს რესპუბლიკელების მიმართ კეთილგანწყობილი დიდი ბიზნესის გულუხვობის იმედი აქვს. ბუში სავალდებულო ფორმალობებს მორჩა. მან რეპორტიორებს განუცხადა, რომ არ უნდა, ისე მოეპყრან, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს. მას უნდა იყოს პრეზიდენტი, რომელიც "ამერიკელების უშიშროებას უზრუნველყოფს და მათთვის სამუშაო ადგილებს ქმნის... ამერიკის ხალხი გადაწყვეტს, ვიმსახურებ თუ არა მეორე ვადას," - თქვა ბუშმა.

მაშ ასე, ეს არჩევნები კი არა, რეფერენდუმია. ფრიად ჭკვიანური ხრიკია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ნათელჰყო, რომ ბუში დიდი მხარდაჭერით და პოპულარობით სარგებლობს. მისი მოწინააღმდეგე-დემოკრატები, რომლებიც ძალიან ბევრნი არიან, ელექტორატის ერთ პირზეც კი შიდა გარჩევებით არიან დაკავებული. ამჟამად ბუშისთვის ძირითად საფრთხეს ისინი კი არა, ეკონომიკური სირთულეები წარმოადგენს. ბუშის თეთრ სახლში ყოფნის განმავლობაში ორი მილიონი სამუშაო ადგილი დაიკარგა; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი სწრაფად იზრდება; 41 მილიონ ამერიკელს სამედიცინო დაზღვევა არ გააჩნია; ისეთ ფუნდამენტურ პროგრამებსაც კი, როგორიც სოციალური უშიშროება და "მედიკერია", საფრთხე დაემუქრა.

ამ ყველაფერს ამომრჩევლისგან ჯერჯერობით უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ფარები იცავს. რა გაიმარჯვებს – ხვალინდელი დღის თუ ტერორიზმის შიში? პატრიოტული სულისკვეთება თუ ბიუჯეტის დეფიციტი? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე ჯერ საბოლოო პასუხი არ არსებობს. ერთ დროს მამა-ბუშმა ხელახალი არჩევნების ქაღალდებს ხელი მოაწერა და ამით თავის პოლიტიკურ სასიკვდილო განაჩენსაც მოაწერა ხელი. მის ვაჟს იმედი აქვს, რომ ამჯერად ეს დემოკრატების სასიკვდილო განაჩენი იქნება, რომელთაც არც პროგრამა, არც ლიდერი, არც ამომრჩევლის ნდობა არ გააჩნიათ.



# ორშაბათობები

## Club 7-ში ახალი ტრადიცია დაამკვიდრეს



*Club 7-ში ახალი ცხოვრება დაიწყო. შეხვედრის დღე ორშაბათია.*

ვერა ნეფარიძე

სარდაფის "ხუთშაბათობებს" ქალაქში ალტერნატივა გამოუჩნდა - ალტერნატივა და არა კონკურენტი! ამაში პირველივე "ორშაბათობაზე", გუშინწინ დავრწმუნდი, რადგან Club 7-ში ახალი ტრადიციის დამკვიდრება თეატრალური სარდაფის დამაარსებლებთან შეხვედრით დაიწყეს.

არც ისე დიდი ხანია Club 7 ახალ ცხოვრებას შეუდგა. ამ კლუბმა ფართო საზოგადოების ყურადღება გახსნიდან ერთი წლის შემდეგ მიიპყრო, როდესაც, ვანიკო თარხნიშვილის "პრომოუშენის" წყალობით, ქართული შოუ-ბიზნესის ხალხმრავალი წარმომადგენლობა შეკრიბა; ამის შემდეგ Club 7-ში დიზაინერების ჩვენებებიც მოეწყო, მაგრამ ღონისძიებების ჩატარებას სტაბილურობა აკლდა. კლუბის ხელმძღვანელობამ, ალბათ, გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სხვადასხვა ღონისძიებების მოსაწყობად დუტა სხირტლაძე მიიწვია. საკლუბო წამყვანის ამპლუაში დუტას გამოჩენა რამდენიმე დღის წინათ Club 7-ში საკმაოდ წარმატებულად აღნიშნეს; ასეთივე წარმატებული აღმოჩნდა გუშინწინდელი შეხვედრაც, რომელიც თბილისში ყველაზე პოპულარულ ახალგაზრდულ თეატრს, "თეატრალურ სარდაფს" მიეძღვნა.

"ძალიან გვინდოდა დაგვეწყო შეხვედრების სერია, რომელიც ყოველთვის კვირის განსაზღვრულ დღეს გაიმართებოდა. ამისათვის ავირჩიეთ ორშაბათი. რადგან დუტასთვის ყველაზე ახლობელი "თეატრალური სარდაფია", გადავწყვიტეთ, პირველი შეხვედრა სწორედ ამ თეატრის ხელმძღვანელებთან გაგვემართა. ვფიქრობ, ამ თეატრის შესახებ საზოგადოებას მრავალი მოსაზრება თუ შეკითხვა აქვს და ეს ყველაფერი დღეს კარგად გამოჩნდება", - გვითხრა შეხვედრის დაწყებამდე კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

გუშინწინ Club 7-ში, მართლაც, ხალხმრავლობა იყო. საღამოს ათის ნახევრიდან ჯერ მხოლოდ "სარდაფელები" გამოჩნდნენ - მსახიობები: ნანა შონია, მანანა კაზაკოვა, გოგა გველესიანი... შემდეგ სცენაზე სარდაფის ხელმძღვანელთათვის გამოყოფილი ადგილები ნელ-ნელა შეივსო და შეხვედრაც დაიწყო. აღმოჩნდა, რომ კლუბის ხელმძღვანელი არ შემცდარა – სტუმრებს ძალიან ბევრი რამ აინტერესებდათ თეატრის ცხოვრებიდან. ლევან წულაძე ("ჭოლა"), შოთა გლურჯიძე და ოთარ ეგაძე ანონიმურად, წერილობით დასმულ შეკითხვებზე პასუხობდნენ. "სარდაფი" ძალიან პოპულარული თეატრია. ამიტომაც, ამ შეხვედრაზე ყველა შეკითხვა ძალიან შინაურული იყო. აუდიტორიას აინტერესებდა ყველაფერი – ყველაზე აქტუალური თემით, ინგლისში წაღებული "ფაუსტის" გმირების ბედით დაწყებული, თეატრის სამომავლო გეგმებით დამთავრებული; ასევე, განსაკუთრებული ინტერესით ისმენდნენ "სარდაფელებისგან" თეატრის გახსნასთან დაკავშირებულ მოგონებებს; პირველი სპექტაკლების შთაბეჭდილებებსა და სამუშაო სირთულეებს.

ამ შეხვედრაზე თეატრალური სარდაფის ფანებმა საინტერესო ინფორმაციაც გამოსტყუეს თეატრის ხელმძღვანელობას – მაგალითად, შეიტყეს ლევან წულაძის ჩანაფიქრი "ხანუმას" დადგმასთან დაკავშირებით. სარდაფელების თქმით, ამ მუსიკალურმა სპექტაკლმა თეატრალური სარდაფის ახალი სეზონი უნდა გახსნას. რაც შეეხება ცნობილი მაჭანკლის როლის შემსრულებლის ვინაობას, ამას "ჭოლა" კვლავ საიდუმლოდ ინახავს.

# ავთო ცქვიტინიძის „აზიური ღამე"



*ავთო ცქვიტინიძე ახალი ჩვენებისათვის ემზადება. ფირმის სახეა ლალი ტოტიკაშვილი.*

ნანა ბასილაშვილი

"გაიგეს, რომ 28-ში ჩვენება მაქვს, წინასწარ მოდიან და აბევებენ ჩასაცმელს, რომ ჩვენებაზე არ გაიყიდოს," - დიზაინერი ავთო ცქვიტინიძე 28 მაისს გრანდიოზული საღამოსთვის ემზადება. მისი საუბრიდან ჩანს, რომ საზოგადოებაც არანაკლებ მზადებაშია. ამჯერად ცქვიტინიძეს "აჭარა მიუზიკ ჰოლი" უმასპინძლებს. როგორც თავად მოდელიორი ამბობს, ეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენება იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩვენებას სერიოზულად ეკიდება. 28 მაისს ცქვიტინიძე 70 კოსტიუმს წარმოადგენს, რომელთაგან ბევრი საკუთარი ხელით აქვს შექმნილი. ალბათ ამიტომ უწოდებს იგი ამ კოლექციას ძვირადღირებულსა და მნიშვნელოვანს. "ვიცი, რომ ჩემგან ყოველთვის სიახლეს ელოდებიან, მეც მაქსიმალურად ვცდილობ, მყიდველის წინაშე მაღალ დონეზე წარვდგე," - ამბობს დიზაინერი.

ავთო ცქვიტინიძემ ახალ კოლექციას "აზიური ღამე" უწოდა. კოლექციაში კლასიკური მოდის ელემენტებთან ერთად თავისუფალი სტილის მიხედვით შექმნილ კოსტიუმებსაც იხილავთ. დიზაინერი მე-18 საუკუნისა და აზიური მოდის სინთეზს, წინა ჩვენებისაგან განსხვავებით, ნაირ-ნაირი ფერით ქმნის. თავად ავტორი ამას იმით ხსნის, რომ მის ცხოვრებაში ძალიან ბევრი ფერადი სხივი შეიჭრა. თანაც, ეს იქნება ცქვიტინიძის პირველი ჩვენება, როდესაც მოდელები პოდიუმზე მისი დიზაინის მიხედვით შექმნილი ფეხსაცმლითაც გამოვლენ.

"ვფიქრობ, რომ ეს კოლექცია განსხვავებულია, თუმცა ავთოს ყველა ჩვენება ორიგინალურია. რაც შეეხება ამ კოლექციას, აქ იქნება ერთად შერწყმული კლასიკა, ავანგარდი, თავისუფალი სტილი და უხვი, საინტერესო ფერები", - აღნიშნავს მოდელი ლალი ტოტიკაშვილი.

ჩვენებისთვის, თითქმის, ყველაფერი მზადაა. მოდელიორი ამჯერად მხოლოდ ბოლოკაბაზე მუშაობს, რომელიც ცქვიტინიძის ფირმის სახემ, ლალი ტოტიკაშვილმა უნდა წარადგინოს. აზიურ თემატიკაზე შექმნილ 70 კოსტიუმს სააგენტოების - "შარმის", "ნატალის", "იმიჯ-ცენტრისა" და "ამსას" მოდელები მოირგებენ. ეს არ იქნება სპექტაკლი, ან რაიმე დადგმული წარმოდგენა; ჩვენ გველის სტილიზებული მოდების ჩვენება - ავთო ცქვიტინიძის "აზიური ღამე".

# რაც იყო, ის აღარ არის

## კანის ფესტივალის რამდენიმე სიურპრიზი

თამარ სუხიშვილი

ლარს ფონ ტრიერის დაბრუნებამ კანის ფესტივალზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. "დოგვილი" ჯერ ნაჩვენებიც არ იყო, რომ მასზე უკვე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა.

მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დანიელი რეჟისორის სამსაათიანმა ოპუსმა მაყურებელს ცრემლი მოჰგვარა, კრიტიკოსებმა კი ეს სურათი ასე შეაფასეს: თანამედროვე კინოპროდუქციის ფონზე ეს ფილმი ნამდვილი დღესასწაულიაო.

ფილმის მიმართ საზოგადოების ყურადღება კიდევ უფრო გაამძაფრა პოპულარული ნიკოლ კიდმანის მონაწილეობამ. კინოჩვენებაზე მომხიბლავი მსახიობი წითელ კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა, ჟურნალისტებმაც აღარ დააყოვნეს და Lady in Red უწოდეს.

მოკლედ, "დოგვილი" ფესტივალის ერთგვარ სენსაციად იქცა და მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე ოთხშაბათია, ამ ფილმის ჩვენება კი ორშაბათს გაიმართა, მითქმა-მოთქმა ამ ნამუშევრის გარშემო დღემდე არ ცხრება და, როგორც ჩანს, კარგა ხანს არც დაცხრება. თუ ამ ბოლო დღეების სიურპრიზებზე მიდგება საქმე, ისიც უნდა ითქვას, რომ მაყურებელი დიდი სიხარულით შეეგება ცნობილი ბრაზილიელი რეჟისორის, ჰექტორ ბაბენკოს გამოჩენას ხანგრძლივი პაუზის შემდეგ; ბაბენკო ხომ დიდხანს არ ჩანდა, ავადმყოფობის გამო. კანის ფესტივალის სიურპრიზი იყო, ასევე, ედრიენ ბროდის სტუმრობაც. გახსოვთ, ალბათ, მთავარი გმირი რომან პოლანსკის "პიანისტში" (ეს ფილმი შარშანდელი "პალმის რტოსა" და წლევანდელი "ოსკარის" მფლობელია).

რაც შეეხება ფესტივალის გუშინდელ საკონკურსო ფილმებს, წარმოდგენილი იყო იაპონელი რეჟისორის, კიოში კუროსავას "ნათელი მომავალი" და ფრანგი ბერტრან ბონელოს "ტირესია". კიოში კუროსავას სურათი ორი სიმპათიური მარტოხელა ადამიანის ცხოვრებაზე გვიამბობს. "ნათელი მომავალი" უდავოდ საინტერესო ნამუშევარია იაპონური კინოს, და არა მარტო იაპონური კინოს, მოყვარულთათვის.

34 წლის ბერტრან ბონელო ბერძნულ მითს შეეჭიდა. მისი გმირი ბერძენი წინასწარმეტყველის – ტირესიას ტრანსფორმაციაა. მასაც ტირესია ჰქვია, ოღონდ, მითოლოგიური პერსონაჟი კი არა, პარიზის გარეუბანში მცხოვრები ბრაზილიელი ტრანსსექსუალია, ლამაზი გარეგნობის, ტრაგიკული პიროვნება, რომელიც ყველაზე მძიმე სიტუაციაში აღმოაჩენს, რომ თურმე წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონია...



*ფრანგ რეჟისორს ბერტრან ბონელოს გამარჯვების იმედი აქვს.*

დაბოლოს, გუშინდელი დღის ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმარი გერმანიაში დაბადებული ავსტრიელი რეჟისორი, მიხაელ ჰანეკე გახლდათ, გახმაურებული ფილმის – "პიანისტი ქალის" ავტორი. ჰანეკეს სურათი აპოკალიფსური დრამა "მგლების დრო" კონკურსგარეშე იყო ნაჩვენები. მასში მთავარ როლს პოპულარული ფრანგი მსახიობი ქალი იზაბელ იუპერი ასრულებს, რომელმაც "პიანისტ ქალში" ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი მოიპოვა. ეს არის ისტორია ოჯახისა, რომელიც შვებულებიდან დაბრუნდა, შინ კი ასეთი სურათი დახვდა: მის კერას უცხო ხალხი დაპატრონებოდა. ამის მერე იწყება ტკივილიანი განსჯისა და გაანალიზების პროცესი. ერთი კონკრეტული ოჯახის თავგადასავალი საერთო ტრაგედიად გადაიქცევა. ეს ნამდვილი ამბავიცაა, ლეგენდაც, ამბავი მსხვერპლზე, იმაზე, რაც ადამიანისათვის ყველაზე წმინდაა. "მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორ სწრაფად იმსხვრევა მორალური სტანდარტები უბედურების დროს," - განაცხადა ჰანეკემ ფესტივალზე ჟურნალისტებთან საუბარში. ეს ფილმი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში მომხდარი კატასტროფა ამ ჟანრის კინოსურათებისთვის მიღებული კლიშეებით არ არის აღწერილი.

ორი წლის წინ მიხაელ ჰანეკე კანის ფესტივალის ნამდვილი მოვლენა იყო, მისმა "პიანისტმა ქალმა" 2001 წელს ფესტივალის სამი მთავარი პრიზი "მოხსნა". წელს მისი ფილმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკურსგარეშე მონაწილეობს. კრიტიკოსთა აზრები კი უკვე ორად გაიყო. ერთმა კრიტიკოსმა ასეთი შენიშვნაც კი გააკეთა: ფილმი დროდადრო ისეთი ჩაბნელებულია, რომ პერსონაჟების გარჩევა ჭირსო. თუმცა, ჰანეკე არ დაბნეულა; როგორც ჩანს, რეჟისორისთვის ეს კითხვა მოულოდნელი არ ყოფილა, მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა და უპასუხა: მინდოდა აუდიტორიას ეგრძნო, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერიო.

რაც იყო, ის აღარ არის – ნათქვამია "მგლების დროში". გამართლდება თუ არა ეს ნათქვამი კანის ფესტივალის რეალობაში, ანუ მოპოვებენ თუ არა 2003 წლის "პალმის რტოს" ძველი გამარჯვებულები, არავინ იცის. დასკვნების გამოტანა ჯერჯერობით ნაადრევია.

# ემიგრანტული მუსიკა ოკეანის გაღმიდან

## თბილისის საოპერო თეატრი ლევან შენგელიას საავტორო კონცერტს მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

*ოპერა არაფერ შუაშია. ლევან შენგელია ვოკალური ხელოვნების მწვერვალების დაპყრობას არ აპირებს და მისი ინსტრუმენტული შემოქმედებაც შორსაა აკადემიური დარგებისაგან. ოპერის თეატრი დღეს საკმაოდ უჩვეულო მუსიკას მასპინძლობს: ლევან შენგელიას მსუბუქ ჯაზში ქართული ეთნიკური ჰარმონია ლათინო-ამერიკულ ვნებიან რიტმებს ერწყმის. კონცერტში მონაწილეობენ - თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრი (გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით), ანსამბლები "ნეო-კლასი", "სოინარი", "იმედის" მედოლეთა ჯგუფი და კიდევ რამოდენიმე ქართველი მუსიკოსი. შემოსავალი მე-11 საუკუნის ძეგლის, ყანჩაეთის აღდგენას მოხმარდება.*



*ოპერის თეატრი დღეს უჩვეულო მუსიკას მასპინძლობს. სცენაზეა ლევან შენგელია.*

თბილისში ლევან შენგელიას ნაკლებად იცნობენ. ფაქტობრივად, ეს მისი პირველი საავტორო კონცერტია დედაქალაქში. ქუთაისიდან ჩამოსულმა მუსიკოსმა განათლება თბილისის კონსერვატორიაში მიიღო, მაგრამ კარიერა მოგვიანებით, შეერთებულ შტატებში გადასახლების შემდეგ დაიწყო. შტატებში იგი 11 წლის წინათ გადავიდა; ჰართფორტის უნივერსიტეტში დისერტაცია დაიცვა. პირველი ალბომი მაიამიში ჩაწერა; ალბომმა "გაელვება უდაბნოში" დაუდო სათავე შენგელიას საკმაოდ საინტერესო ხელწერას: ქართული და ლათინოამერიკული ეთნიკური ელემენტების საინტერესო შერწყმა, მელოდიური, სასიამოვნო მოსასმენი მუსიკა. სხვათა შორის, ამ ალბომიდან ერთი კომპოზიცია 1999 წელს მაიამის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე ნიუ ეიჯის სტილის საუკეთესო კომპოზიციად დასახელდა.

მეორე ალბომი - "ლევანი," შენგელიამ კომპანია მაკ-ინვესტმენტთან ერთად გამოუშვა. კომპანიამ უზრუნველყო იგი ჯგუფითა და სამუშაო პირობებით, რაც ჩასული მუსიკოსისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. შენგელიას ბენდი მრავალეროვანია - იაპონელი, პანამელი, კოსტა რიკელი, პუერტო რიკოელი, მექსიკელი და ამერიკელი (აშშ) შემსრულებლებისგან შედგება. იგი ლიდერის სახელს ატარებს- "ლევანი." შენგელია ჯგუფთან ერთად ბუშის საარჩევნო მარათონშიც მონაწილეობდა; კონცერტს თავად ბუშიც ესწრებოდა. ალბომი "ლევანი" დიდი ტირაჟით გამოვიდა და ა.შ.შ-შივე გაიყიდა.

თბილისამდე ჩამოაღწია ლევან შენგელიას მხოლოდ მესამე ალბომმა, რომელიც გასულ წელს გამოვიდა. ალბომის პრეზენტაცის ლათინო-ამერიკული მუსიკის ვარსკვლავი გლორია ესტებანიც დაესწრო და, როგორც ამბობენ, დადებითად შეაფასა. პროექტი "სიყვარულის თანხლებით" (In the presence of love) ამერიკაში, კანადაში, მექსიკაში, ვენესუელაში გაიყიდა. მისი გამოსვლის შესახებ ჩვენს გაზეთში მაშინვე დაიწერა. მოგვიანებით ლევან შენგელია "24 საათის" სტუმარიც იყო. დაგეგმილი კონცერტის შესახებ მან ჯერ კიდევ მაშინ გვაცნობა.

დღევანდელი კონცერტი საკმაოდ საინტერესო კოლექტივებთან ერთად იმართება. როგორც ვამბობდით, ეთნო-მუსიკა და ჯაზი შეერწყმება ერთმანეთს. ორიგინალური შემადგენლობა და საკმაოდ ფართო სტილისტური დიაპაზონი ძნელად თუ დატოვებს ვინმეს გულგრილს. მით უმეტეს, რომ შენგელიას ჩვენამდე ჩამოღწეულმა ალბომმა საკმაოდ დიდი ინტერესი და თბილი გამოხმაურება დაიმსახურა. როგორც ადრე გაგვანდეს, კონცერტზე ალბომში შესული კონპოზიციებიც შესრულდება და ახალი, ჩვენთვის უცნობი ნომრებიც. ასე რომ, ლევან შენგელიას კონცერტი - "სიყვარულის თანხლებით," საინტერესო შთაბეჭდილებებს გვპირდება.



# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## მარათონში "იუვეც" ჩაერთო

სად წავა დევიდ ბექჰემი? ეს ის კითხვაა, რომელმაც 2002-03 წლების სეზონის მიწურულს ფეხბურთის მოყვარულთ მოსვენება დაუკარგა. დარჩება "სპაის ბოი" "მანჩესტერის" წითელი ფერის ერთგული თუ მომავალ სეზონში მადრიდის "რეალის" თოვლივით თეთრი, ქათქათა მაისურით მოიწონებს თავს? ან იქნებ ზებრასავით ზოლიანი, შავ-თეთრი ფორმა მოირგოს? გამორიცხული არაფერია. აბა, რითია ტურინის "იუვენტუსი" "რეალზე" ნაკლები? განა სწორედ "ბებერმა სინიორამ" არ დატოვა "სამეფო კლუბი" ჩემპიონთა ლიგის თასის გარეშე? რა დაშავდება, რომ "წითელი ეშმაკი" უცებ "ბიანკონერო" გახდეს?

ბექჰემის ტურინში გადასვლით თვით შეიხები და მილიონერები არიან დაინტერესებული. ლიბიელი "კრეზი" მოჰამედ ალ კადაფი, რომელიც, როგორც ცნობილია, "იუვეს" აქციების გარკვეული პროცენტის მფლობელია, ძალიან მოწადინებულია, "ბექსი" შემოდგომაზე ტურინში იხილოს. რაკი საქმეში კადაფი ჩაერთო, ცხადია, თანხმობის შემთხვევაში ინგლისელის გასამრჯელო ასტრონომიულ თანხას მიაღწევს. საინტერესოა, თავად ბექჰემი და ვიქტორია რას ფიქრობენ ტურინში გადასვლაზე...

## ჰიტცფელდი თავის სურვილებს არ მალავს

ოტმარ ჰიტცფელდს სურს, თავის "ბაიერნში" მიროსლავ კლოზე იხილოს. "კატენაჩოს გენერალს" არც როი მაკაი უნდა და არც ფერნანდო მორიენტესი. ის დარწმუნებულია, რომ "კაიზერსლაუტერნისა" და გერმანიის ნაკრების პოლონური წარმოშობის ფორვარდს უდიდესი პოტენციალი აქვს და "ბაიერნს" კარგად მოერგება. ჰიტცფელდს საერთოდ არ აინტერესებს, რომ კლოზეს კონტრაქტს "კაიზერთან" 2005 წელს გასდის ვადა. "ბაიერნის" თავკაცს ახლავე ნებავს "მიროს" შეძენა...

31 მაისს "ბაიერნი" და "კაიზერსლაუტერნი" გერმანიის თასს შეეცილებიან ერთმანეთს. გუშინ ბერლინში ამ ორი გუნდის წარმომადგენლების შეხვედრა შედგა. წინა დღეს "კაიზერის" ბელგიელ მთავარ მწვრთნელს ერიკ გერეტსს დაბადების დღე ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით ჰიტცფელდმა კოლეგას კოჰიბა-სიგარა აჩუქა, შეხვედრაზე კი, გერეტსის გულის გასახეთქად, არხეინად განაცხადა, კლოზეს წაყვანა მინდაო..

გერეტსმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, კლოზე კი ოსტატურად გამოვიდა უხერხული მდგომარეობიდან: ჯერ თასის ფინალზე ვარ კონცენტრირებული და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ, მერე კი ვნახოთო... ეს პასუხი უარს არ ჰგავდა, ამას ყველა მიხვდა. ჯოვანი ელბერმა, რომელსაც ჟურნალისტებმა შესაძლო კონკურენტებზე შეკითხვებით გული გაუწყალეს, ვინ იცის, უკვე მერამდენედ განაცხადა, ახალი ფორვარდით გაძლიერება ცუდი ნამდვილად არ იქნებაო. შეხვედრის დასასრულს კლოზე ჰიტცფელდთან მივიდა და პირადად დაემშვიდობა. "ნახვამდის, ჰერ ჰიტცფელდ!" ჯერჯერობით, თასის ფინალამდე, მერე კი, მართლაც, ვნახოთ...

## UEFA კოლინას და ნედვედის წინააღმდეგ

28 მაისს "მანჩესტერ იუნაიტედის" "ოლდ ტრაფორდზე" ჩემპიონთა ლიგის წმინდა წყლის იტალიური ფინალი მაინც არ შედგება. იმის მიუხედავად, რომ თასის მოსაპოვებლად ორი იტალიური კლუბი უპირისპირდება ერთმანეთს, UEFA უარს ამბობს მატჩის არბიტრად იტალიელი პიერლუიჯი კოლინას დანიშვნაზე.

გერჰარდ აიგნერი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, როცა UEFA-ს ზოგიერთმა წარმომადგენელმა კოლინას შესახებ დაიწყო საუბარი. ვიარეჯოელი კოლინა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრად ითვლება და ფინალში იტალიური კლუბები რომ არ გასულიყვნენ, ალბათ, ის იმსაჯებდა "ოლდ ტრაფორდზე". მაგრამ ახლა UEFA-ს არ სურს, ეს მატჩი კოლინას ანდოს. კაცმა არ იცის, რატომ. კოლინა ხომ არაერთხელ ყოფილა "მილანისა" და "იუვენტუსის" შეხვედრების წარმმართველი. "აქამდე არასოდეს გვქონია შემთხვევა, რომ რეფერი და კლუბები ერთი ქვეყნიდან ყოფილიყვნენ. ამას არც ახლა დავუშვებთ", - თქვა აიგნერმა.

კოლინას გარდა, UEFA-ს პაველ ნედვედის საქმეც ჰქონდა გადასახედი. თუმცა, აქ სიურპრიზები არ ყოფილა. როგორც მოსალოდნელი იყო, UEFA-მ ჩეხ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია არ მოუხსნა. ნედვედის გულისთვის ახალ წესებს ვერ შემოვიღებთო", - განაცხადა გერჰარდ აიგნერმა. ასე რომ, ფინალი "ოლდ ტრაფორდზე" კოლინასა და ნედვედის გარეშე ჩაივლის.

## ანჩელოტი რივალდოს არ უშვებს

რამდენადაც რივალდო "ბარსელონაში" კარგად თამაშობდა, იმდენად წარუმატებელი გამოდგა ბრაზილიელი ნახევარმცველისთვის "მილანში" გატარებული პირველი სეზონი. ბოლო დროს კარლო ანჩელოტიმ მსოფლიო ჩემპიონს საერთოდ სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი - აღარც ჩემპიონთა ლიგის მატჩებში აყენებდა ძირითად შემადგენლობაში და აღარც სერია A-ს შეხვედრებში. ამის მიუხედავად, "მილანი" მაინც არ აპირებს რივალდოს გაშვებას. მის გადაბირებაზე ხომ ამდენი იწვალეს შარშან გალიანის კლუბის აგენტებმა. არც კარლო ანჩელოტი ფიქრობს რივალდოს გაყიდვაზე.

"ხმები იმის შესახებ, რომ რივალდო "მილანიდან" წავა, არ შეეფერება სიმართლეს. მისი გაყიდვა აზრადაც არ მოგვსვლია. რივალდო მომავალ სეზონშიც ჩვენთან ითამაშებს", - მტკიცედ განაცხადა ანჩელოტიმ.

## ბობიჩი "ჰერტაში" წავიდა

ბერლინის "ჰერტა", რომელსაც ორი ტურის წინ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ჰქონდა პრეტენზია, ახლა ისეთ დღეშია, უეფას თასის საგზურს თუ მოიპოვებს, დიდად მადლობელი დარჩება. ბერლინელებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ბოლო ტურში სასწაული მოხდება და მომავალ სეზონშიც გამოვლენ უეფას თასზე. ამის იმედი აქვს "ჰერტაში" ახლახან გადასულ ფრედი ბობიჩსაც, რომელიც ბერლინელებმა ეს-ეს არის გადაიყვანეს "ჰანოვერიდან".

31 წლის ბობიჩმა "ჰერტასთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი წლიური ხელფასი 2,1 მილიონი ევრო იქნება. ვერაფერს იტყვი – სოლიდური ანაზღაურებაა ბობიჩის ასაკის ფორვარდისთვის. ბობიჩმა "ჰანოვერში" მშვენიერი სეზონი ჩაატარა: 27 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 14 გოლი გაიტანა. ბუნდესნაკრებშიც დაბრუნდა და ერთი გოლის გატანა შეძლო. მოკლედ, ცუდ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა. ამიტომაც მოისურვა "ჰერტამ" მისი შეძენა.

## TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 21 მაისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "რეალი"-"იუვენტუსი". განმეორებითი ჩვენება
15:00 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
15:55 ლიბერტადორესის თასის მიმოხილვა
16:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მონპელიე"-"ლიონი"
18:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 "დარტყმა გოლისთვის"
19:35 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი"
21:15 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
22:10 საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
23:10 თავისუფალი დარტყმა
23:25 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მილანი"-"ინტერი". განმეორებითი ჩვენება
01:10 გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:15 22:15 "პრეს-ცენტრი"
11:15, 22:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "BERLIN THUNDER"-"BARCELONA DRAGONS"
14:15 "ვარსკვლავური ოთხშაბათი"
15:15 სპორტული ცეკვები
17:15 "კეგლის დროა"
17:45 კიკბოქსინგი
18:35 "NHL-პლუს"
18:40 სფიდვეი. პოლონეთის გრან-პრი
20:30 რუსული ბილიარდი. 1 ნაწილი
21:45 "Power week NHL-ის კვირა"
22:35 სახვალიო ტელეპროგრამა
22:40 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "BERLIN THUNDER"-"BARCELONA DRAGONS"
01:00 ახალი ამბები. "One Million Poker-2003". მეორე ნაწილი
01:15 "NHL-პლუს"
01:25 ბოულინგი. PBA Tour

**EUROSPORT**
11:30 სპორტის ექსტრემალური სახეობები
12:00 სპორტის ექსტრემალური სახეობები
12:30 ტრიალი
13:30 ფეხბურთი. ევროგოლი
15:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
16:00 კრივი
17:30 ველორბოლა. "ჯირო დ`იტალია"
20:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
22:00 ახალი ამბები
22:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
23:15 მულტისპორტი
23:30 გოლფი. PGA აშშ
00:30 აფროსნობა. როლექსის თასი
01:00 ცხენოსნობა
02:00 ახალი ამბები
02:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
03:00 მულტისპორტი
03:15 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში
03:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
04:15 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# ჰენრიკ ლარსონის კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი

### დღეს UEFA-ს თასის ფინალია

დიმიტრი ობოლაძე

*დღეს ესპანეთის ქალაქ სევილიის სტადიონზე 2002/2003 წლის UEFA-ს თასის მფლობელის ვინაობა გაირკვევა. შესაძლოა, "პორტო" და "სელტიკი" არ არიან ევროპული ფეხბურთის გრანდები და არც პორტუგალია და შოტლანდია შედიან თანამედროვე ფეხბურთის ელიტარული ქვეყნების რიცხვში, მაგრამ ფინალი ნამდვილად საინტერესო და დაძაბული იქნება.*




### ფავორიტია "პორტო"

პორტუგალიის კლუბის დამაჯერებელი თამაში და წამყვანი ფეხბურთელების სტაბილური, ოპტიმალური სპორტული ფორმა – სწორედ ეს გახლავთ ორი მიზეზი, რომელთა გამო ფავორიტად სწორედ პორტუგალიურ გუნდს ასახელებენ. სხვათა შორის, 1987 წლის შემდეგ ამ ქვეყნის გუნდი პირველად გავიდა ევროპული საკლუბო ტურნირის ფინალში. 16 წლის წინათ დღევანდელმა ფინალისტმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო.

"მე არასოდეს ვმალავდი, რომ სწორედ "პორტოს" გულშემატკივარი ვარ. მთელი პორტუგალიისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ფინალში ჩვენი ქვეყნის გუნდი გავიდა", - განაცხადა რომის "ლაციოს" პორტუგალიელმა მცველმა ფერნანდო კოუტუმ ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ. პორტუგალიელებს წლეულს მეტის მიღწევაც შეეძლოთ, მაგრამ მათ ოცნებას ახდენა არ ეწერა – მეორე პორტუგალიური გუნდი "ბოავიშტა" ნახევარფინალში დამარცხდა "სელტიკთან", რის გამოც UEFA-ს თასზე პორტუგალიური ფინალი არ შედგა.

### "სელტიკს" ლარსონის იმედი აქვს

შოტლანდიელთა გამოცდილი, ამბიციური მწვრთნელი მარტინ ონეილი რეალურად აზროვნებს. მიაჩნია, რომ მისი გუნდის ფინალში გასვლა კანონზომიერი და დამსახურებულია. "ეს საოცარი მატჩი იქნება, "სელტიკს" და მთელ შოტლანდიას ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი ელით", - განაცხადა მწვრთნელმა. ონეილმა დიდხანს ისაუბრა ლარსონის შესახებ, რომელმაც მიმდინარე სეზონში ბევრი გადამწყვეტი გოლი გაიტანა. "პირდაპირ გეტყვით: ეს მატჩი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს კარიერაში. მერწმუნეთ, დღევანდელი მატჩი მარტო დაძაბული კი არა, შედეგიანიც იქნება", - განაცხადა შვედმა თავდამსხმელმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში 42 გოლი გაიტანა. ლარსონისგან მხოლოდ გოლებს ელიან და ამისთვის საფუძველიც არსებობს. 2001 წლის "ოქროს ბუცის" მფლობელმა UEFA-ს თასის შეხვედრებში 9 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ "პორტოს" ბრაზილიელ თავდამსხმელს დერლეის ჩამორჩება.

### ტრავმები

ორივე გუნდს გარკვეული პრობლემები შეექმნა. ტრავმირებულია "სელტიკის" თავდამსხმელი ჯონ ჰარტსონი. ექიმების განცხადებით, ზურგის ტრავმა, რომელიც მან სამი კვირის წინ მიიღო, ძალზე სერიოზული გამოდგა. მარტინ ონეილმა აღიარა, რომ ჰარტსონის ტრავმამ ის საგონებელში ჩააგდო. პრობლემა აქვს პორტუგალიელთა მწვრთნელსაც. ბარძაყის ტრავმა მიიღო გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა კოშტინიამ, რომელიც სეზონის განმავლობაში შესანიშნავ ფორმაში იყო. სხვათა შორის, თავად ფეხბურთელი ჯიუტად აცხადებს, რომ შეუძლია მოედანზე გასვლა, რასაც თავის ინტერვიუში კატეგორიულად უარყოფს გუნდის მწვრთნელი. "მას ჰგონია, რომ მოედანზე გასვლას შეძლებს, მე კი ვიცი, რომ კოშტინია მზად არ არის, თუმცა, გუნდს ის ძალიან დააკლდება", - განაცხადა ჟოზე მურინიომ.

### მსაჯი

შეხვედრას სლოვაკი არბიტრების ბრიგადა მოემსახურება. მთავარი მსაჯია ყველასთვის კარგად ცნობილი ლუბოშ მიხელი, რომელმაც 19 წლის ასაკში დაიწყო მსაჯობა. საერთაშორისო ასპარეზზე კი 1994 წელს გავიდა. პორტუგალიის გუნდებთან მიხელს ადრეც ჰქონია ურთიერთობა: 1999 წელს "ბოავიშტამ" საკუთარ მოედანზე დორტმუნდის "ბორუსია" მიიღო და 1:0 გაიმარჯვა. 2002 წელს მიხელმა იმსაჯა მატჩი "ბოავიშტასა" და მიუნხენის "ბაიერნს" შორის, რომელიც 0:0 დასრულდა. შემდეგ იყო "პორტო"-"გრასჰოპერი" (2:2) და "პორტო"-"პანათინაიკოსი" (1:2). რაც შეეხება "სელტიკს", მიხელი პირველად მსაჯობს მატჩს მისი მონაწილეობით.

### მოედანი

სევილია დიდი ამბით მოემზადა ფინალისთვის, თუმცა, არსებობს ერთი პრობლემა, რომელიც მასპინძლებმა ბოლომდე ვერ მოაგვარეს. UEFA-მ ბრძანება გასცა სევილიის სტადიონზე ბალახის შეცვლის შესახებ. 52-ათასიანი სტადიონის მოედანი კატასტროფულ მდგომარეობაშია, რამაც UEFA-ს ხელმძღვანელობის მწვავე რეაქცია გამოიწვია. "ეს დაცინვაა. ამ ბალახზე, თამაში კი არა, სიარულიც არ შეიძლება. საფარი აუცილებლად უნდა შეიცვალოს", - განაცხადა UEFA-ს დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა. სტადიონის დირექტორმა მიგელე ბენიტესმა კი განაცხადა, რომ 21 მაისს (ანუ დღეს) ბალახი იდეალურ მდგომარეობაში იქნება. დღეს ვნახავთ, როგორ ასრულებს სიტყვას ესპანელი.

### "ვერცხლის გოლის" დებიუტი

"ვერცხლის გოლის" წესი დღეს პირველად გამოიცდება. რაში მდგომარეობს "ვერცხლის გოლის" არსი? თუ მატჩის ძირითადი დრო (90 წუთი) ფრედ დასრულდა, დაინიშნება დამატებითი 15-წუთიანი ტაიმი. ის გუნდი, რომელიც გოლს გაიტანს და ამ თხუთმეტწუთიან მონაკვეთს მოიგებს, ავტომატურად გახდება ჩემპიონი. პირველი დამატებითი ტაიმის ფრედ დასრულების შემთხვევაში დაინიშნება კიდევ ერთი 15-წუთიანი ტაიმი, რომლის ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნება თერთმეტმეტრიანების სერია. "ოქროს გოლს" მსოფლიოში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ევროპის 1996 და 2000 წლების ჩემპიონატების ფინალებში გამარჯვებულის ბედი სწორედ "ოქროს გოლმა" გადაწყვიტა. 2000/2001 წლის UEFA-ს თასის ფინალი კი ყველას ახსოვს: "ალავესსა" და "ლივერპულს" შორის გამართული მარათონის ბედიც სწორედ "ოქროს გოლით" გადაწყდა.

დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე, "რუსთავი 2"-ს პირდაპირ ეთერში UEFA-ს თასის ფინალი: "სელტიკი" – "პორტო".

## კალათბურთი

# ქართული კალათბურთის სევილიურ-თბილისური ამბები

პაატა თოთაძე

ოთხი დღის წინ დაიწყო ქართული კალათბურთისთვის უმნიშვნელოვანესი ორკვირეული. ამ ხნის განმავლობაში გასარკვევ-გასაწყვეტი საკითხების ნაწილი უკვე გარკვეულ-გადაწყვეტილია, ნაწილი კი დარჩენილ დროში გადაწყდება.

**სევილია. 17-18 მაისი.** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) გადაწყვიტა, თავისი ევროპული განყოფილების პირველი გენერალური ასამბლეა ესპანეთის ამ ქალაქში გაემართა. ბუნებრივია, მასში ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა. ქართულ მხარეს ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი წარმოადგენდნენ. ბევრი რამ ჰქონდათ ევროპული კალათბურთის ხელმძღვანელთ გასარკვევი. სხვისი არ ვიცი და, ქართველებისთვის ეს საკითხები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რამდენიმე წელიწადია, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენს ნაკრებში NBA-ში მოთამაშე კალათბურთელის საკითხი მოუგვარებელია. ნაკრების მატჩები იმ დღეებში იყო დაგეგმილი, როცა NBA-ში სეზონი მიმდინარეობდა და სპორტსმენიც (ამ შემთხვევაში სტეფანია) ვერ ახერხებდა საქართველოში ჩამოსვლას. თუ ასეთი კალათბურთელი წინა წლებში ერთი იყო, დღეს ისინი ორნი არიან. ორი კალათბურთელი, თანაც, NBA-ში მოთამაშე, ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა, მით უმეტეს, ჩვენთვის. გამოსავალი ერთი იყო – შესარჩევი მატჩები სხვა დროს უნდა გამართულიყო.

ამ წინადადებას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ამიტომ ასამბლეაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების გამართვის დროდ (ნოემბერ-იანვრის ნაცვლად) ივნის-აგვისტო დაამტკიცეს. ამ დროს NBA-ც უქმობს და კალათბურთელებს ნაკრებში თამაშისთვის არავითარი დაბრკოლება არ შეექმნებათ.

მეორე საკითხი შესარჩევი ტურნირის ჩატარების სისტემის შეცვლა იყო. თუ პირველ შემთხვევაში გაგვიმართლა და საკითხი ისე გადაწყდა, როგორც ჩვენ ხელს გვაძლევდა, მეორე შემთხვევაში პირიქით მოხდა – საქართველოს ნაკრებს ევროპის 2005 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი მოესპო. ამის მიზეზი ის გახდა, რომ შესარჩევ ეტაპზე მონაწილე გუნდები ორ, A და B ჯგუფად დაიყო. სისტემა კი იმგვარია, რომ ფინალურ ეტაპზე თამაშის შესაძლებლობა მხოლოდ A ჯგუფის მონაწილეებს ეძლევათ. ფიბამ იმსჯელა და A ჯგუფში 1999 წლიდან დღემდე რეიტინგით საუკეთესო 24 გუნდს მიუჩინა ადგილი. ის 16 გუნდიც, ევროპის მომავალი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ მიიღებს მონაწილეობას, ამ 24 გუნდიდან გაირკვევა. მომავალ ჩემპიონატზე ხუთ ადგილს წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ხუთეული მიიღებს. დარჩენილი თერთმეტის გამოსავლენად A ჯგუფის გუნდები ოთხ ექვსგუნდიან ჯგუფებში გადანაწილდებიან. მათგან საუკეთესო ათეული პირდაპირ მიიღებს ფინალური ეტაპის საგზურს. დარჩენილი ცხრა ერთმანეთში გაარკვევს ერთ უძლიერესს (რომელიც ასევე ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს) და ორ უარესს.

დანარჩენები ორ ჯგუფში გადანაწილდებიან და ერთმანეთში მიმოსვლით ითამაშებენ. ჯგუფებში საუკეთესოები A ჯგუფის ორ სუსტს ჩაენაცვლებიან. ერთი სიტყვით, საუკეთესო შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში შეეძლება. საამისოდ ქართველებმა ჯერ B ჯგუფის ერთ-ერთ ქვეჯგუფში უნდა გაიმარჯვონ, შემდეგ კი A ჯგუფის ათ საუკეთესოს შორის მოხვდნენ.

ვიღაცას, შესაძლოა, ეს არარეალურად მოეჩვენოს, მაგრამ თუ ჩვენი ჯგუფის მონაწილეებს გადავხედავთ, ქართველთა პირველობა შეუძლებელი სულაც არაა. დაბალი რეიტინგის გამო საქართველოსთან ერთად ჯგუფში მოხვდნენ ალბანეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელორუსი, კვიპროსი, დანია, ინგლისი, ირლანდია, ისლანდია, ლუქსემბურგი, მაკედონია, ნორვეგია, პორტუგალია, რუმინეთი, შვეიცარია, სლოვაკეთი, უელსი.


*ქართული კალათბურთის ინტერესებს სევილიაში მერაბ რატიშვილი იცავდა*

**თბილისი. 20 მაისი.** სევილიაში დატრიალებული მოვლენებიდან ორ დღეში თბილისში საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებისთვის პირველი მატჩი გაიმართა. თბილისის სტუ-ჯეოსელმა რუსთავის "აზოტს" უმასპინძლა. ბოლო წუთამდე თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს სტუდენტებმა ექვსქულიანი უპირატესობის მოპოვება და მატჩიც მათი გამარჯვებით დასრულდა - 94:88.

ეს შეხვედრა რიგით მეორე იყო, რომელიც გუშინ გაიმართა ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში. პირველ მატჩში მეხუთე ადგილის მფლობელის ვინაობა ირკვეოდა. თსუ-მ ქუთაისს სძლია - 105:98.

*კალათბურთი*

# სუპერკვარტეტი დაწინაურდა

კახა ფაჩუაშვილი

**სან-ანტონიო სფურსი - დალას მავერიქსი 110:113**
*(სერიის ანგარიში 0:1)*

როგორც იქნა, NBA-ში ფინალების დრო დადგა. დასავლეთ კონფერენციის ფინალში ერთმანეთს სან-ანტონიო და დალასი ხვდებიან, აღმოსავლეთში კი – ნიუ-ჯერსი და დეტროიტი. ფინალებს ამერიკელები მთელი სეზონის განმავლობაში ელოდებიან. წარსულს ბარდება ძველი დიდება თუ დამსახურება და კოეფიციენტების ათვლა თავიდან იწყება. ვინც ფინალებში თავს ვერ გამოიჩენს, მას შეუძლია ჩათვალოს, რომ სეზონი ჩააგდო. ფინალური სერია ის თამაშებია, სადაც კალათბურთელი დიდებას მოიხვეჭს. საამისოდ კი რადიკალურად განსხვავებული კრიტერიუმებია საჭირო - ლიდერის თვისებები, ხასიათის სიმტკიცე და, რასაკვირველია, ძლიერი ფიზიკური მომზადება.

ამ კრიტერიუმებით, ერთად აღებულით, სულ რამდენიმე კალათბურთელს შეუძლია იტრაბახოს. სწორედ მათ მხრებზე გადადის პლეი-ოფის მატჩების მთელი სიმძიმე. ამერიკაში სწამთ, რომ დიდი კალათბურთელი პლეი-ოფის შეხვედრებში წარმოჩნდება. ამიტომ NBA-ში მოთამაშეები ორ კატეგორიად იყოფა: ისინი, ვინც რეგულარულ ჩემპიონატში თამაშობენ და ისინი, ვინც პლეი-ოფის შეხვედრებში გამოავლენენ საუკეთესო თვისებებს.

სან-ანტონიოს ლიდერები ტიმ დანკანი და ტონი პარკერი სწორედ ამ თვისებებით ფასდებიან. "სფურსს" პლეი-ოფის პირველ რაუნდში ძალიან გაუჭირდა დასავლეთ კონფერენციის აუტსაიდერის "ფინიქს სანზის" დამარცხება. სწორედ იმიტომ, რომ ტიმ დანკანმა ვერ აჩვენა წლის საუკეთესო კალათბურთელის შესაფერისი თამაში. პარკერის კარიერა კი ბევრად


ტიმ დანკანი დალასელთა ფარს უტევს

იყო დამოკიდებული "ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან" წარმატებულ თამაშზე. თუ სან-ანტონიო დამარცხდებოდა, მას მომავალ სეზონში აუცილებლად შეცვლიდნენ.

პლეი-ოფის ხიბლი კი სწორედ ის არის, რომ არაორდინარულობით გამოირჩევა. დანკანი და პარკერი საუკეთესონი იყვნენ "ლეიკერსთან" ექვსმატჩიან, მომქანცველ სერიაში და უზრუნველყვეს კიდეც თავისი გუნდის წარმატება. ბევრისთვის მოულოდნელად სწორედ სან-ანტონიო და დალასი გავიდნენ დასავლეთ კონფერენციის ფინალში. მოულოდნელად იმიტომ, რომ სპეციალისტები ამ ეტაპზე თამაშს "ლოს-ანჯელეს ლეიკერსსა" და "საკრამენტო კინგზს" უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გავიდნენ ის გუნდები, რომელთა ლიდერებმა კონკრეტულ მომენტში ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს.

დალასს ნომინალურად ორი ლიდერი ჰყავს - დირკ ნოვიცკი და სტივ ნეში, მაგრამ ყველა დიდი გამარჯვება გუნდმა თავისი სუპერკვარტეტის (ნოვიცკი, ნეში, ფინლი, ვან ექსელი) შეთანხმებული თამაშით მოიპოვა. სან-ანტონიოშიც, ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში, დალასის მიერ მოპოვებული 113 ქულიდან, 100 სუპერკვარტეტის ანგარიშზეა. ნოვიცკი (38, +15 მოხსნა), ფინლი (26), ნეში (22), ვან ექსელი (14). რაც შეეხება სან-ანტონიოს, მას კიდევ ექნება შანსი, გამოასწოროს მდგომარეობა, მაგრამ ამისთვის გუნდური თამაშის დახვეწა მოუწევს. ტიმ დანკანმა 40 ქულა, 15 მოხსნა და 7 შედეგიანი გადაცემა კი მიითვალა, მაგრამ პარკერის ანგარიშზე მხოლოდ 18 ქულა იყო.

"სფურსი" პირველივე მეოთხედში 13 ქულით დაწინაურდა. დალასმა მთელი დარჩენილი დრო დეფიციტის აღმოფხვრას მოახმარა. დალასის მცდელობა მაიკლ ფინლის ზუსტმა ტყორცნამ წარმატებით დააგვირგვინა. სტუმრები დაწინაურდნენ - 111:110. მატჩის დამთავრებამდე 14 წამი რჩებოდა. საპასუხო შეტევისას ტიმ დანკანს მარჯვენამ უმტყუნა – მისი ტყორცნა უზუსტო აღმოჩნდა. ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლა დირკ ნოვიცკიმ მოიგო. ყველაფერი დამთავრდა. დალასის ლიდერი აკრძალული ილეთით შეაჩერეს და ზუსტი საჯარიმო ტყორცნებით ნოვიცკიმ მატჩს წერტილი დაუსვა - 113:110.

*ძიუდო*

# ახალგაზრდული მედლები მარმარისიდან

ზუსტად ერთი კვირის წინათ ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა წარმატების შესახებ ვიტყობინებოდით. თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ბურსა მასპინძლობდა, ქართველმა ფალავნებმა ორ-ორი ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს და გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. ბერძენ-რომაელებმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს, ოღონდ ამაში ახალგაზრდა მოჭიდავეებს მიუძღვით წვლილი.

ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა შეჯიბრებასაც თურქეთმა უმასპინძლა. ამჯერად ხალიჩა მარმარისში იყო გაშლილი.

ქართველმა ფალავნებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. მესამეზე ირანელი მოჭიდავეები გავიდნენ, ხოლო პირველზე, როგორც მოსალოდნელი იყო, – მასპინძლები.

ქართველი მოჭიდავეები შინ გუშინ დაბრუნდნენ. მათგან ოთხი მედალოსანია. 74 კგ-ის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გენადი გოგიშვილი და შალვა გადაბაძე. გაიმარჯვა გოგიშვილმა. რამაზ დევაძემ (100 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, რევაზ ჭელიძემ (მძიმე) – ბრინჯაო.

*Giro d'Italia*

# ამნისტია ლამაზ მარიოს!

ირაკლი ბერიაშვილი

უცნაურად დაიწყო და უცნაურადვე გრძელდება წლევანდელი ჯირო. სიტყვა "უცნაური" ამ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს რაიმე ალოგიკურს ან სენსაციურს. პირიქით – ყველაფერი ძალიან წყნარად, მშვიდად, ლოგიკურად მიედინება. ავანტიურისტთა არც ერთ იერიშს წარმატება არ მოჰყოლია, ეტაპებს იგებს ის, ვინც უნდა მოიგოს და, საერთოდ, ისე იქცევა წლეულს პელოტონი, რომ საწყალ ჟურნალისტებს ლუკმას აცლის პირიდან.

თავად განსაჯეთ. უკლებლივ ყველა ვაკე-ეტაპზე ყოველგვარი შეტევა საფუძველშივე აღიკვეთა და ფინიშზეც ერთი და იგივე მეორდება: ნაცნობი სახეები, ნაცნობი მაისურები და, სამწუხაროდ, ასეთივე ნაცნობი და უკვე შეჩვეული შედეგები: მაკივენი – ჩიპოლინი – პეტაკი; პეტაკი – ჩიპოლინი – მაკივენი; ჩიპოლინი – მაკივენი – პეტაკი. რაღა ეს ფინიშები გინახავს და რაღა მანანის ფაფა გიჭამია დღეში სამჯერ.

ისე, ამ სენსაციურობისა და უცნაურობების ჟურნალისტურ წყურვილს თუ განზე გადავდებთ, ველოსპორტის მოყვარული კმაყოფილიც კი უნდა იყოს. აბა, რა სასიამოვნოა, როცა ფინიშზე ზეაღმართული ხელებითა და გაბადრული სახით მოდის ვიღაც ქლიავი, სპრინტის ნამდვილი ოსტატები კი სადღაც პელოტონის შუაგულში არიან და სხვა დანარჩენებთან ერთად პირში ჩალაგამოვლებული ამთავრებენ ეტაპს.

მკითხველმა, ალბათ, კარგა ხანია იგრძნო ჩემი როგორღაც აგდებული თუ გულგრილი დამოკიდებულება ვაკე-ეტაპების მიმართ. კეთილი და პატიოსანი. ამის დამალვას არც ვაპირებ. რომ ვცადო კიდეც, არაფერი გამოვა. მაინც გავიყიდები. არც მე მიყვარს, როცა ვიღაც არიფი იგებს ეტაპს. ეს კი ვაკე-ეტაპებზე არცთუ იშვიათად ხდება. ამიტომაც დროთა განმავლობაში სიმპათიებმა თავისთავად გადაინაცვლა მთის ეტაპებისკენ. საბედნიეროდ, იქ ამ კლიენტებს არაფერი ესაქმებათ. ერთი ზედმეტი გაფაფხურება და, ისეთ პანღურს მიიღებენ, ნიჩბით ასაღები გახდებიან. თუმცა, ჯობს, დავამუხრუჭო, თორემ მეცხრე ეტაპი, ისევ მარიო ჩიპოლინიმ რომ მოიგო, განზე დამრჩება.


ბებერი მარიოს რქანიც ეწევიან

**ტექნიკური შედეგები**

**IX ეტაპი. არეზო – მონტეკატინი. 160 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. მარიო ჩიპოლინი ("დომინა ვაკანზე", იტალია) | 3 სთ. 41 წთ. 58 წმ. |
| 2. რობი მაკივენი ("ლოტო", ავსტრალია) | იგივე დრო. |
| 3. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია) | იგივე დრო. |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) | 40 სთ. 51 წთ. 08 წმ. |
| 2. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) | +31 წმ. |
| 3. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია) | +54 წმ. |
| 4. ფრანკო პელიტოტი ("ალესიო", იტალია) | 1 წთ. 36 წმ. |
| 5. მარიუს საბალაუსკასი ("საეკო", ლიტვა) | 1 წთ. 38 წმ. |
| 6. პაველ ტონკოვი ("CCC პოლსეტი", რუსეთი) | 1 წთ. 50 წმ. |

**საუკეთესო სპრინტერი**

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი | 163 ქულა |
| 2. მარიო ჩიპოლინი | 108 |
| 3. რობი მაკივენი | 89 |

**საუკეთესო მთიელი**

| | |
|---|---|
| 1. ფრედი გონზალესი ("კოლომბია", კოლუმბია) | 20 ქულა |
| 2. კონსტანტინო ზაბალა ("კელმე", ესპანეთი) | 19 |
| 3. სტეფანო გარძელი | 16 |

მართალი გითხრათ, ვფიქრობდი, პირველი ექვსი ეტაპის ფსიქოლოგიური დარტყმები საპენსიო ასაკს მიტანებულ სპრინტის მეფეს წელში მოხრიდა. ჩემს დღეში არ მქონია სურვილი, დითირამბები მიმეძღვნა სპრინტერებისთვის (მრავალდღიანებში მონაწილე სპრინტერებს ვგულისხმობ), მაგრამ ეს სხვა შემთხვევაა. რამდენიმე წლის წინათ, როცა ლამაზმა მარიომ ორი თუ სამი ეტაპის შემდეგ ვუელტა მიატოვა... არ იკითხავთ, რა მიზეზით? იტალიიდან სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოწვევა მოუვიდა – მობრძანდი, ჟიურის წევრად გეპატიჟებით, ბიუსტების, წელისა და თეძოების პროპორციულობის დადგენაში დაგვეხმარეო. ჩიპოლინისთანა სპორტსმენები ნებისმიერი შეჯიბრების მშვენებაა და ვუელტამაც მისი წასვლით ბევრი დაკარგა. ცხადია, მეც გავბრაზდი და ეპითეტი "ლამაზიც", უნდა ვაღიარო, ამ საქციელის გამო მივაწერე მარიოს.

ადამიანები ხშირად ცდებიან და, სხვა ცოდვებთან ერთად, ესეც ჩემს კისერზეა. მარიო ჩიპოლინი მაგარი ბიჭი გამოდგა და, თუ მეტისმეტად ვირტუალურად ნათქვამი არ გამოვა, ჩემგან ამნისტია გარანტირებული აქვს.

## ფოლიანტი

კახა ფაჩუაშვილი

### "მოჩხუბარი მეზღვაური" - ჯინ (ჯეიმს ჯოზეფ) ტუნეი


ჯინ ტუნეი

"გილოცავ, ჯინ! შესანიშნავი ჩხუბი იყო. მასში ყველაფერი ჩავაქსოვე, რაც შემეძლო", - ლეგენდარულმა ჯეკ დემპსმა ხელები აწია და მსოფლიო ჩემპიონ ჯინ ტუნეის გამარჯვება მიულოცა. 1927 წლის 22 სექტემბერი იყო. ჩიკაგოს "სოლიდარს-ფილდ-სტადიუმზე" 100 ათასზე მეტი მაყურებელი შეკრებილიყო. მატჩ-რევანშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯინ ტუნეი ლეგენდარული ჯეკ დემპსის წინააღმდეგ.

მაყურებელთა სიმპათიები ჯერაც ამერიკელთა კერპის, ჯეკ დემპსისკენ იხრებოდა, მაგრამ სპეციალისტები ფსონს ჯინ ტუნეიზე ჩადიოდნენ. უშუალოდ მატჩის წინ მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტის ფსონები გათანაბრდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა პროფესიული კრივის ისტორიაში, როცა მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ჩემპიონისა და პრეტენდენტის დივიდენდები თანაბარი აღმოჩნდა.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა ყოფილიყო, ამერიკელთა კერპი ჯეკ დემპსი პრეტენდენტის რანგში იბრძოდა. 1926 წლის 23 სექტემბერს ფილადელფიაში ჯინ ტუნეიმ 10-რაუნდიან ბრძოლაში დასცა ჯეკ დემპსი. ამერიკას ახალი ჩემპიონი მოევლინა. ჯეკ დემპსის კარიერა დასასრულისკენ მიექანებოდა. მისთვის ეს ძნელი წარმოსადგენი იყო, ამიტომ, ბრძოლის ჟინით შეპყრობილს, ერთადერთ ნუგეშად მატჩ-რევანში რჩებოდა.

მეშვიდე რაუნდი. ჯეკ დემპსმა მეტოქეს გამანადგურებელი დარტყმების კასკადი მოახვია. თავზარდაცემული ტუნეი იატაკზე გაიშხლართა, მაგრამ გახელებული დემპსი ვერაფრით მოაშორეს "მსხვერპლს". ის მრისხანედ დაჰყურებდა ახალგამომცხვარ ჩემპიონს. ბოლოს, როგორც იქნა, დემპსმა თავის კუთხეს მიაშურა და რეფერიმაც ათვლა დაიწყო. 9-ზე ტუნეი წამოდგა. ბრძოლა გაგრძელდა. დემპსი დაუღალავად იბრძოდა მოძალებული ჩემპიონის წინააღმდეგ, მაგრამ ძალები აშკარად აღარ ჰყოფნიდა.

ამერიკელთა კერპმა ხელიდან გაუშვა თავისი შანსი - ბრძოლა მე-7 რაუნდში დაემთავრებინა. მას ტუნეის წინააღმდეგ არგუმენტი აღარ დარჩა და როცა რეფერიმ გამარჯვებული გამოაცხადა, დემპსმა ტუნეის ჩემპიონობა მიულოცა: "გილოცავ, ჯინ!"

ჯინ ტუნეი 1897 წლის 25 მაისს ნიუ-იორკში დაიბადა. ენერგიულს, კრივი ბავშვობიდან იზიდავდა. ამის შემხედვარე მამამ, რომელიც პორტში დოკერად მუშაობდა, ბიჭუნას დაბადების დღეზე კრივის ხელთათმანები აჩუქა. 10 წლის ჯინმა სპორტულ კლუბს მიაშურა. 18 წლის ასაკში ტუნეის პროფესიულ რინგზე ჩხუბი შესთავაზეს. დებიუტი წარმატებული გამოდგა. მან გამოცდილი მოკრივე ბობი დაუსონი გალახა. 1917 წელს

ტუნეი აშშ-ის საზღვაო ძალებმა გადაიბირა. ის საფრანგეთში, საექსპედიციო კორპუსში მსახურობდა. ტუნეი ქვემძიმე წონაში კორპუსის ჩემპიონი გახდა. დამატებით ბრძოლაში კი მძიმეწონოსანი ჩემპიონიც დაამარცხა და აშშ-ის საზღვაო ძალებში უძლიერესი მოკრივის სახელი დაიმკვიდრა.

1919 წელს ჯინ ტუნეი სამშობლოში დაბრუნდა და პროფესიონალი მოკრივის კარიერა გააგრძელა. უძლიერესი დარტყმების პატრონს, არ უჭირდა მეტოქეების დამარცხება. 1922 წელს ქვემძიმე წონაში ამერიკის ჩემპიონი გახდა, მაგრამ იმავე წლის მაისში ეს ტიტული ჰარი გრებს დაუთმო. ეს იყო პირველი და უკანასკნელი მარცხი სახელოვანი მოკრივის პროფესიულ კარიერაში.

1923 წელს ტუნეიმ კვლავ შეავიწროვა გრები და აშშ-ის ჩემპიონის წოდება დაიბრუნა. შემდგომში ისინი კიდევ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთხელ ტუნეიმ მოიგო, ხოლო ორი ბრძოლა "უშედეგოდ" დასრულდა. ერთი წლის შემდეგ ტუნეიმ მძიმე წონაში მოსინჯა ძალები. წარმატება აქაც მომავალი ჩემპიონის თანამგზავრი აღმოჩნდა. ისეთ დიდოსტატთა დამარცხების შემდეგ, როგორებიც იყვნენ კარპანტიე, ერმინიო სპალუ და ტომი გიბონსი, ჯინ ტუნეი მსოფლიო ჩემპიონ ჯეკ დემპსთან შეხვედრის უმთავრესი პრეტენდენტი გახდა.

სახელოვან მოკრივესთან ტუნეის პირველი მატჩი 1926 წლის 23 სექტემბერს ფილადელფიაში გაიმართა. 10 რაუნდის შემდეგ ამერიკა ახალ ჩემპიონს ესალმებოდა. ეს იყო "მოჩხუბარი მეზღვაური" - ასე უწოდეს ჟურნალისტებმა ჯინ ტუნეის. ჯეკ დემპსის დამარცხება დიდი მოვლენა იყო ამერიკული კრივის ისტორიაში – ამერიკული გაზეთების პირველი გვერდები ამ შეხვედრის რეპორტაჟებით აჭრელდა.

ჯინ ტუნეის სპორტული კარიერა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1928 წელს ტომ ჰინეისთან შეხვედრაში მან იოლად დაიცვა ჩემპიონის ტიტული და რამდენიმე დღის შემდეგ მოკრივის კარიერასაც დაემშვიდობა. ჯინ ტუნეიმ 77 ბრძოლა გამართა. 65 მოიგო. ამათგან 43 ნოკაუტით, 1 ფრედ, 9 "უშედეგოდ" და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა (ჰარი გრებთან). ტუნეი არ ჰგავდა იმ მოკრივეებს, რომლებმაც რინგზე ნაშოვნი ფული გაფლანგეს და ცხოვრება სიღარიბეში დაასრულეს.

კარიერის დასასრულისთვის მის საბანკო ანგარიშზე 2 მილიონი დოლარი ირიცხებოდა. მან წარმატებით დააბანდა ფული და გახდა რამდენიმე საწარმოს მფლობელი, რომლებსაც უნარიანად უძღვებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ჯინ ტუნეი აშშ-ის საზღვაო ძალებში დაბრუნდა. მას დიდი ოჯახი ჰქონდა. სამი ვაჟიდან ერთი მოსამართლე გახდა, მეორე ნავთობის წარმოებაში ჩაება, მესამემ კი პოლიტიკაში სცადა ბედი – 1970 წელს ამერიკის სენატში შევიდა.

ჯინ ტუნეი 1978 წლის 7 ნოემბერს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჯდება სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

იყიდება 110 კვ.მ. 2-ოთახიანი მიშენებით, ავტოფარეხით და სარდაფით ბახტრიონზე. ფასი შეთანხმებით. 96 91 93

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება 220 კვ.მ. 5-ოთახიანი ბინა მერიასთან, შ. დადიანზე, III სართულზე. გამოდგება საოფისედაც. 99 86 87

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ნაკვეთი დიდი დიღმის შესასვლელთან. 51 61 05

## მანქანები

იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

იყიდება ახალი "გოლფ-4", 1999 წლის. ფასი შეთანხმებით. 93 34 27

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

## სხვადასხვა

ვარემონტებთ და შევისყიდით გერმანული წარმოების ავტომობილებს. ავტოცენტრი "არბატი", სანდრო ეულის 7, ნუცუბიძის ბოლოში, ბანკთან. 8(99) 54 23 18, 8(99) 50 27 30

იყიდება საუკეთესო ტელევიზორი. 36 41 05

სილამაზის სალონი „ბარბი" აცხადებს 30%-იან ფასდაკლებას ყველანაირი მომსახურებით. ჩაწერა წინასწარ. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

სილამაზის სალონი „ბარბი" აცხადებს მოსწავლეების მიღებას მოსამზადებელ კურსებზე. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.
ტელ: 899 216566

შეიძინე "ლაი-ლაის" სიმ ბარათს.
ტელ: 893 319288

**კომპიუტერული ცენტრი „TOPOS" გთავაზობთ**
უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.
**მის.: „კოლმეურნეობის მოედანი", პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.**

2003 წლის 11 ივნისს 17.00 საათზე გაიმართება სს "სასტუმრო აჭარის" აქციონერთა მორიგი N9 საერთო კრება.
მისამართი: თბილისი, 26 მაისის მოედანი, სს "სასტუმრო აჭარა".

დღის წესრიგი:

1. 2002 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა.
2. წლიური შემოწმების შედეგების განხილვა და აუდიტორის არჩევა.

გთხოვთ იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
რეგისტრაციის დასაწყისი 16.30 საათზე










# აფიშა

## თეატრები

- **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"კონტრაბასი", რეჟ. ნინო ახვლედიანი; მთავარ როლში, გია გოგიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

- **ეროვნული გალერეა**
ედმუნდ კალანდაძის პერსონალური გამოფენა
- **„არტ-ორიენტი"**
"აბრეშუმის გზა"
- **გალერეა** New Art
New Art-ისა და "კოდაკის" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულთა გამოფენა
- **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
80-იანელთა ნამუშევრების გამოფენა
- **„ქარვასლა"**
- **საერთაშორისო გამოფენა** Appendix
ნატ მიულერი, ფოამ-ის პრეზენტაცია
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოღოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა
- **აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.
- **დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები
- **„კლუბი 22"**
იოჰან გრიმონპრე
- **9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"
- **გალერეა „არტ-სინთეზი"**
სტივენ ბლუმი
- **საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

## კინოთეატრები

- **„ამირანი"**
"საათები"
დას: 14:00; 18:00 ფასი 5-8 ლარი
"გემი მოჩვენება"
დას: 16:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
- **„ელისო"**
"ახალდაქორწინებულები"
დას: 15:00, 19:00 ფასი 5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, 21:00 ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი"**
"ცისფერი კრუიზი"
დას: 15:00, 19:00, ფასი 5 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 17:00, 21:30 ფასი 7 ლარი




განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

**მილოცვა**

ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ეროვნული საინოვაციო სამსახურის გენერალურ დირექტორს, პროფესორ შოთა ჭალაგანიძეს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება.

ბატონ შოთასთან ერთად მუშაობის მრავალმა წელმა, საქმიანმა სიახლოვემ თუ მეგობრულმა ურთიერთობებმა მოგვცა იმის თქმის საშუალება, რომ იგი საოცარი ენერგიისა და მოუსვენარი ბუნების პატრონია. მის საქმიანობას, ყოველდღიურ ცხოვრებას, უზადო ქცევასა და გარეგნობას გამორჩეული პეწი და სინატიფე ახლავს. ადამიანებთან ურთიერთობაში საოცრად კეთილგანწყობილია - ამიტომაც უყვართ იგი გარშემომყოფთ. იუბილარი მრავალმხრივ განსწავლულია, აქვს ფართო მეცნიერული ალღო, სიახლისადმი სწრაფვა, ახალგაზრდული შემართება. იგი ყოველთვის იყო და ახლაც მაღალზნეობრივ ადამიანად რჩება.

უსასრულოდ შეიძლება შოთა ჭალაგანიძის ღირსებებზე საუბარი, მაგრამ დღეს მხოლოდ იუბილის მილოცვა გვსურს - დღეგრძელობასა და მზეგრძელობას ვუსურვებთ ბატონ შოთას.

საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი **ე. ბარათაშვილი**
ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **გ.ზღუდაძე**
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები **ნ.ფხალაძე, ს. ბარამია.**

# TV პროგრამა 21 მაისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „მეოცე საუკუნე"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 ჩემპიონთა ლიგა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ჰადსაკერის მემკვიდრე" მთ. რ-ში: ტიმ რობინსი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.15 მხ. ფილმი „სხვისი ცოლი და ქმარი საწოლს ქვეშ".
11.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
11.30 შემეცნ. ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.35 „ზღვარი"
15.15 მხ. ფილმი „ამფეთქებელი"
16.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
16.55 „ისტორიანი"
17.20 50-50
18.00 კალათბურთში საქ. ჩემპიონატის ფინალური მატჩი. „დინამო" თბილისი - „ბასკო" ბათუმი. შესვენებისას „ვესტნიკი".
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 „მათი შვილები" (რუსუდან ჯავახიშვილი)
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?!"
23.55 მხ. ფილმი „შეთქმულება თეთრ სახლში".

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „დამიბრუნდი" მთ.რ-ში დევიდ დუხოვნი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი ბრავო „დიდი პრიზი" მთ.რ-ში რობი მაგაზივო.
01.40 ფილმი ღამურა „მერკური საშიშროების ქვეშ" მთ.რ-ში ბრიუს უილისი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმები
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ჩვენი მისამართია
21.00 და არს მუსიკა
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 მხ. ფილმი „ხახვის ცრემლები"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დამოუკიდებლობის დღე"
15.00 მხ. ფილმი „ტერმინატორი 2"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „დარტყმის სიშორეზე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „მოჩვენება"
23.00 დოკ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „პან თადეუში"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „მარტოხელა"
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „ბორნის იდენტიფიკაცია"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „კისრისტეხით"
01.30 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.55 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „სირინოზები"
12.45 მხ. ფილმი „თოვლის კაცი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „კარავაჯო"
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „სირინოზები"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „მაწანწალა"
00.20 მხ. ფილმი „ლარა კროფტი-აკლდამების მძარცველი"

### იმედი

08.55, 11.55, 13.55, 15.55, 17.55 ახალი ამბების დაიჯესტი
09.00, 13.15, 17.20, 23.35 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი"
10.30 ლარის მახე
11.00 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე"
12.00 სერიალი „სახიფათო მოსახვევები"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
14.00 სერიალი „ეარ ამერიკა"
15.15 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ჯარისკაცები"
17.30 „ერთხელ ჰოლივუდში"
18.00 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები"
20.30 არტ-ბულვარი
20.55, 01.50 ახალი ამბების დაიჯესტი
21.00 სერიალი „ეარ ამერიკა"
22.45 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი"
00.05 ფანების კინოკლუბი „სიყვარული, ცნობისმოყვარეობა, პროზაკი და ეჭვები".

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 კონცერტი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „მზიური არდადეგები"
10.45 კომედია „ცხოველი"
12.10 სათავგადასავლო ფილმი „წინაპართა ძახილი"
13.45, 19.35, 22.50, 01.00 მუსიკა
14.00 დოკუმენტური ფილმი
14.20 მხატვრული ფილმი „კლასიკოსი"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „ანასტასიას საიდუმლო"
17.30 „ქართული კინო" (ავტორი ზ.ცინცქილაძე)
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.30, 22.40 „პრესდაიჯესტი"
19.50 ისტორიული ფილმი „მეფე ჰენრი მ"
23.00 „ალტერნატივა"
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.15 ფანტასტიკა „იასონი და არგონავტები"
03.20 დოკუმენტური ფილმი
04.00 დრამა „მკვდარ პოეტთა საზოგადოება"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.00 მელოდია
11.20 კომპიუტერული ტექნიკა
12.00 „ბიორითმი" - .
12.20 მობილურები
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 კომპიუტერული თამაშები
13.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
18.50 მოკლედ... უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.05 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.45 „კინოკლუბი „ - „მწვანე მილი"-1 ნაწილი.
00.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.05 „ბიორითმი" -
.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Худ.фильм „Под Полярной звездой", 2 с.
12.05, 17.30, 00.55 „Фабрика звезд 2"
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе"
13.15 Худ.фильм „Блокада", ч.1. „Пулковский меридиан"
14.45 „Непутевые заметки"
15.00 „Русский экстрим"
15.30 „Сканер"
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Смехопанорама"
21.00 „Слабое звено"
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Под Полярной звездой"
23.45 Док.фильм „Шаолинь. Путь воина"
01.10 „Новые чудеса света". „Брюссель. Атомиум"
01.40 „Трюкачи"
02.10 „Апология"
03.10 Сериал „Пришелец"

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45, 21.50 Сериал „Идиот"
10.45, 22.45 Сериал „Люди и тени 2"
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Пираты"
14.15, 17.45 „Экспертиза"
14.30 Москва - Минск
14.45 Вести - Москва
15.20 Ток-шоу „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех 2"
17.15, 04.50 „Агентство одиноких сердец"
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 03.40 „Дорожный патруль"
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.25 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.45 „Спокойной ночи, малыши!"
23.35 Футбол. Кубок УЕФА. Финал. „Селтик"(Шотландия) - „Порту"(Португалия)
01.50 Детектив „Почти что мертвая"
03.55 Сериал „Твин Пикс"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50 Сериал „Ребята из нашего города"
11.00 „Сегодня" утром
11.25 Док. драма „Преступление и наказание"
11.55 „Кулинарный поединок". „Премьер-министр"
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45 „Сегодня"
13.35 Мюзикл „На бойком месте"
15.40 „Криминал"
16.35 Ток-шоу „Принцип домино". „Страсти по квартплате"
18.30 Сериал „Скорая помощь"
19.25 „Чистосердечное признание"
20.40 Сериал „Ребята из нашего города"
21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 7 с.
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
00.25 Проект Л.Парфенова „Российская империя: Александр-II"
02.05 „Гордон"
03.05 Сериал „Доктор"
03.50 „Ночь"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# კოქტეილის ხელოვნება - სნობებს

## დოლარები - ბარმენებს

თამარ ბაბუაძე

დაძაბული დღის ბოლოს "კამიკაძე", "ატვიორტკა", თუ "ვარდისფერი ნისლი" თბილისელთა ნაწილისთვის დაღლილობის მომხსნელი უებარი წამალია. ბუნებრივია, საუბარია კოქტეილებზე, რომლებიც უცხოელებით თუ საელჩოებში მომსახურე ქართველებით გადაჭედილი ბარების მენიუებზე მრავალფეროვანი სახელწოდებებით გვხვდება. ის, ვინც მენიუს – კარგი რომანივით – საფუძვლიანად კითხულობს, ყველაზე მეტად სწორედ კოქტეილების სათაურებით ერთობა. ამ სფეროში ხომ ქართული ფანტაზია და ორიგინალობის ნიჭი საზღვრებს არ ცნობს და "გაბედული" ქართველებიც დიდი, მაგრამ მედიდურობის მიღმა კარგად შენიღბული ცნობისმოყვარეობით ხან "სექსი პლაჟზე"-ს მიირთმევენ და ხან – "ბინ ლადენს". რაც მთავარია, ეს მათთვის იმდენად უნიკალური კონდიციაა, რომ არც 6 ლარიდან მაღლა აჭრილი ფასები ადარდებთ.

თუმცა, მოდით, დღეს პეროვის სინამდვილეს ცოტა ხნით მოვშორდეთ და ოკეანის გაღმა, დიდი ქალაქების ბარებში შევიჭრათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქ კოქტეილების კულტურა ხელოვნების რანგშია აყვანილი და თან, ეს რამდენიმე კვირაა, კოქტეილების იქაურ სამყაროში რევოლუცია ხდება: ურყევად 10 დოლარიანი სასმელების ფასი 30 დოლარამდეა გაზრდილი. მოდური ბარების ხშირი სტუმრებიც გაკვირვებული სახეებით აპროტესტებენ: "18 დოლარი ერთი მარტინისთვის?" ან "26 დოლარი ერთი მარგარიტა?"

ბევერლი ჰილსზე, "სტიკჰაუზში" ყველაზე მოდური კოქტეილი "მასტროს მარტინი" 15 დოლარი ღირს. მოცვის წვენითა და ფორთოხლის არომატიანი არყით შეზავებულ სასმელს ბარმენი შეიკერიდან მშრალი ყინულის ნატეხებით სავსე, დაცვარულ ჭიქაში აპირქვავებს. ტალღოვან "მასტროს" თავზე გრილი ნისლი ადგება და მთელ დარბაზს გაოცებისგან სუნთქვა ეკვრის. – ამ შოუს მოწყობის შემდეგ, ბუნებრივია, ხუთი დოლარით მაღლა აწეული ფასი ყველას ავიწყდება და ულამაზეს ცერემონიად ქცეულ დალევის პროცესში 15 დოლარს დაუნანებლად იხდის.

ანუ, კოქტეილი მოდური ბარებისთვის გამდიდრების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ლოს ანჯელესის მეორე ცნობილი აზიური რესტორანი "კოი" დიდი წარმატებით კოქტეილ "ჰპნოტიქს" ასაღებს. დახვეწილი გემოს გარდა, ეს სასმელი ულამაზესი ლურჯი ფერითაც გამოირჩევა, ზედაპირზე კი სამი მსუქანა ჟოლო დაცურავს. ამ "ჰიპნოზურ" სიამოვნებას "კოიში" 13 დოლარად ჰყიდიან.

ალკოჰოლური სასმელების სპეციალისტები კი ეჭვით კითხულობენ: უნდა ღირდეს კოქტეილები ასე ძვირი? მათი აზრით, ბარმენები სნობ კლიენტებზე მოქმედებენ და ლამაზად შეფუთულ ჩვეულებრივ არაყს ცეცხლის ფასად ჰყიდიან. "შენს იმიჯსა და სტატუსზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შედიხარ ბარში და ჩვეულებრივი "აბსოლუტის" ნაცვლად, იგივე "ნაცრისფერ ბატს" უკვეთავ", - ამტკიცებს ლარი მარგოლისი, კომპანია Southern Wines and Spirits-ის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც აშშ-ში სასმელების სიდიდით მეორე დისტრიბუტორი გახლავთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "აბსოლუტის" ნაცვლად რაიმე უცნაური დასახელების კოქტეილის შეკვეთა ნიშნავს იმას, რომ შენ დახვეწილი გემოვნება, იუმორის გრძნობა და ფანტაზიის უნარი გაქვს და რომ სიახლეებისა და მრავალფეროვნებისთვის ყოველთვის



"მასტროს მარტინი" - ყველაზე მოდური სასმელი

მზად ხარ. თანდათან ამ ყველაფერს თავადაც იჯერებ და ძალაუნებურად "კოქტეილომანი" ხდები.

საქართველოში, ალბათ, არასდროს გამოგითვლიან ზუსტად იმას, თუ რამხელა სარგებლობა მოაქვს კოქტეილებს ბარებისთვის. დასავლეთ ლოს ანჯელესში, იტალიურ რესტორან "ილ გრანო რისტორანტეს" მფლობელი და მთავარი მზარეული სალ მარინო კი გულწრფელად აღიარებს: "საშუალოდ, ბარი ერთ ბოთლ "აბსოლუტს" ოც დოლარად ყიდულობს. "აბსოლუტზე" დამზადებული მარტინი კი 9-10 დოლარი ღირს. ერთი ბოთლიდან 20 ჭიქა სასმელი მაინც შეიძლება დაამზადო. ე.ი. 20 დოლარიან "აბსოლუტს" 200 დოლარის მოგება მოაქვს. თუმცა, ხანდახან კოქტეილების ფასზე თვითონ არაყიც მოქმედებს. ხარისხიანი არაყი, მაგალითად, ისეთი, როგორიც "ულტიმატია", 55 დოლარი ღირს, შესაბამისად, "ულტიმატით" დამზადებული მარტინი რესტორან "პენინსულაში" 18 დოლარი ღირს. იქვე იყიდება "მილიონერის მარგარიტაც" – 26 დოლარიანი კოქტეილი, რომელიც ველური, ტროპიკული ფორთოხლის ესენციით, რაფინირებული ტეკილასა და იშვიათი ჯიშის შამპანის კონიაკის ნაზავით მზადდება. წარმოიდგინეთ, რამხელა გასავალი ექნება ამ კოქტეილს. ყველა, ვინც 26 დოლარს გაიღებს, წამით მაინც შეიქმნის იმის ილუზიას, რომ მილიონერია და დამსახურებულად მიირთმევს მეფეების საკადრის სასმელს.

როგორც ხედავთ, პეროვის მიღმა არსებულ სინამდვილეში კოქტეილის სმის პროცესი წარმოსახვებით სავსე, საზეიმო ცერემონიალია. და, ჩვენგან განსხვავებით, იქ ეს მასობრივ ხასიათსაც ატარებს. თბილისში კი გემოთა მრავალფეროვნებას მუდამ სახელების მრავალფეროვნება ჭარბობს. ამ მხრივ, ქართველებს ვერავინ შეედრება. იუმორის გრძნობას არც "კლუბ 22"-ში უჩივიან, სადაც ჰყიდიან "ბინძურ დეიდასაც", "ორგაზმსაც", "შავ რუსსაც" და "კოკაინის დედოფალსაც". თუმცა, თბილისელები ხშირად ექსპერიმენტებს გაურბიან და "ბინძური დეიდის" გასინჯვამდე აღძრულ ეჭვებთან ბრძოლას ურჩევნიათ, ისევ ნაცნობი "მარგარიტა" და ჯინ ტონიკი დალიონ. საწყალ "ბინძურ დეიდას" კი არავინ სვამს ისევე, როგორც არავინ ეკარება არც "ორგაზმსაც" (ალბათ, ძველი საბჭოური პრინციპით). რას ვიზამთ, ამ ფლანგზე ქართველებს გამბედაობა ღალატობთ.

ამასობაში, კოქტეილების დასავლურ სცენაზე ახალი სეზონის სიახლეებს გამოჰყოფენ. ვიცოდეთ მაინც, "ატვიორტკას" გარდა რა არსებობს და რა ისმება ყველაზე დიდი სიამოვნებით პარიზში, ლონდონსა თუ ნიუ იორკში:

მანჰეტენზე კვლავაც მოდაში შემოდის კლასიკა: 1890-იან წლებში შექმნილი ჭვავის ვისკის სასმელი და 1920-იან წლებში პოპულარული საიდქარი – ლიმნის წვენის, ფორთოხლის ლიქიორისა და კონიაკის ნაზავი. ზემოთნახსენები ლურჯი "ჰპნოტიქი" კი მოდაშია ვაშინგტონში. საზაფხულოდ ნიუ იორკსა და ლონდონში საზამთროზე დამზადებულ მარტინებსა და კიტრის სასმელებს აჭაშნიკებენ. მაგალითად, "რიც კარლტონის" რესტორნების კლიენტურა ყველაზე ხშირად სწორედ ამ სახის კოქტეილებს ითხოვს. წელს სასმელების მეფედ ასახელებენ არაყს. არაყზე დამზადებული წვენები ხომ საერთოდ გაყიდული სასმელების 25 პროცენტს შეადგენს. "სმირნოფი" და "აბსოლუტი" ამერიკაში ყველაზე მეტად გაყიდვადი სახელებია. შემდეგ მოდის რომი, კერძოდ კი Captain Morgan Original Spiced Rum და ჯინი Plymouth.

# აპოკალიფსი

## დღეს ალბრეხტ დიურერის დაბადების დღეა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ალბრეხტ დიურერი, რომელსაც დღეს გერმანული აღორძინების ხელოვნების ფუძემდებლად, დიდ ფერმწერად, გრაფიკოსად და ხელოვნების თეორეტიკოსად ვიცნობთ, 1471 წლის 21 მაისს ნიურენბერგში დაიბადა წარმოშობით უნგრელი ოქრომჭედლის ოჯახში.

ითვლებოდა, რომ ისევე, როგორც ბაბუა და მამა, ალბრეხტიც ოქრომჭედელი უნდა გამხდარიყო. ამიტომ მამა თავის საქმეს ბავშვობიდან ასწავლიდა და პატარა საიდუმლოებებსაც ანდობდა, რომლებიც, მოგეხსენებათ, ყველა თავმოყვარე ოქრომჭედელს უნდა ჰქონდეს. მაგრამ, 13 წლის ბიჭმა ავტოპორტრეტი დახატა – სარკეში ჩაიხედა და დახატა! თან ვერცხლის ფანქრით! ეს დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაში პირველი ავტოპორტრეტი იყო.

თუმცა, ალბრეხტის მამა მხოლოდ და მხოლოდ ოქრომჭედელი გახლდათ, ის უმალვე მიხვდა, რომ მისი ვაჟი "არ ხუმრობდა", და 15 წლის ალბრეხტი მიხაელ ვოლგემუტს გადააბარა, ფერწერისა და გრაფიკის შესასწავლად და გრავიურის ხელოვნების დასაუფლებლად.

შეგირდობის ხანას იმხანად ყოველი ოსტატისათვის სავალდებულო "მოგზაურობის წლები" მოჰყვა. გზად ალბრეხტმა მრავალი ჰუმანისტისა და წიგნის მბეჭდავის გაცნობა შეძლო, და სადაც არ უნდა ყოფილიყო - ბაზელში, კალმარში, სტრასბურგსა თუ ვენეციაში, ყველასგან რაღაცას სწავლობდა.

წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და ოსტატობა შემდგომში დიურერმა მრავალი სახით გამოიყენა: ე.წ. საოსტატო გრავიურებში არსებობის აზრისა და ხელოვნების დანიშნულების ჰუმანისტური იდეები გამოხატა, რეფორმაციის ხანის ადამიანების ძალითა და ენერგიით სავსე სახეები, გლეხების პორტრეტები და 900-ზე მეტი ჩანახატი შექმნა – ამ უკანასკნელთა რაოდენობითა და შესრულების ხარისხით ალბრეხტ დიურერს მხოლოდ ლეონარდო და ვინჩი თუ შეედრება. საერთოდ, გრაფიკულ ნამუშევრებს დიურერის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის ყველა სახის ტექნიკას თანაბრად ფლობდა – ვერცხლის ფანქარს, ლერწმის კალამს, ნახშირს, აკვარელს...

ისევე, როგორც აღორძინების ხანის სხვა გენიოსები, დიურერიც განუწყვეტლივ ეძებდა ადამიანის სხეულის იდეალურ პროპორციებს. ის პირველი იყო გერმანიაში, ვინც შიშველი სხეულის შესწავლას მიჰყო ხელი. ქალისა და მამაკაცის მისეული ხედვა ყველაზე ნათლად "ადამსა და ევაში" ჩანს – ეს დიდი ფერწერული ტილო მხატვარმა, დაახლოებით, 1507 წელს შექმნა, ამჟამად ის პრადოს მუზეუმის საკუთრებაა.

საერთოდ, ადამიანს და, შესაბამისად, პორტრეტებს, დიურერის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია. როგორც მოგახსენეთ, პირველი ადამიანი, რომლის ღრმა შესწავლითაც ოსტატი დაკავდა, თავად გახლდათ, ალბრეხტ დიურერი. მისი პირველი ავტოპორტრეტი, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება და, შეიძლება ითქვას, გერმანული ხელოვნების ისტორია შეცვალა, ვენაში, ალბერტინას მუზეუმში ინახება. ამას კიდევ სამი ფერწერული ტილო მოჰყვა – ძალიან თუ მოისურვებთ... ვინდომებთ, სამივე ავტოპორტრეტის ხილვას შევძლებთ, ისინი ლუვრის, პრადოსა და მიუნხენის მუზეუმის კოლექციებშია შესული.



დიურერი - პირველი ავტოპორტრეტი დასავლეთ ევროპაში

მაგრამ, ყველაზე შთამბეჭდავი მაინც გრავიურებია. ადრეულები - მშვიდი და ნათელი... და უცებ, "მოწმენდილ ცაზე", 1498 წელს, 27 წლის მხატვარმა შექმნა "აპოკალიფსი" – დაძაბული, ექსპრესიული. მხატვარმა ფანტასტიკურ სახეებში გადმოსცა სამყაროს დასასრულის მოლოდინი. მოგეხსენებათ, სამყაროს აღსასრულის მოლოდინი საუკუნის ბოლოსთვის განსაკუთრებით მძაფრდება ხოლმე, და სწორედ ამ დროს ნახა გერმანიამ წიგნად შეკრული 15 ხის გრავიურა, "აპოკალიფსის მხედრები", აღორძინების ხანისათვის დამახასიათებელი გაქანებითა და წმინდა გერმანული სულისკვეთებით შექმნილი – მეტისმეტად ექსპრესიული სახეებით, დაძაბული მოძრაობებით, მკვეთრი ხაზებით, სამყაროს დასასრულის დაუნდობელი და ამაღლებული ხილვები.

დაზაფრულ ხალხს ესღა აკლდა.

უნდა ითქვას, რომ იოანეს გამოცხადების სახეები, აპოკალიფსური ხილვები, შუა საუკუნეების ადამიანისთვის ისევე რეალური იყო, როგორც მისი საკუთარი ცხოვრება. ისინი სამყაროს სურათის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და ყოველ ადამიანს შიშის ზარს სცემდა. იმხანად – ალბათ ისევე, როგორც დღეს, მაგრამ მაინც უფრო მკვეთრად – სამყაროს აღსასრულის ნიშნებს ყოველდღიურ ყოფაში ხედავდნენ: სხვა რა იყვნენ აპოკალიფსური მხედრები, თუ არა შიმშილი, ძალადობა, ომი, შავი ჭირი... ღვთის შიში, მისი სასჯელის წინაშე ძრწოლა ადამიანებს ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი, განსაკუთრებით ღატაკებს, რომელთაც, შეძლებულთაგან განსხვავებით, თავიანთი ცოდვების იმხანად გავრცელებული ხერხით, ფულით გამოსყიდვა არ შეეძლოთ.

უცნაურია, მაგრამ ხელოვნება იმხანად ერთობ დემოკრატიული რამ ყოფილა: ალბრეხტ დიურერი უმალვე დიდოსტატად აღიარეს, არამარტო პრივილეგირებულმა ფენებმა, არამედ უბრალო ხალხმაც.

მოგეხსენებათ, ახალი აღთქმის ამ წიგნს მსოფლიოს მოაზროვნეები და ხელოვანები მუდამ "უტრიალებდნენ" და ამ საქმეს დღესაც არ ეშვებიან: ნიუტონი და რენანიც კი "მხეცის რიცხვის" ინტერპრეტირებას ცდილობდნენ (ხან "ლათინელად" გაიგეს, ხან "კეისარ ნერონად", ხან - რად და ხან - რად) – საუკუნეების განმავლობაში, რაც კი ცუდი ხდებოდა, ყველაგან ამ რიცხვს დაეძებდნენ ხოლმე; ზოგმა გადაწყვიტა, რომ იოანეს გამოცხადება ასტროლოგიური კუთხით უნდა განეხილა, და უამრავი ადამიანი ლამობდა, "აპოკალიფსის" ტექსტზე დაყრდნობით, ქრისტეს მეორედ მოსვლისა და მისი ანტიქრისტესთან ბრძოლის თარიღის დადგენას.

ეს დღემდე ხდება და, წარმოიდგინეთ, ბნელი შუა საუკუნეების ადამიანი რა დღეში იქნებოდა! რა დღეში მოაქცევდნენ მას დიურერის "მხედრები"! ის ხომ ყოველ წუთს გრძნობდა მეორედ მოსვლის მოახლოებას. როგორც კი რამე გადატრიალება მოხდებოდა, აღგზნებული ხალხი უმალვე სამყაროს დასასრულს "იყნოსავდა" ხოლმე და ყველგან სატანას მოციქულები ელანდებოდა...




## ამბები კანიდან

### პოლიტიკა აპოლიტიკურ კანში

რეჟისორი ლარს ფონ ტრიერი, რომელიც, ნიკოლ კიდმანთან ერთად, კანის ერთ-ერთი გმირი გახდა, აღმოჩნდა ის კაციც, რომელიც კინო-ფესტივალებზე დადის და პოლიტიკურ ამინდს ძაბავს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბოლო ფილმი, "დოგვილი" სწორედ შტატებს ეხება, ფონ ტრიერი აცხადებს, რომ "ამერიკაში ბევრ ნაგავს" ხედავს. "დარწმუნებული ვარ, რომ ის ძალიან ლამაზი ქვეყანაა, მაგრამ მეშინია ამერიკაში წასვლა. ამ ეტაპზე შტატებში ნამდვილად ვერ გავემგზავრებოდი, რადგან ვფიქრობ, რომ ეს ქვეყანა ისე არაა მოწყობილი, როგორც უნდა იყოს", - გაანდო რეჟისორმა ჟურნალისტებს კანში გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა: "ერაყის გამათავისუფლებელი კამპანიის შემდეგ კი დიდი სურვილი გამიჩნდა, ამერიკის გამათავისუფლებელი კამპანიაც წამოვიწყო".

ლარს ფონ ტრიერი ამერიკაში, მართლაც, არასოდეს ყოფილა. თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ ფილმი "დეპრესიული ხანის" შტატებზე გადაეღო, გადასაღებ მოედნად კი, კოლორადოს მთების ნაცვლად, შვედეთის მწვერვალები გამოეყენებინა.

მიუხედავად იმისა, რომ კანის ორგანიზატორები შეეცადნენ, ფესტივალისთვის პოლიტიკური კონტექსტი საერთოდ მოეშორებინათ, ფონ ტრიერს ფეხი ირანელმა სამირა მაჰლამბაფმაც აუწყო. მან პრესკონფერენციაზე ანტიამერიკული განწყობა მწვავე გამოსვლით დააფიქსირა. "ბუშის საქციელი მაფიქრებინებს, რომ მისი მთავრობა თალიბანის ამერიკული ვერსიაა. ბუში ძალით შეიჭრა ავღანეთშიც და ერაყშიც და ეგონა, რომ დემოკრატიას ერთ ღამეში დაამყარებდა. თუმცა, ასე ხომ არასდროს ხდება. დემოკრატიას დრო სჭირდება ისევე, როგორც ქვეყნის ინფრასტრუქტურის აღდგენას", - განაცხადა მან.

### ვენდერსი ბლუზის სულის ძიებაში

ვიმ ვენდერსმა თავისი ფილმით Buena Vista Social Club მსოფლიოს კვლავაც დაუბრუნა კუბური მუსიკა. კანზე ნაჩვენები მისი ბოლო ნამუშევარი "ადამიანის სული" კი, ბლუზის მუსიკოსებს უწევს პოპულარიზაციას.

უფრო ზუსტად, გერმანელი რეჟისორის ეს დოკუმენტური სურათი ეძღვნება ყველა იმ მომღერალს, Cream-ისა და ლუ რიდის ჩათვლით, რომელთაც ბლუზის მუსიკოსების მრავალ თაობაზე მოახდინეს გავლენა. ვენდერსი ბლუზის სამ ლეგენდას ბლაინდ ვილი ჯონსონს, სკიპ ჯეიმსსა და ჯეი. ბი. ლენუას გამოჰყოფს და ფილმს სწორედ მათ თავგადასავლებზე აგებს. ბლუზის ამბებს კი ფილმში "მატრიცას" ვარსკვლავი ლორენს ფიშბურნი გვიამბობს.

ვენდერსი აცხადებს: "ეს სიმღერები ჩემთვის მთელი სამყაროს ტოლფასია. მათი მოსმენა საკმარისი იყო იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი – არც ერთი წიგნი თუ ფილმი ისე მართლად არ აღწერს ამერიკას, როგორც ეს ჰანგები".

# ევროპა. კუბიზმი. 1906-1926



*კურტ შვიტერსი, "კომპოზიცია"*

მრავალი წლის შემდეგ თავად პიკასო იგონებდა: "როცა ასე დავიწყეთ ხატვა, კუბიზმის შექმნა აზრადაც არ მოგვსვლია. უბრალოდ, იმის გამოხატვა გვინდოდა, რაც ჩვენში არსებობდა". იმხანად თავად მხატვარსაც ვერ წარმოედგინა, რომ მისი "ლიონელი გოგონები", რომელზეც ხუთი შიშველი ქალია გამოსახული, ოდესმე ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ექსპონატად იქცეოდა, და ის ფერწერის ისტორიაში უდიდეს როლს შეასრულებდა.

შემდეგ პიკასოს ტილომ ახალგაზრდა მხატვარზე, ჟორჟ ბრაკზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, თავიდან ის პიკასოს გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა: "რაც არ უნდა აგვიხსნა, ისე ხატავ, თითქოს ნავთის დალევას გვაიძულებდეო", მაგრამ 1907-1908 წლებში თავადაც შექმნა დიდი "შიშველი" - ის ამჟამად პარიზში, კერძო კოლექციაშია დაცული. აი, ასე დაიწყო კუბიზმის ისტორია. განურჩევლად იმისა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მისი მნიშვნელობის და სიდიადის უარყოფას მაინც ვერავინ შევძლებთ...

ორი დღის წინათ გერმანიაში, ჰანოვერში, გაიხსნა გამოფენა "კუბიზმი. მხატვრული მოძრაობა ევროპაში 1906-1926". ეს ტრეტიაკოვის გალერეისა და ჰანოვერის შპრენგელ მუზეუმის ერთობლივი პროექტი გახლავთ.

აღნიშნული პროექტი გერმანიაში რუსეთის წლის ფარგლებში განხორციელდა – მოგეხსენებათ, წელს ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის პატივსაცემად მრავალ კულტურულ ღონისძიებას ატარებს. ამ გამოფენაზე რუსული კუბიზმი ევროპულის, ძირითადად, ფრანგული კუბიზმის კონტექსტში პირველადაა წარმოდგენილი. სწორედ ფრანგულმა კუბიზმმა მისცა მნიშვნელოვანი ბიძგი ავანგარდული მხატვრული აზროვნების განვითარებას, რომელიც ცხოვრების პროეცირების და არა მისი არეკვლის კანონების თანახმად ვითარდებოდა.

რუსულმა ხელოვნებამ ფრანგული კუბიზმის ყველა სტადია "გაიაზრა" და რადიკალური დასკვნები გამოიტანა. სწორედ ასეთი დასკვნა გახლავთ გეომეტრიული აბსტრაქცია – სუპერმატიზმი და კონსტრუქტივიზმი.

გამოფენის ავტორებმა მეოცე საუკუნის უდიდესი ევროპელი მხატვრების – პაბლო პიკასოს, ჟორჟ ბრაკის, ფერნან ლეჟესა და სხვათა ხელოვნებასა და რუსული ავანგარდის წარმომადგენლების – კაზიმირ მალევიჩის, ვლადიმირ ტატლინის, მარკ შაგალის, ნადეჟდა უდალცოვას და სხვათა შემოქმედებას შორის პარალელები გაავლეს. ექსპოზიციაში გერმანელი კუბისტების – ანრი ლორანის, ოსკარ შლემერის, კურტ შვიტერსის ნამუშევრებიცაა წარმოდგენილი.

ამ პროექტში ევროპისა და რუსეთის მრავალმა მუზეუმმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ერმიტაჟმა, მოსკოვის პუშკინის სახელობის მუზეუმმა, პარიზის პიკასოს მუზეუმმა, ბონის, ჰააგის, ესენის, სტოკჰოლმისა და ბაზელის მუზეუმებმა.

ჰანოვერში გამოფენა 3 აგვისტოს დაიხურება და შემდეგ ტრეტიაკოვის გალერეაში გადაინაცვლებს.

# როცა მოდა ხელოვნებას ხვდება




*როცა მოდა ხელოვნებას ხვდება - აქციის პლაკატი*

ნიუ იორკში, მედისონ ავენიუზე, უკვე მეოთხედ იმართება ყოველწლიური აქცია, "როცა მოდა ხელოვნებას ხვდება". ამ აქციის ფარგლებში, ყველაზე მნიშვნელოვანი მოდის სახლების ბუტიკების ვიტრინებში ფერწერისა და ფოტოხელოვნების ნიმუშები იქნება გამოფენილი, რომლებიც "ამა თუ იმ მოდის სახლის ფილოსოფიას ასახავს".

ასე, "ვერსაჩემ" არჩევანი როი ლიხტენშტაინის ორ ნახატზე შეაჩერა, "ფრედ ლეიტონმა" – "ტიუდორების ვარდი" გამოფინა (რომლის ფასიც ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგია), "დოლჩე და გაბანამ" – მხატვარ ან დოუნგისეული პორტრეტები.

გასულ კვირას წვეულებაც გაიმართა – სამკაულების საქველმოქმედო აუქციონი, რომლისგან შემოსული თანხებიც პროგრამის ფონდს, Whitney Family Programs-ს გადაეცა. ფრედ ლეიტონისეულ ბრილიანტის საყურეებში, რომელიც მსახიობ ჰილარი სუონკს 2003 წლის "ოსკარის" გადაცემის ცერემონიაზე ეცვა, 15 ათასი დოლარი გადაიხადეს, დანარჩენი მოდების სახლის მიერ წარმოდგენილი საიუველირო ნაწარმისგან ფონდს დაახლოებით 35 ათასი ამერიკული დოლარი შეუვიდა.

# მოდის სახლის 50-ე იუბილეს აღსანიშნავად

პარიზული მოდის სახლი Chloe საკმაოდ შთამბეჭდავ თარიღს – თავის 50-ე წლისთავს ზეიმობს. ამ დღესთან დაკავშირებით Chloe-ს პარიზულ ბურტიკში, სენ-ონორეს ბულვარზე, მინი-რეტროსპექტივა გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილი მოდელები ამ მოდის სახლის შემოქმედებითი დირექტორის, ქალბატონ ფიბი ფილოს მიერაა არჩეული. მისი თქმით, არჩევის პრინციპი ისაა, რომ გამოფენაზე "Chloe-ს მემკვიდრეობა და თანამედროვე ხასიათი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი". დამთვალიერებლები მისი მთავარი დიზაინერების – კარლ ლაგერფელდის, მარტინ სიტბონის, სტელა მაკარტნისა და თავად ფილოს საუკეთესო ნამუშევრების შეფასებას შეძლებენ.

ამბობენ, რომ თავის დროზე ლაგერფელდისეული კაბის დანახვაზე Chloe-ს დამაარსებელს, გაბი აგიონს, აღტაცებით უთქვამს, ასეთი რამის შექმნას ნამდვილად ველარავინ მოახერხებსო.

გამოფენა მრავალ ქვეყანას მოივლის: პარიზის შემდეგ მონაკოში გაიხსნება, საბოლოოდ კი, საშობაოდ, კუვეიტის მოდის მოყვარულებსაც ასიამოვნებს.

## კროსვორდი






თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.